პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
27 თებერვალი **ოთხშაბათი** 2013
№047 (13 963) ფასი 80 თეთრი

ბიბლიოთეკა

# საქართველოს თასის 1/8 ფინალის პირველი რაუნდის შემდეგ ზოგი საქეიფოდაა, ზოგი – უქეიფოდ...

# ცეცხლი აინთო, ფეხბურთი დაიწყო!


სიონი-ზუგდიდი 3:0. სამიდან ორი გოლი ირაკლი ლექვთაძემ გაიტანა
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო


დილა-სამტრედია 6:0. სამი გოლი ნათან ჟუნიორმა გაიტანა
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ჩისკოს ერთი, ლექვთაძის ორი, ჟუნიორის სამი, დეკანოიძის ოთხი... დილას ექვსი, ჩიხურას რვა! ტორპედომ გაგრას ვერ მოუგო, ვიტ ჯორჯიამ - სპარტაკს! მეტალურგი ბათუმთან დამარცხდა...

2-4


კოლხეთი-დინამო 0:1. ჩისკოს (მარჯვნივ) ასისტენტობა კოტომ გაუწია
ფოტო: fcdinamo.ge




8

# ლადომ ლეგიაში ანგარიში გახსნა

## გოლი + პასი პოლონეთის თასზე



ვარშავის „ლეგიას“ 26 წლის ქართველმა ლეგიონერმა **ლადო დვალიშვილმა** ამ კლუბის მაისურით პირველი ოფიციალური გოლი გაიტანა. „ლეგია“ პოლონეთის თასზე გრუჯონზის „ოლიმპიას“ შეხვდა და 4:1 გაანადგურა. ქართველმა პირველად ითამაშა პოლონეთის ჩემპიონატის ლიდერის სასტარტო შემადგენლობაში ოფიციალურ მატჩში, პირველი გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც შეასრულა. მან თავი 91-ე წუთზე გამოიჩინა, შედეგიანი პასი კი 51-ე წუთზე შეასრულა. საპასუხო მატჩი 12 მარტს გაიმართება.

*„გახარებული ვარ, რომ გოლის გატანა მოვახერხე. სოლიდური ანგარიშით მოვიგეთ და ცალი ფეხით ნახევარფინალში ვართ. სუსტი პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში კარგად ვითამაშეთ, გაგვიმართლა კიდეც. ვფიქრობ, მარკ საგანოვსკისთან ერთად კარგი დუეტი გამოგვივა. მადლობა ფანებს, 90 წუთი მხარს გვიჭერდნენ, რაც დიდად დაგვეხმარა“*, - განაცხადა ლადომ თამაშის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ლადოს დებიუტი გასულ უქმეებზე ჩემპიონატში შედგა, როცა „ლეგია“ „კორონასთან“ სტუმრად 2:3 დამარცხდა. იმ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა ბოლო 7 წუთი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართული ფეხბურთი

საქართველოს თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# გაგრული სიურპრიზი და სენსაციის სუნი

26.02.ქუთაისი. ტორპედო
1000 მაყურებელი

ტორპედო **1**
გაგრა **1**

1:0 გ. ონიანი (70), 1:1 ჯერემია (73)

| ტორპედო 4-4-2 | გაგრა 4-5-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ბეგაშვილი |
| რიგვავა | თ. ჯანაშია |
| ზ. ჯელიძე | პაჭკორია |
| გ. ონიანი | ლ. კალანდაძე |
| გ. გურული | ზარნაძე |
| დოლიძე | მაგაჯი |
| ე. გრიგალაშვილი | ჭკუასელი |
| კუხიანიძე | ტეიდი |
| გ. დათუნაიშვილი | ფილაგანდიშვილი |
| ბერიაშვილი | ერისთავი |
| ტულუში | ვოლკოვი |
| მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი: ზ. ჯელაძე |

**ტორპედო**

46. კუხიანიძე - **საბანაძე**
64. დოლიძე - **ფანცულაია**
84. გრიგალაშვილი - **გიგაური**
*სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, ვ. ბოლქვაძე, ფირცხალავა*

**გაგრა**

46. ჭკუასელი - **ივანიშვილი**
57. ერისთავი - **ჯერემია**
74. მაგაჯი - **შუმლაძე**
*სათადარიგოები: ადამია, ხოჯანაშვილი, გადრანი, ხოჯაშვილი*
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

თასის შეხვედრებს თავისებური სპეციფიკა აქვს და აქ სიურპრიზებს ნებისმიერი გუნდისგან უნდა ველოდოთ. მართალია, „ტორპედო" პირველიგელ „გაგრაზე" უფრო გამოცდილი და ძლიერი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ **ზვიად ჯელაძის** ახალგაზრდულ გუნდს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ლიდერთან თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცა და „გაგრამაც" „ტორპედოსთან" უდიდესი მოტივაციით ითამაშა... ქუთაისელთა ერთგული გულშემატკივრები უხვგოლიანი მატჩის მოლოდინში იყვნენ, ბევრი ფიქრობდა, რომ **გია გეგუჩაძის** შეგირდები პირველივე მატჩში შეძლებდნენ სასურველი ჰანდიკაპის შექმნას, მაგრამ გაგრელებმა ბოლომდე იბრძოლეს, მეტოქეს არ შეუშინდნენ და ბოლო წამებზე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი რომ გამოეყენებინათ, ფრე კი არა, ქუთაისიდან მოგებული გაემგზავრებოდნენ... თუმცა, ფრეც არ არის ურიგო შედეგი, თანაც, როცა ამას მეტოქის მოედანზე მიაღწევ.

შეხვედრა ორივე გუნდმა მძიმედ დაიწყო. ტემპი დაბალი იყო და ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ტაიმის შუაწელიდან მასპინძლები გააქტიურდნენ, განსაკუთრებით ეს **გიორგი ბერიაშვილზე** ითქმის, რომელიც ბევრს მოძრაობდა და სტუმართა მცველებს დაძაბულობაში ამყოფებდა. მისი აქტიურობის შედეგად ქუთაისელებმა რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, სახიფათო ეპიზოდს **ბექა ტულუში** ვარდნაში აგვირგვინებდა, მაგრამ კარს მცირედით ააცილა. შემდეგ თავად ბერიაშვილს მიეცა შანსი, იგი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ **გიორგი ბეგაშვილმა** გამოსვლაზე კარგად ითამაშა და ტორპედოელთა ფორვარდს კარში დარტყმის საშუალება არ მისცა. მომდევნო ეპიზოდისას **გიორგი დათუნაიშვილის** გადაცემის შემდეგ კვლავ ბერიაშვილი ურტყამდა ძლიერად, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. **გიორგი დოლიძის** უხერხული დარტყმის შემდეგ კი ბეგაშვილმა ბურთი ხელებში ძლივს შეიმაგრა.

შეხვედრის მეორე ნახევარი გაცილებით უკეთესი სანახავი გამოდგა. „გაგრაც" უფრო გააქტიურდა და თუ პირველ ტაიმში ძირითადად „სტანდარტულების" და **დავით ვოლკოვის** აქტიურობის იმედად იყო, შესვენების შემდეგ უფრო თამამად ათამაშდა. ჯერ **ბენჯამინ ტეიდმა** დაარტყა სახიფათოდ, შემდეგ კი **ზარნაძის** ჩაწოდებულ ბურთზე ვოლკოვს თავი რომ არ აეცილებინა, ანგარიშიც გაიხსნებოდა. ჯელაძეს ცვლილებებმაც გაუმართლა, ძალიან კარგად ჩაერთვნენ თამაშში **ჯონ ჯერემია და ალექსანდრე ივანიშვილი**, რომლებმაც 68-ე წუთზე სახიფათო შეტევა განახორციელეს, ჯერემიას პასის შემდეგ ივანიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან კარში ძლიერად დაარტყა, თუმცა მეკარე **ომარ მიგინეიშვილიც** შესანიშნავად გაისარჯა. ტერიტორიულ უპირატესობას კვლავ ქუთათურები ფლობდნენ, მაგრამ გოლამდე ტულუშისა და შეცვლაზე შესული **ნიკა საბანაძის** სახიფათო დარტყმების მეტი გამოსარჩევი არაფერი შეუქმნიათ. გოლი კი მართლაც შესანიშნავი იყო: **გიორგი ონიანმა** დაახლოებით 30 მეტრიდან ჯარიმა ბრწყინვალედ შეასრულა და ბეგაშვილს შანსი არ დაუტოვა. მასპინძელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, სტუმრებმა ანგარიში სამ წუთში გაათანაბრეს: თანაგუნდელებმა ჯერემია გაიყვანეს მეკარესთან პირისპირ და აფრიკელმა ლეგიონერმა მიგინეიშვილს ახლო დაბალ კუთხეში გაუტანა. დარჩენილ დროში ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის შეცვლა ქუთაისელთაგან მიზანთან ახლოს ტულუში იყო, გაგრელთაგან კი ჯერემიას შეეძლო თავის გამოჩენა, რომელსაც მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მიგინეიშვილმა ურთულესი ბურთი აუღო. მატჩი მართლაც მოულოდნელი ანგარიშით დასრულდა და ამ წყვილის გამარჯვებულის ვინაობა განმეორებით შეხვედრაში გაირკვევა, რომელიც 2 მარტს გაიმართება.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# ახია ჩვენზე...

26.02.მცხეთა. მცხეთა პარკი
300 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია **1**
სპარტაკი **1**

0:1 მეტრეველი (27), 1:1 ჯანელიძე (48, პენალტით)
*29-ე წუთზე შონიამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

| ვიტ ჯორჯია | სპარტაკი |
|---|---|
| დაუშვილი | ნადირაძე |
| ხურცილავა | ჭაფოძე |
| გეთიაშვილი | ქურდაძე |
| ადამაძე | მგელაძე |
| კასრაძე | თუხარელი |
| მჭედლიშვილი | ლემონჯავა |
| დავლაშელიძე | ვ. კილასონია |
| გურ. გურეშიძე | თ. შონია |
| ჯანელიძე | ბურძენაძე |
| კორიფაძე | კ. ხიზანეიშვილი |
| კუხალეიშვილი | მეტრეველი |
| მწვრთნელი მ. კოჯლაშვილი | მწვრთნელი კ. ხაჩიძე |

**ვიტ ჯორჯია**

46. გეთიაშვილი – **გაბრიჭიძე**
77. კორიფაძე – **ღიბრაძე**
88. კუხალეიშვილი – **ლობჟანიძე**

**სპარტაკი**

65. ბურძენაძე – **კაკაშვილი**
88. თუხარელი – **თვალავაძე**
90+2. შონია – **მაქაცარია**
გაფრთხილება: **კასრაძე (25), ადამაძე (29), თუხარელი (35), გურამ გურეშიძე (35), კუხალეიშვილი (35), ხიზანეიშვილი (40, 86)**
გაძევება: **ხიზანეიშვილი (86)**
არბიტრი: **თ. გვანცელაძე**

პირველი ტაიმის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობა მსაჯობით უკმაყოფილო იყო, ვიტჯორჯიელები ჟურნალისტებთანაც კი მოვიდნენ პრეტენზიული ტონით, თუმცა კონკრეტულად რა უნდოდათ, ძნელი სათქმელია. უცნაურია, კლუბს, რომელსაც ბევრი რამ აქვს მოსაწესრიგებელი, რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს ჟურნალისტებთან მსაჯის საკამათო ქმედების გამო. ალბათ ახია ჩვენზე, ისეთ სტადიონზე რომ მივდივართ მატჩის გასაშუქებლად, სადაც ეგრეთ წოდებულ პრესლოჟაში იატაკის ფიცრის მსგავსი არის გადებული და ჟურნალისტისთვის სამუშაო მაგიდის იმიტაციას ქმნის.

მოედანზე დატრიალებული მოვლენები კი ნამდვილ სათასო დაპირისპირებას წარმოადგენდა. ცხინვალის "სპარტაკი" ახლა პირველ ლიგაში კი გამოდის, თუმცა ბევრი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება რომ არ აკლია და ტოლსწორადაც ეპაექრა "ვიტ ჯორჯიას".

სტუმრები **ზვიად მეტრეველის** გოლით დაწინაურდნენ, რომელმაც **კონსტანტინე ხიზანეიშვილის** ჩაწოდებით ისარგებლა. "სპარტაკს" მალევე შეეძლო მეორე გოლის გატანა, პენალტი მეტრეველმა მოინაგრა, დარტყმა კი **თემურ შონიამ** იკისრა – **ნიკა დაუშვილმა** ფეხით მოიგერია ბურთი.

"ვიტ ჯორჯია" ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდა, **გიორგი ჯანელიძემ** მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან ცოცხალ კედელს შემოავლო ბურთი, რომელიც **გიორგი ნადირაძემ** ხელებში ვერ შეიმაგრა, დამატებას **ლევან კუხალეიშვილი** ცდილობდა ვარდნაში, მეკარესთან ორთაბრძოლის შემდეგ კი სიტუაცია დაიძაბა, შეხლა-შემოხლა და ჩოჩქოლი რამდენი წუთს გაგრძელდა, არბიტრმა **თორნიკე გვანცელაძემ** ყვითელი ბარათები აფრიალა და ფეხბურთელებიც დაშოშმინდნენ.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, **დავით ხურცილავას** ჩაუქობას "სპარტაკის" კარში დანიშნული 11-მეტრიანი რომ მოჰყვა – ჯანელიძემ დარტყმა უნაკლოდ შეასრულა და ანგარიშიც გათანაბრდა.

მეორე ტაიმი საინტერესო გამოდგა, სახიფათო მომენტი უფრო მეტი შეიქმნა. შონიას ჰქონდა ჩინებული შანსი, დაუშვილს კი დაასწრო, მაგრამ ბურთი მეკარისგან მიტოვებული კარიდან განზე წავიდა. **ვარლამ კილასონიამ** კი **გიორგი ლემონჯავას** ჩაწოდებულს მიაყოლა არაზუსტი თავური.

"ვიტ ჯორჯიამაც" გამოიდო თავი; **გურამ ადამაძის** თავური ნადირაძემ კუთხურზე მოიგერია, **ლაშა კასრაძის** შორეული დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს, შეცვლაზე შესული **ირაკლი ღიბრაძის** ჩაწოდების შემდეგ ჯანელიძეს მართებდა გატანა, მაგრამ მცველმა მოასწრო და დარტყმას გადაეფარა.

სპარტაკელმა კილასონიამ ორჯერ საშუალო დისტანციიდან სცადა ბედი, თუმცა ორივეჯერ სიზუსტემ უმტყუნა.

მატჩის ბოლოს "ვიტ ჯორჯიას" რიცხობრივი უპირატესობა შეექმნა, თუმცა დრო ბევრი აღარ იყო დარჩენილი კაცნაკლული "სპარტაკის" დასაჯაბნად.

საპასუხო შეხვედრაში შმაგი ბრძოლა იქნება – ასეთი შთაბეჭდილება დატოვა "მცხეთა პარკზე" მომხდარმა ამბავმა. მეოთხედფინალში გასასვლელად ორივე გუნდს თანაბარი შანსი უნდა ჰქონდეს, გუშინდელი შედეგიცა და თამაშის მსვლელობაც ამის თქმის საფუძველს იძლევა. ჟურნალისტებს კი ბევრად მწვავე იერიშებიც მოგვიგერიებია.

**დავით თავართქილაძე**
მცხეთა-თბილისი

# ფავორიტობა ჩისკომ გაამყარა



გამარჯვების გოლი ჩისკომ გაიტანა — ფოტო: www.fcdinamo.ge

26.02.ფოთი. ფაზისი.
700 მაყურებელი

კოლხეთი **0**
დინამო (თბ) **1**

0:1 ჩისკო (85)

| კოლხეთი 4-2-3-1 | დინამო 4-2-3-1 |
|---|---|
| ბუბუტეიშვილი | გ. ლორია |
| მ. ლორია | სეთურიძე |
| ფარულავა | გ. კვარაცხელია |
| ქორჩილავა | მაშიაშვილი |
| ხომხარია | მილხრაუმი |
| გოგონაია | გრაიციარი |
| ჩადუნელი | ალვარო |
| ზ. ჯანაშია | ძარია |
| კრასოვსკი | ჩისკო |
| გ. კილასონია | მერებაშვილი |
| კვანტალიანი | დვალი |
| მწვრთნელი ს. ფილია | მწვრთნელი დ. უჰრინი |

**კოლხეთი**

64. ხომხარია – **წაგრია**
76. ქორჩილავა – **მოისწრაფიშვილი**
85. კვანტალიანი – **ბუხაიძე**
*სათადარიგოები: ხარშილაძე, სარსანია, გულუა, ბარამიძე*

**დინამო**

72. მერებაშვილი – **პაპავა**
75. ალვარო – **კოტო**
88. დვალი – **ხოჭოლავა**
*სათადარიგოები: ზარქუა, გველესიანი, გლიშიჩი, ტატანაშვილი*
გაფრთხილება: კილასონია (64), შაშიაშვილი (68), ძარია (88), გოგონაია (88)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

"დინამოს" გაახალგაზრდავებული "კოლხეთის" დასამარცხებლად გვარიანი ძალისხმევა დასჭირდა და მასპინძლები მხოლოდ 85-ე წუთზე, ესპანელი **ჩისკოს** მიერ გატანილი გოლით გატეხა. როგორც დედაქალაქელთა ოფიციალური ვებგვერდი გვამცნობს, ინიციატივას "დინამო" ფლობდა და დაწინაურების რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. გასახსენებლად ღირს მეორე ესპანელის, **კარლეს კოტოს** დარტყმა, რომლისგანაც ფოთელები კარის ხარიხამ იხსნა.

"დინამო" ისედაც წყვილის გამოკვეთილი ფავორიტი იყო, ამ გამარჯვებით კი მეოთხედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



„მეტალურგის" კარს უტევს ალექსანდრე კობაძე — დავით კახიძის ფოტო

26.02.ქობულეთი. ჩელე არენა

დინამო (ბთ) **2**
მეტალურგი **1**

საპასუხო მატჩი
2 მარტს გაიმართება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები

# სტუმარმასპინძლობა ქართულ ფეხბურთში

## ანუ როცა ტაბლოზე 0:1 მასპინძელთა მოგებას ნიშნავს

26.02.ზესტაფონი. დ. აბაშიძე
1500 მაყურებელი

გურია **0**
ზესტაფონი **1**

0:1 დემელი (31. კუტალიას პასით)

| გურია 4-4-2 | ზესტაფონი 4-4-1-1 |
|---|---|
| ძაძამია | რ. კვასხვაძე |
| ჩვენე | თორ. გრიგალაშვილი |
| ს. თოდუა | კაჭკაჭიშვილი |
| მაისაშვილი | ლოსანო |
| ვართაგავა | ღონღაძე |
| ტ. კუკულაძე | კუტალია |
| ჯანგიძე | ილიჩი |
| გოგობერიშვილი | ბაბუნაშვილი |
| სალარიძე | რაჟამაშვილი |
| კვერენჩხილაძე | რეკრუკი |
| მ. კაკალაძე | დემელი |
| მწვრთნელი თ. ლორია | მწვრთნელი კ. კაჭარავა |

**გურია**

75. ტ. კუკულაძე - **შალამბერიძე**
81. სალარიძე - **ჩალაძე**
*სათადარიგოები: გოგუაძე, ა. შენგელია, დარჩიძე, ე. კილაძე, მაჩაიძე*

**ზესტაფონი**

62. რაჟამაშვილი - **სამუშია**
69. რეკრუკი - **გორგიაშვილი**
85. ბაბუნაშვილი - **ჭანტურიშვილი**
*სათადარიგოები: მეშველიანი, პეტკოვი, შარიქაძე, გაგოშიძე*
**გაფრთხილება:** ვართაგავა (45), რაჟამაშვილი (59), გოგობერიშვილი (77), ლოსანო (77), ჯანგიძე (77), კვასხვაძე (77), შალამბერიძე (81), ღონღაძე (81)
**არბიტრი:** ჯ. ხორავა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თასის პირველი მფლობელის, ამჟამად პირველლიგელი „გურიასა" და მოქმედი ჩემპიონის, ასევე სუპერთასის ბოლო გამარჯვებულ „ზესტაფონის" პირველი მერვედფინალური მატჩის ლანჩხუთიდან ზესტაფონში გადატანამ გურულთა შანსები შეამცირა, თამაშის მიმდინარეობა ისეთი გახლდათ, ყველანაირი შედეგი მოსალოდნელი იყო - შეიძლებოდა მასპინძლებს უფრო სოლიდურადაც მოეგოთ, არც ფრე იქნებოდა ალოგიკური, ხოლო სტუმარ-„მასპინძელს" რომ მეტად გამართლებოდა, შესაძლოა, მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირებულიყო.

ორივე გუნდში ბევრი ახალწვეულია და თითქოს შეთამაშების პრობლემა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გუნდებმა პირველი მატჩის კვალობაზე ნორმალური ბურთაობა გააჩაღეს. თუ ფეროელთა ევროსაგზურის მთავარი ხაზი თასზე გადის, ლანჩხუთელთათვის ასეთ მატჩებს საჩემპიონატოდ მოსამზადებელი ფუნქცია უფრო აკისრია. ამიტომაც გურულებს ფსიქოლოგიური პრობლემა ნაკლებად უნდა ჰქონოდათ, მაგრამ საწყის წუთებში მოქმედ ჩემპიონთან ერთგვარი კომპლექსი ეტყობოდათ, ხოლო იმერლებს ხელი, ალბათ, მეტოქის ცოტათი შეუფასებლობამაც შეუშალა.

თუმცა „გურია" მალევე გამოერკვა და განსაკუთრებით მეორე ტაიმი თანაბრად ეთამაშა მეტოქეს. რიგ ეპიზოდებში კი ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდა. „ევგრაფი შევარდნაძის" მოუწესრიგებლობის გამო სტუმრად ქცეული მასპინძლების წისქვილზე წყალი „ზესტაფონის" ორი წამყვანი მობურთალის (**თორნიკე აფციაურმა** და **ალექსი ბენაშვილმა** სუპერთასზე კი ითამაშეს, მაგრამ სათასო მატჩის განაცხადშიც არ იყვნენ) არყოფნამაც დაასხა.

მატჩის პირველი რეალური ხიფათის შექმნა „მასპინძლებმა" მოახერხეს, როცა კარგი კომბინაციის შემდეგ **მიხეილ კაკალაძე** ცარიელ კართან აღმოჩნდა, თუმცა მანამდე ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა. ეს 29-ე წუთზე მოხდა.

ამ ეპიზოდიდან ორიოდ წუთში ფეროელებმა ანგარიში გახსნეს — მარცხენა ფლანგზე მეტად აქტიური **დავით რაჟამაშვილის** მორიგ აქტიურობას ბურთის შორეულ ძელთან ჩაკიდება მოჰყვა: ისე ჩანდა, რომ ბურთი კარს ასცდებოდა, მაგრამ ქარმა მასზე ისეთი გავლენა მოახდინა, გურულთა მეკარეს შეცდომა დააშვებინა — **გიორგი ძაძამიას** დაგვიანებულმა გამოსვლამ ის მოიტანა, რომ ზესტაფონელთა ახალწვეულმა **ლევან კუტალიამ** კოტდივუარელ **ბოტი გოა დემელს** ცარიელ კარში გატანის საშუალება მისცა.

სულ მალე ისევ რაჟამაშვილმა ცოტათი ააცილა, როცა საჯარიმოს მისადგომებიდან ურტყამდა, იქვე ძაძამიამ იმავე მანძილიდან სახიფათოდ დარტყმული მოიგერია.

ამას ტაიმში გურულთა საუკეთესო შანსი მოჰყვა — ლანჩხუთელთა მთავარმეგოლე **გიგა კვერენჩხილაძე** კარგადაც გაიხსნა და ბურთიც კარგად შეიგდო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ შეყრილმა **როინ კვასხვაძეს** ველარ აჯობა.

მეორე ნახევარი ფორმალურმა მასპინძლებმა მეტად აქტიურად დაიწყეს — მათგან საუკეთესო **ალეკო გოგობერიშვილმა** ორჯერ სცადა სტანდარტულის შორეულ ძელთან „ჩახვევა" — პირველად კვასხვაძემ გუნდის გადარჩენა მოახერხა, მეორედ კი იუბილარ გოგობერიშვილს (მატჩის დღეს იგი 36 წლის გახდა) მიზანმა უმტყუნა.

სულ მალე „ზესტაფონი" აშკარა გოლს გადაურჩა — მიხეილ კაკალაძე საჯარიმოში კარგად გაერკვა, წინგამოსულ კვასხვაძესა და მცველებს შანსი არ დაუტოვა, მაგრამ ფეროელები ძელმა გადაარჩინა.

გურულთა ახალწვეულს კიდევ ერთი შანსი უკვე 69-ე წუთზე მიეცა, მაგრამ საჯარიმოს ფლანგზე შეჭრილს ბურთის საგოლედ მიღება-დამუშავების შანსი „ზესტაფონის" მეკარის გონივრულმა მოქმედებამ არ მისცა.

ამ ორ ეპიზოდს შორის ანგარიშის გაზრდა „ზესტაფონს" შეეძლო, მაგრამ ჯერ მეკარემ და შემდეგ მცველებმა არ მისცეს ბურთს კარში შესვლის საშუალება. მალევე ფეროელებმა კარგი ფლანგური გარღვევისას მიღებული ჩინებული შანსი ვერ გამოიყენეს. აქვე უნდა ითქვას, რომ „გურიის" დაცვის საიმედო თამაშში დიდი იყო გამოცდილი ახალწვეულის, **სევასტი თოდუას** წვლილი.

ბოლოსკენაც გაცვალეს გუნდებმა ეპიზოდები — თუ კვასხვაძემ გოგობერიშვილის გასროლა კუთხურზე იმიტომ გადააგდო, რომ უბრალოდ, ზედმეტად არ გარისკა, „გურია" ორჯერ გადარჩა — პირველად **იგორ ილიჩის** ჩინებულ ჩაწოდებულს დემელი თავით ჩინებულად და სადუბლედ გამოეხმაურა, მაგრამ ძაძამიამ იმ კატეგორიის ბურთი უკუაგდო, როგორიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში **ჯიჯი ბუფონმა** გენიალური **ზიდანის** დარტყმის შემდეგ; სულ ბოლოს კი იმავე ილიჩმა მძლავრად გაისროლა და „გურია" ხარიხამ გადაარჩინა, მასპინძლები გოლის დაფიქსირებას ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯების აზრით, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია.

ამის გარდა „თემიდის მსახურები" კიდევ ორჯერ მოექცნენ ყურადღების ცენტრში, ოღონდ მობურთალთა „დამსახურებით" — მართალია, **ჯენერი ხორავას**, ალბათ, ყვითელი ბარათების აქტიურად გამოყენება დაუგვიანდა, მაგრამ ეს არ ამართლებს ფეხბურთელებს, მეტიც — არბიტრი სამართლიანად მოიქცა, როცა ნახსენებ ორ ეპიზოდში მოუხეშ-მოკინკლავე 6 ფეხბურთელი გააფრთხილა, აქედან 4 — ერთდროულად.

**მათე გურული**
ზესტაფონიდან



ნათან ჟუნიორმა ჰეთ თრიკი შეასრულა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მეოთხედფინალი გორიდანვე გამოჩნდა

26.02.გორი. თ. ბურჯანაძე
1500 მაყურებელი

დილა **6**
სამტრედია **0**

1:0 კახელიშვილი (10), 2:0 ჟუნიორი (27), 3:0 ჟუნიორი (50), 4:0 ჟუნიორი (66), 5:0 გორელიშვილი (79), 6:0 გორელიშვილი (88)

| დილა | სამტრედია |
|---|---|
| შეყრილაძე | კეკელიძე |
| ალადაშვილი | დვალიშვილი |
| კვახაძე | ხაჭაპურიძე |
| გვალია | ჟვანია |
| კვირკველია | ჩხიკვაძე |
| კახელიშვილი | კერძევაძე |
| ილურიძე | მელქაძე |
| ი. მაისურაძე | ბოხუა |
| ნ. ჯიშკარიანი | სამსეიშვილი |
| ლეონარდო | გედენიძე |
| ჟუნიორი | ჩიხლაძე |
| მწვრთნელი ვ. ივანაუსკასი | მწვრთნელი დ. ჭელიძე |

**დილა**

46. ლეონარდო — **მოდებაძე**
67. კახელიშვილი — **გორელიშვილი**
67. ჟუნიორი — **არაბული**
**სათადარიგოები:** *მამალაძე, არზიანი, ლომიძე, თოთაძე*

**სამტრედია**

46. ბოხუა — **კიკაბიძე**
46. ჩიხლაძე — **ხაჭიპერაძე**
71. მელქაძე — **კუპრეიშვილი**
**სათადარიგოები:** *ბანძავა, რუხაძე, ახობაძე, ნიკურაძე*
**გაფრთხილება:** კერძევაძე (10, 65)
**გაძევება:** კერძევაძე (66)
**არბიტრი:** გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

გორის „დილას" და მის ახალ თავკაც **ვალდას ივანაუსკასს** წლევანდელი წლის პირველი საშინაო შეხვედრა მეტად წარმატებული გამოუვიდათ. მერე რა, რომ „სამტრედია" ქვედა ლიგაში თამაშობს და ამ ეტაპზე შიდაქართლელთა კლუბზე სუსტად მიიჩნევა. უპირატესობა, რომლითაც მასპინძლებმა სამტრედიელები დაამარცხეს, მეტად შთამბეჭდავი იყო. მართალია, წინასწარი პროგნოზებით ფავორიტებად გორელები ითვლებოდნენ, მაგრამ ექვსი უპასუხო გოლით გამარჯვებას იშვიათად თუ ვინმე იწინასწარმეტყველებდა.

„დილას" მთავარი მწვრთნელის ამპლუაში თავის მეორე ოფიციალურ შეხვედრაში ივანაუსკასმა თითქმის ისეთივე შემადგენლობა დააყენა (ძირითადში 2 ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა), როგორიც პირველ, სუპერთასის მატჩში „ზესტაფონთან". ტაქტიკური თვალსაზრისით კი ლიტველს ამჯერად მკვეთრად შეტევაზე ორიენტირებული ჰყავდა შეგირდები. ბრაზილიელ ლეგიონერთა დუეტიც თავიდანვე გამოკვეთილ თავდამსხმელებად ვიხილეთ. თუმცა პირველი გოლი **გიორგი კახელიშვილის** ფლანგიდან შეტევას მოჰყვა, როდესაც მის დარტყმულს საშუალო მანძილიდან ვერაფერი დაუპირისპირა სტუმართა მეკარე **დავით კეკელიძემ** და ანგარიში გაიხსნა. ცოტა ხანში **ნათან ჟუნიორმა ლეონარდოს** პასით ანგარიშის გაზრდის კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. 23-ე წუთზე კი უკვე ლეონარდოს ძლიერი დარტყმული მოხვდა კარის ხარიხას და სტუმართა სასიხარულოდ ხაზს გარეთ დაეცა. მაგრამ მინიმალური სხვაობა დიდხანს აღარ შენარჩუნებულა. 27-ე წუთზე მასპინძლების იერიშისას მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი საჯარიმოდან რომ ვერ გამოიტანეს სამტრედიელებმა, ჟუნიორმა ისარგებლა და კარის ბადე ამ მატჩში პირველად შეარხია. „დილა" ამის შემდეგ კიდევ უფრო თავდაჯერებით შეუდგა მეტოქის დაწნეხას. მართალია ტაიმის ბოლომდე გოლი აღარ გასულა, მაგრამ მათი უპირატესობა აშკარა გახდა. „სამტრედიელებს" სულ უფრო უჭირდათ მოედნის მეტოქის ნახევარზე თამაშის გადატანა, აღარაფერს ვამბობთ იქ მათ მიერ ბურთის გაკონტროლებაზე. შესვენებამდე ლეონარდომ კიდევ ერთი მომენტი ვერ აქცია გოლად, მეორე ტაიმის დასაწყისში კი როდესაც სტუმართა დაცვა შეცდა მის ნაცვლად გამოსულმა **ირაკლი მოდებაძემ** გააკეთა იგივე. ერთ წუთში ჟუნიორმა სამტრედიელების დაცვის ზედიზედ მეორე ჩავარდნით ისარგებლა და ანგარიში 3:0 აქცია. სტუმრებმა თავი თითქმის ვერაფრით დაგვამახსოვრეს - შედარებით უკეთესი გარჯით კი **გედენიძე** გამოირჩეოდა. თავის მხრივ „დილას" მცველებს საქმე თითქმის არ ჰქონიათ. 66-ე წუთზე ჟუნიორმა კიდევ ერთხელ დასაჯა მეტოქე და თავის წილად „ჰეთ თრიკი" მიითვალა 4:0. ეს წუთები განსაკუთრებით ცუდი გამოდგა სამტრედიელებისათვის. მათ ამ დროს მიიღეს მეოთხე გოლი, არბიტრმა გაუძევა ფეხბურთელი, კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩაყარა ისინი და იქვე მოედანზე შემოვიდა **მიხეილ გორელიშვილი**, რომელმაც კიდევ ორჯერ შეარხია კეკელიძის კარის ბადე. ასისტენტობა მას მოდებაძემ გაუწია. საბოლოოდ 6:0, რაც საქართველოს თასის მოქმედ მფლობელებს გზას უხსნის მეოთხედფინალისაკენ.

**მატჩის შემდეგ**

**დავით ჭელიძე** (სამტრედია): *„ჩვენ პირველი ლიგის გუნდი ვართ და აქცენტსაც ამ ლიგაზე ვაკეთებთ. „დილამ" აშკარად გვაჯობა და ისღა დაგვრჩენია მივულოცოთ მას მომდევნო ეტაპზე გასვლა. ჩვენ კი შევეცდებით საპასუხო შეხვედრაში იმაზე უკეთ ვითამაშოთ, ვიდრე გორში"*

**ვალდას ივანაუსკასი** (დილა): *„ამ მატჩში ყველაზე მთავარი იყო, რომ ჩვენი გუნდი სერიოზულად მოეკიდებოდა საქმეს. სუპერთასზე განცდილი მარცხის მერე ჩვენ აუცილებლად გვჭირდებოდა გამარჯვება და მიზანს მივაღწიეთ. მეტიც, ფაქტობრივად გადავწყვიტეთ წყვილში გამარჯვებულის ვინაობა. უშუალოდ ფეხბურთელთა ასპარეზობითაც ცხადია კმაყოფილი ვარ"*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ფოტო: www.fczestafoni.ge

ეროვნული

საქართველოს თასი. მერვედფინალი. პირველი მატჩები

26.02.თბილისი. მ. მესხი
500 მაყურებელი

სიონი 3
ზუგდიდი 0

1:0 ლექვთაძე (11), 2:0 ლექვთაძე (37. მიკუჩაძის პასით), 3:0 ახალაია (44. მიკუჩაძის პასით)

| სიონი | ზუგდიდი |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ბობღიაშვილი | ძაგანია |
| დ. ფოფხაძე | აფაქიძე |
| სვანიძე | გამეზარდაშვილი |
| ორბელაძე | აკობია |
| ელიავა | რ. ონიანი |
| უგრეხელიძე | შ. ლომია |
| ჰაიდუშეკი | გუგუჩია |
| ცხადაია | სიხარულია |
| ლექვთაძე | ეხვაია |
| მიკუჩაძე | წურწუმია |
| ახალაია | გაბედავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. ჯელაძე | ე. ქომეთიანი |

**სიონი**

60. მიკუჩაძე – **ჯოჯუა**
73. ჰაიდუშეკი – **მანწკავა**
77. ლექვთაძე – **ბიბილეიშვილი**
სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ქემოკლიძე, ჩივაძე, საპირი

**ზუგდიდი**

46. აფაქიძე – **კანკია**
46. შ. ლომია – **ნ. შონია**
46. ეხვაია – **ფარჯიკია**
სათადარიგოები: მაქაცარია, აქუბარდია, ქვარცხავა, ხუბუა
გაფრთხილება: ლექვთაძე (48), შონია (68), ფარჯიკია (73), გაბედავა (79), მანწკავა (82)
არბიტრი: ხ. გაგნიძე



სიონის ახალწვეულმა ირაკლი ლექვთაძემ (№9) დუბლი შეასრულა

# სულ სხვა სიონი

მატჩის წინ აღვნიშნეთ, რომ ამ წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავდა, მაგრამ მოედანზე განვითარებულმა მოვლენებმა საპირისპიროში დაგვარწმუნა. ნათლად გამოჩნდა, რომ ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი "სიონმა" მეტოქეზე ბევრად ნაყოფიერად გამოიყენა. შეხვედრა ბოლნისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და სრულიად ლოგიკური შედეგით დასრულდა.

ყველა მთავარი მოვლენა პირველ ტაიმში მოხდა. "სიონმა" სწრაფი გოლის გატანა შეძლო. **ირაკლი ლექვთაძემ** ბრძოლით შეძლო დასარტყამ პოზიციაზე გასვლა და საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტად გაისროლა – 1:0.

ზუგდიდელებს მან მეორეც გაუტანა, რაშიც ამჯერად **კოკა მიკუჩაძე** დაეხმარა. ზედ შესვენების წინ კი ეს უკანასკნელი მეორე შედეგიანი გადაცემის ავტორად მოგვევლინა – მის მიერ ჩაწოდებულ საჯარიმოს **ლადო ახალაია** გამოეხმაურა და ანგარიში "ზუგდიდისთვის" გამანადგურებელი გახადა.

სამართლიანობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრებმა შეხვედრის მეორე ნახევარი ბევრად მაღალ დონეზე ჩაატარეს და იმედისმომცემი გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ **ზვიად სიხარულიამ** ორი ხელსაყრელი მომენტის გამოყენება ვერ შეძლო. თავის მხრივ, ქვემოქართლელებსაც ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის შანსი, როცა ახალაიასა და შეცვლაზე შესულ **გიორგი მანწკავას** დარტყმები არ წაუვიდათ.

ასე გადადგა "სიონმა" მეოთხედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი. ბოლნისელები ზუგდიდში უდავო ფავორიტის სტატუსით გაემგზავრებიან.

**მატჩის შემდეგ**

**არმაზ ჯელაძე** (სიონი): "ჩემს ფეხბურთელებს ბრძოლისა და კარგი თამაშისთვის მადლობას ვუხდი. "ზუგდიდი" ანგარიშგასაწევ ძალად რჩება და მასთან დაპირისპირება ჩვენთვის იოლი არ ყოფილა".

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): "შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი უკვე ნაკლებად გვაქვს, მაგრამ საპასუხო მატჩში გამარჯვებას მაინც შევეცდებით. ფაქტია, რომ ცუდად ვითამაშეთ და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ".

**ლევან ჯანეზაშვილი**
გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ჩიხურამ კარგად ნაივარჯიშა

26.02.ჩაანწმინდა.
600 მაყურებელი

ჩიხურა 8
შუქურა 0

1:0 დეკანოიძე (12), 2:0 დეკანოიძე (18), 3:0 დეკანოიძე (30), 4:0 კვასხვაძე (39), 5:0 კვასხვაძე (41), 6:0 დეკანოიძე (57), 7:0 კირკიტაძე (60), 8:0 ზაბახიძე (76).

| ჩიხურა | შუქურა |
|---|---|
| სომხიშვილი | თ. კაკალაძე |
| ოდიკაძე | ლ. მახარაძე |
| ლ. ჯელიძე | ბრაჯული |
| საჯაია | ფუტკარაძე |
| კაშია | ა. გოგიტიძე |
| დიღმელაშვილი | ტაკიძე |
| ლომაშვილი | ჩხიკვიშვილი |
| დ. ბოლქვაძე | ბალაძე |
| კირკიტაძე | ხუჯუა |
| ნ. კვასხვაძე | ჩელებაძე |
| დეკანოიძე | ტუღუში |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფრუიძე | ა. ბალაძე |

**ჩიხურა**

46. ლომაშვილი – **ზაბახიძე**
46. კვასკვაძე - **გ. ჩხეტიანი**
68. დეკანოიძე – **ჩიკვაიძე**
სათადარიგოები: მწყერაშვილი, ქიმაძე, გოცირიძე, ბერიანიძე

**შუქურა**

37. ა. გოგიტიძე – **ნ. გოგიტიძე**
46. ჩელებაძე – **დევაძე**
სათადარიგო: შერვაშიძე, კვესეიშვილი
გაფრთხილება: საჯაია (71)
გაძევება: ჩხიკვიშვილი (71)
არბიტრი: ბ. ნინუა

რეალობას ვერ გავურბივართ, თორემ სათაურად გამოტანილი წინადადებით სულაც არ გვინდა „შუქურას" დაკნინება, რომელიც, სამწუხაროდ, მთელი თამაშის მანძილზე ოდნავ „ბჟუტავდა".

კი, კლასი მაინც კლასია, მაგრამ სათასო შეხვედრაში, ტრადიციულად, ამ განსხვავებას, როგორც წესი, შესაშური მონდომება, ჟინი და შემართება ანეიტრალებს ხოლმე.

ჩამოთვლილი თვისებების გამოსამჟღავნებლად პირობები საკმარისად ჰქონდათ სტუმრებს (სითბო, მზიანი ამინდი, მშრალი, კარგი მინდორი), მაგრამ...

ქობულეთელთა რბევა **ბესიკ დეკანოიძემ** დაიწყო, როცა, მე-12 წუთზე **დავით კირკიტაძემ** კარგ მდგომარეობაში მყოფ **ნიკა კვასხვაძეს** უზუსტესი პასი მისცა, ამ უკანასკნელმა კი მეკარეს შეატოვა პირისპირ საჩხერელთა 51-ე ნომერი და 1:0.

ანალოგიური პასი მე-14 წუთზეც მისცა კვასხვაძემ დეკანოიძეს, მაგრამ მეკარემ დაასწრო წამით.

მე-18 წუთზე კირკიტაძემ ისევ გამოზომილად უპასა **კაკალაძესთან** ერთიერთზე დარჩენილ დეკანოიძეს – 2:0.

28-ე წუთზე **შოთა კაშიამ**, რომელსაც, ისევე როგორც **დავით ბოლქვაძეს**, სულაც არ ეტყობოდა „ჩიხურაში" ახალბედობა, გოლი კი გაიტანა, მაგრამ სულ ოდნავ თამაშგარე მდგომარეობიდან.

30-ე წუთზე დეკანოიძე კვლავ პირისპირ გადის მეკარესთან, ამჯერად **დავით ოდიკაძის** პასით – 3:0.

კირკიტაძე–კვასხვაძის–დეკანოიძის „ტრიო" მართლაც შეუჩერებელი იყო და ეს ანგარიშშიც აისახა: 39-ე წუთზე კირკიტაძის პასს ვერ შესწვდა თავით ქობულეთელთა მცველი და კვასხვაძემაც არ დააყოვნა აუღებელი დარტყმა – 4:0.

მეოთხის ტყუპისცალი იყო მეხუთე გოლიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კვასხვაძემ ამჯერად, მოწინააღმდეგე მცველისაგან მიიღო ბურთი, გაისწორა, დაამუშავა და ისე დაუბათქუნა, რომ მეკარემ ვერაფერი შეძლო თვალის გაყოლების მეტი.

ტაიმის უკანასკნელ წუთზე **ხუჭუამ** სცადა **სომხიშვილის** "უსაქმურობიდან გამოყვანა" – მისი დარტყმა სულ მცირე მანძილით გადასცდა ხარიხას.

57–ე წუთზე ისევ კირკიტაძემ ანგარიში 7:0-მდე გაზარდა, 71-ე წუთზე **ჩხიკვიშვილმა** უხეშობისთვის მსაჯის მიერ ნაჩვენები ყვითელი ბარათი არ აკმარა და საჯაიას თავში მუშტი ჩასცხო, რის გამოც სამართლიანად იქნა გაძევებული.

78-ე წუთზე **ზაბახიძემ** მოუნახა ბურთს უძლიერესი დარტყმით ადგილი კარის დაბალ კუთხეში – 8:0.

ბოლო წუთზე ისევ ხუჭუამ სცადა გუნდისთვის სირცხვილის ოდნავ მაინც მოწმენდა: საჯარიმოს გარეთ გამოსული სომხიშვილი დასწრებაზე კი მოატყუა, მაგრამ კუთხიდან ცარიელ კარში ზუსტად დარტყმისათვის ძალა აღარ ეყო.

ამ გამარჯვებით, ვფიქრობთ, „ჩიხურა" უკვე სათასო გათამაშების შემდგომ ეტაპზეა და განმეორებითი შეხვედრა აღარაფერია ფორმალობის მეტი.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან



ბესიკ დეკანოიძემ პოკერი შეასრულა

დაბრუნება



კოკა მიკუჩაძე

## კოკა მიკუჩაძე:
# ისრაელიდან ომის გამო წამოვედი

**ბოლნისის "სიონმა" ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის — 32 წლის თავდამსხმელი კოკა მიკუჩაძე.**

**ბევრს გაუკვირდა, თუ რატომ დაინტერესდა "სიონი" მოთამაშით, რომელიც ნახევარი წელიწადი უთამაშებელი იყო; თუმცა, მიკუჩაძემ მოსამზადებელ ეტაპზე ამ კითხვებს პასუხი გასცა – გუნდის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი გახლდათ და გოლიც თითქმის ყველა მატჩში გაიტანა.**

**მიკუჩაძემ კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი ისრაელში გაატანა: თამაშობდა ბეერ შევას "ჰაპოელში" (2006-2007), "ნაზარეთში" (2007-2008), ირონის "მაკაბიში" (2009-2010), ბნეი უდას "ჰაპოელში" (2010-2011), 2012 წლამდე კი ბნეი ლოტის "ჰაპოელში" გამოდიოდა.**

**დღეს კოკა მიკუჩაძე "ლელოს" კითხვებს პასუხობს:**

**- როგორ მოხვდი "სიონში", სადაც 2005-06 და 2009 წლებში უკვე თამაშობდი?**

- ნახევარი წელიწადი არსად ვთამაშობდი. შემოდგომაზე ისრაელში უნდა წავსულიყავი და უგუნდოდ ნაღდად არ დავრჩებოდი, მაგრამ მოხდა ისე, რომ დარჩენა ვამჯობინე, თანაც იქ თამაში აღარ მინდოდა.

**- ყველა უცხოეთში გარბის და ისრაელში ახლა რატომ აღარ დაბრუნდი?**

- იმიტომ, რომ ისრაელში შარშან შემოდგომაზე ვითარება ძალიან დაიძაბა. ხომ იცით, ისრაელსა და პალესტინას შორის რა მძიმე ვითარებაა; სადაც არ უნდა წასულიყავი, ყველგან ბომბი ვარდებოდა, იყო სისხლი და უბედურება და გასაკვირი არც უნდა იყოს, ასეთ გარემოში სტაბილური ხელფასიც არ მინდოდა.

**- ვარჯიშიც საშიში იყო?**

- რა თქმა უნდა! იქ ნამდვილი ომი მიდიოდა. თუმცა, ახლახან ბიჭებს შევეხმიანე და მითხრეს, რომ ვითარება შედარებით დაწყნარდა.

**- არნანობ, ისრაელში რომ არ დაბრუნდი?**

- არ ვნანობ, რადგან "სიონი" საკმაოდ საინტერესო კლუბი აღმოჩნდა. მეორეც არის: მუდმივად უცხოეთში თამაშის გამო, ოჯახსა და მეგობრებს მოწყვეტილი ვიყავი, მუდამ სახლი და ჩემიანები მენატრებოდა. ასე ცხოვრება კი მიძნელდებოდა..

**- ომის მიუხედავად, ისრაელში მაინც ძლიერი ლიგაა და ბევრი ლეგიონერიც ეტანება.**

- იმიტომ, რომ ძლიერი ქვეყანაა და წელშიგამართული კლუბები ჰყავთ. მართალია, ევროპის გრანდებს არ განეკუთვნებიან, მაგრამ პირველი ლიგაც ძლიერია და ეტყობა, იქ თამაშიც წამადგა, რაც მოსამზადებელ ეტაპზე გამოჩნდა. გოლები ისრაელშიც გამქონდა, რეჟიმში ვიყავი და ფორმიდან არ ამოვვარდნილვარ. სხვათა შორის, 2009-10 წლების სეზონში პირველი ლიგის ბომბარდირიც გავხდი, მაშინ ირონის "მაკაბიში" ვთამაშობდი.

**- ასეთი ტიტულის მქონე უმაღლესი ლიგის გუნდში არ მიგიწვიეს?**

- ძალიან კარგი წინადადებები მქონდა, მაგრამ ჩემს გუნდსაც უმაღლეს ლიგაში გადასვლა სურდა, მეც ყველასთან კარგად ვიყავი, მწვრთნელებთან და ბიჭებთან, გიორგი გაბიდაურთან ერთად ვთამაშობდი და ამ ყველაფერის გამო აღარ წავედი.

**- "ზუგდიდთან" სათასო შეხვედრამდე განაცხადში შეყვანა რატომ დაგიგვიანდა?**

- ვიცოდი, რომ სატრანსფერო ფურცელი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ თამაშის წინადღეს აღმოჩნდა, რომ ბნეი ლოტის "ჰაპოელი" არ ჩქარობდა. საბოლოოდ, ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარდა და ვითამაშე.

**- "სიონის" დღევანდელ შემადგენლობაზე რას იტყოდი?**

- საქართველოს ჩემპიონატის ამბებს ინტერნეტით ვეცნობოდი და ვიცოდი, რომ გუნდი აუტსაიდერებში იყო. მაგრამ იმდენი ძლიერი მოთამაშე დამხვდა, აშკარაა, გუნდი გაძლიერდა.

თანაც, ანთალიაში ძალიან კარგი შეკრება და სპარინგები გვქონდა, საკმაოდ კარგადაც ვითამაშეთ. მიმაჩნია, რომ "სიონი" მეორე ეტაპისათვის კარგად მოემზადა და გუნდი არათუ უმაღლეს ლიგაში შეინარჩუნებს ადგილს, მომავალ სეზონამდე კიდევ უფრო გაძლიერდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს თასის საპასუხო მატჩები
2 მარტს გაიმართება

ფეხბურთი ყველასათვის

# სტუდენტთა ფუტსალი

საქართველოს უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზებში მიმდინარეობს ფუტსალში საქართველოს სტუდენტური ლიგის მატჩები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდის, გორის უმაღლესი სასწავლებლების 30 გუნდის მონაწილეობით. გუნდები გადანაწილებულია 8 ქვეჯგუფში. ორ-ორი საუკეთესო 8 - 19 აპრილს თბილისში ფინალურ ეტაპზე გააგრძელებს ბრძოლას პირველობისთვის.

I ტურის შედეგები: შავი ზღვის უნივერსიტეტი - თბილისის ღია უნივერსიტეტი 5:4; სამხატვრო აკადემია - ჯიპა 5:4; საქართველოს უნივერსიტეტი - გ. რობაქიძის უნივერსიტეტი 8:2; გ. თავართქილაძის უნივერსიტეტი - სუხიშვილის უნივერსიტეტი 5:3; სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი - კავკასიის უნივერსიტეტი 7:2; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი 19:1.

I ტურის დარჩენილი მატჩები 2 მარტს გაიმართება.

„ლელოს" კორ.

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტურის შეჯამება



# ინგლისური ფეხბურთის უელსური ფერები

გარეთ ბეილს ბოლო თამაშებში ველარ აჩერებენ

უქმეებზე ინგლისური ფეხბურთის მთავარი მოვლენა პრემიერლიგის XXVII ტური კი არა ლიგის თასის ფინალი იყო, სადაც „სუონსიმ“ „ბრედფორდს“ 5:0 მოუგო. უკანასკნელად უელსური კლუბის, კონკრეტულად „კარდიფ სიტის“, ანალოგიური გმირობა 1927 წლით თარიღდებოდა. თუმცა ეს სხვა სტატიის თემაა. ჩვენ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ.

ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა როგორც ლიდერთა, ისე აუტსაიდერთა შორის. „მანჩესტერ სიტიმ“ იოლად ალკვეთა „ჩელსის“ მცდელობა, ჩართულიყო მეორე ადგილისთვის ბრძოლაში. ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულს საქმე ახლა ბევრად უფრო რთულად აქვს, რადგან „ტოტენჰემმა“ „ვესტ ჰემთან“ დერბის მოგების წყალობით „ჩელსი“ მეოთხე ადგილამდე ჩამოაქვეითა. ზემოთ ხსენებული ორივე თამაში ლოგიკურად დასრულდა, რაშიც გულშემატკივარი ნამდვილად დაგვეთანხმება. „ეტიჰადზე“ „სიტის“ უპირატესობა იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მას ორი თანაბარძალოვანი გუნდის დაპირისპირებას ვერავინ დაარქმევდა. სწორედაც რომ არასტაბილური თამაშია „ლურჯების“ თაყვანისმცემელთა უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი. **რაფა ბენიტესის** ხელმძღვანელობით, „ჩელსი“ კარგ შეხვედრებს ჩავარდნებს უნაცვლებს და ამით რა შედეგსაც აღწევს, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. **რომან აბრამოვიჩისთვის** რამდენად გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს **ანდრე ვილაშ ბოაშის** ამჟამინდელ გუნდთან ჩამორჩენა, ამის წარმოდგენა თქვენთვის მოგვინდვია. ჩვენ მხოლოდ ერთს დავწერთ: რაფა ბენიტესმა საკუთარ თავს ამ შეხვედრაში განარჩენი გამოუტანა.

ზემოთ ჩემპიონატის აუტსაიდერები ვახსენეთ: „უიგანმა“ მოულოდნელად „რედინგს“ გასვლაზე 3:0 სძლია და გასავარდნ ზონას თავი დააღწია. **რობერტო მარტინესის** გუნდმა შარშან ცოტა უფრო გვიან წამოიწყო საფინიშო სპურტი, რომლის წყალობითაც პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა. შესაძლოა, ესპანელმა სიურპრიზები წელსაც შემოგვთავაზოს.

### ბომბარდირები

19 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
18 - **ლუის სუარესი** (ლივერპული)
15 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი)
14 - **დემბა ბა** (ნიუკასლი/ჩელსი)
12 - **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი), **რომელუ ლუკაკუ** (ვესტ ბრომვიჩი)

### ასისტენტები

9 - **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი), **ხუან მატა** (ჩელსი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული)
8 - **თეო უოლკოტი** (არსენალი), **ედენ აზარი** (ჩელსი)
7- **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **დემიენ დაფი** (ფულჰემი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **დავიდ სილვა** (მანჩესტერ სიტი), **ჟან ბოსეჟური** (უიგანი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)

### გოლი+პასი

26 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 19+7
22 - **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 18+4
19 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 10+9, **თეო უოლკოტი** (არსენალი) 11+8
17 - **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 10+7, **ლუკას პოდოლსკი** (არსენალი) – 8+9, **მიგელ მიჩუ** (სუონსი) – 15+2, **სანტი კასორლა** (არსენალი) - 11+6, **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული) – 8+9

### გაფრთხილებები

8 - **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **მეტიუ ლოუტონი** (ასტონ ვილა)

### სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი)
2. **ხუან მატა** (ჩელსი)
3. **პატრის ევრა** (მანჩესტერ იუნაიტედი)
4. **ლეიტონ ბეინსი** (ევერტონი)
5. **სანტი კასორლა** (არსენალი)

### ზოგადი სტატისტიკა დღეისთვის

270 მატჩი
190 მოგება
80 ფრე
137 მშრალად შენახული კარები
25 უგოლო მატჩი
771 გოლი
6 ჰეთ თრიკი
48 პენალტი
24 ჯარიმა
139 თავით
560 ფეხით (+სხვა)
2.86 საშუალო შედეგიანობა
35 ავტოგოლი
517 ფეხბურთელი
25.9 საშუალო ასაკი
336 ლეგიონერი
71 ეროვნების მოთამაშე
833 ყვითელი ბარათი
32 წითელი ბარათი
9 გაძევება ორი ყვითლით
23 გაძევება წითელი ბარათით

### ტურის მწვრთნელი

პრემიერლიგის XXVII ტური უჩვეულოდ, ოთხ დღეზე გადანაწილდა. მიზეზი ლიგის თასის ფინალი იყო. „სუონსიმ“ და „ლივერპულმა“ ერთმანეთში 17 თებერვალს ითამაშეს. „გედებმა“ „ენფილდზე“ შესუსტებული შემადგენლობა გამოიყვანეს და პირწმინდად განადგურდნენ. უელსელებს მერსისაიდში 12 შეხვედრაში 9 წაგება და 3 ფრე დაუგროვდათ. მასპინძელს ცოტა დააკლდა, 1990 წლის ლიგის თასის შედეგი კინაღამ გაიმეორა. 23 წლის წინ „ლივერპულმა“ 8 უპასუხო გოლი გაიტანა. მცირე ისტორიულ ექსკურსს „სუონსის“ ყოფილი დამრიგებლის **ბრენდან როჯერსის** ფაქტორი დაუმატეთ და მიხვდებით, რომ მატჩი სულაც არ იყო ერთი რიგითი დაპირისპირება. ჩრდილოირლანდიელს მარტო ანგარიშის კი არა, პირველ რიგში თამაშის ხარისხის გამო ვასახელებთ ტურის საუკეთესო მწვრთნელად. აი, რა თქვა გამარჯვებულთა 40 წლის თავკაცმა: *„ჩემი ფეხბურთელების თამაში დიდებული იყო. წარუმატებელი თამაშების შემდეგ დღეს სამი ქულის აღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა“.*

### ტურის გმირი

**გარეთ ბეილს** ბოლო 8 ტურში 9 გოლი აქვს გატანილი. პრემიერლიგაში „ტოტენჰემის“ უკანასკნელი 7 ბურთიდან 6 მის ანგარიშზეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ 23 წლის უელსელის მხრებზე გადადის ტვირთის მთელი სიმძიმე. მისი დამსახურებაა, რომ „დეზები“ მიმდინარე სეზონში პირველად გადავიდნენ მესამე ადგილზე. ერთადერთი, ვინც ბეილის განსაკუთრებულ წვლილს არ აღიარებს, თავად უელსელი ვარსკვლავია: *„მთავარია, რომ ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას ვიღებ. გუნდი ფანტასტიკურად გამოიყურება და ამის გამოა ჩემი თამაში ისეთი ეფექტური, როგორიც არის. „ვესტ ჰემთანაც“ ძალიან კარგად ვითამაშეთ. მომდევნო ტურში „არსენალთან“ გველის დაპირისპირება. მისი მნიშვნელობა ყველას გვესმის. არსენ ვენგერს ძლიერი გუნდი ჰყავს და ყველაფერს გააკეთებს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბოლომდე იბრძოლოს“.*

### მომდევნო ტური

2 მარტი: ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი, ევერტონი-რედინგი, იუნაიტედი-ნორვიჩი, საუთჰემპტონი-ქუინზ პარკი, სტოკ სიტი-ვესტ ჰემი, სანდერლენდი-ფულჰემი, სუონსი-ნიუკასლი, უიგანი-ლივერპული
3 მარტი: ტოტენჰემი-არსენალი
4 მარტი: ასტონ ვილა-მანჩესტერ სიტი

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ჩელსი

# ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სანის“ რედაქციამ სულ რამდენიმე დღის წინ, „ჩელსის“ ოფიციალურად ბოდიში მოუხადა - **რაფა ბენიტესისა** და **ჯონ ტერის** ჩხუბზე არ უნდა დაგვეწერა. როგორც ჩანს, ტაბლოიდის ჟურნალისტ **რობ ბიზლის** ამჯერად უკვე საიმედო წყაროები ჰყავს, რადგან ის არ შეუშინდა ლონდონური კლუბის რისხვას და გვამცნო, რომ „მანჩესტერ სიტისთან“ მარცხის მეორე დღეს გუნდის მთავარ მწვრთნელსა და კაპიტანს შორის დაპირისპირება ნამდვილად მოხდა. საწვრთნელი პროცესის დაწყებამდე ესპანელმა ფეხბურთელები თავისთან იხმო, რათა გულწრფელად ეთქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობდა. გუნდის სახელით სიტყვა ტერიმ ითხოვა, ვისი დასკვნებიც მწვრთნელის შეფასებებისგან რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა. კონფლიქტიც სწორედ ამის ნიადაგზე გაღვივდა. ამავე თემას ეხება „გარდიანიც“, სადაც ვკითხულობთ, რომ ბენიტესის კრიტიკის საპასუხოდ, თანაგუნდელები ვეტერანმა კაპიტანმა დაიცვა და მწვრთნელს პირში მიახალა, რომ წარუმატებლობებში მხოლოდ ფეხბურთელების დადანაშაულება უბრალოდ უსამართლობა იყო.

## შოუს სტემფორდ ბრიჯზე იწვევენ

„ჩელსის“ „საუთჰემპტონიდან“ ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების 17 წლის წევრის **ლუკ შოუს** შეძენა სურს. ლონდონელები მზად არიან, ნიჭიერ თინეიჯერში „წმინდანებს“ 10 მილიონი ფუნტი გადაუხადონ. „ჩელსის“ მარცხენა მცველის პოზიციაზე ორი ფეხბურთელი ჰყავს 32 წლის **ეშლი კოული** (კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულამდე) და 23 წლის **რაიან ბერტრანი** (ხელშეკრულება 2017 წლის ზაფხულამდე). ინგლისის ნაკრების ვეტერან ვარსკვლავს „სტემფორდ ბრიჯზე“ ღირსეული მემკვიდრე სჭირდება. დიდი იმედების მიუხედავად კი ბერტრანის თამაშში სერიოზული პროგრესი არ შეინიშნება. რიგი გამოცემები არ გამორიცხავენ, რომ ფულის გარდა „ჩელსიმ“ „საუთჰემპტონს“ რაიანის სატრანსფერო უფლებებიც შესთავაზოს.



ჩელსიში ლუკ შოუს ეშლი კოულის მემკვიდრედ განიხილავენ

ამბები

## არსენალი მოგებას ითვლის

„არსენალი“ უკანასკნელი 16-17 წლის განმავლობაში ყველაზე სუსტ სეზონს ატარებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ფინანსური თვალსაზრისით „მეთოფეებს“ ყველაფერი რიგზე აქვთ. კლუბის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გადასახადების ჩაუთვლელად მოგებამ 17,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძირითადად ეს გასხვისებული ფეხბურთელებისთვის მიღებული ფულის წყალობით მოხდა; 2011 წელთან შედარებით საფეხბურთო ოპერაციებისთვის ბრუნვამ 113,5-დან 106 მილიონამდე იკლო; კლუბის საკუთრების გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა კი 0,5-ის ნაცვლად 1,9 მილიონი შეადგინა. გაზრდილია ფულადი რეზერვებიც, ნოემბრისთვის მან 123,3 მილიონი შეადგინა. *„ის, რომ წლებია, შიდა ასპარეზზეც და ევროპაშიც მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძვით, სტაბილური ფინანსური მდგომარეობის დამსახურებაა. ტიტულების მოგება ძალიან კი გვინდა, მაგრამ ჩვენი ფინანსური პოლიტიკის შეცვლას არ ვაპირებთ. სწორედ ამიტომაა, რომ მხარს ვუჭერთ პრემიერლიგის მიერ შემოღებულ ახალ ფინანსურ რეგულაციებს,“* – განაცხადა skysports-თან ინტერვიუში „მეთოფეთა“ აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ ჰილ-ვუდმა**.

## სიტის პრობლემები დაცვაში

„მანჩესტერ სიტის“ ბელგიელი კაპიტნის, 26 წლის **ვენსან კომპანის** მწყობრში დაბრუნებას გულშემატკივარი „ჩელსისთან“ შეხვედრისთვის ელოდა, მაგრამ ფეხბურთელმა უკვე მრავალგზის ტრავმირებული კუნთი ფეხზე კიდევ ერთხელ დაიზიანა და შესაბამისად განაცხადში ვერ მოხვდა. ექიმებს იმედი აქვთ, რომ კომპანის 4 მარტისთვის ბირმინგემის „ვილა პარკზე“ გასამართი შეხვედრისთვის ფეხზე დააყენებენ. ჯამრთელობის პრობლემები აქვს „სიტის“ კიდევ ერთ მცველ **დუგლას მაიკონსაც**. 31 წლის ბრაზილიელს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და საუკეთესო შემთხვევაში მოედანზე დაბრუნებას ის ერთ თვეში თუ შეძლებს.

## მაკლარენი გადადგა

„მიდლსბროსა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, 51 წლის **სტივ მაკლარენმა** ჰოლანდიური „ტვენტედან“ წასვლაზე განცხადება გააკეთა. ინგლისელი სპეციალისტის თქმით, მიზეზი 6-მატჩიანი მოუგებელი სერია და გულშემატკივართა დაუნდობელი კრიტიკაა. ენსხედელებმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყეს. ერედივიზიეს ისინი საწყისი 11 ტურის განმავლობაში ლიდერობდნენ, მას მერე პირველ საფეხურს კიდევ ორჯერ დაუბრუნდნენ, მაგრამ 19 იანვარს დაწყებულმა წარუმატებელმა სერიამ გუნდი მე-5 ადგილამდე დააქვეითა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● არგენტინა. ტორნეო ფინალი. III ტური.

# ორწუთიანი მზის დაბნელება

## დერბი ინდეპენდიენტემ მოიგო



„რივერს“ იტურბემ (მარცხნივ) და ლუნამ მოაგებინეს

**არ. ხუნიორსი-არსენალი 1:2**

**გოლები:** 0:1 ფურჩი (66), 0:2 კარბონერო (69), 1:2 ბარერა (85).

**ესტუდიანტესი-სან ლორენსო 1:1**

**გოლები:** 1:0 დ. საპატა (7), 1:1 ჯენტილეტი (79).

**უნიონი-კილმესი 0:3**

**გოლები:** 0:1 მანსილია (7), 0:2 ელისარი (41), 0:3 სებასტიან რომერო (90).

**გაძევება:** ბარისონე (84. უნიონი), ავენდანიო (90. უნიონი).

**ოლ ბოისი-ბოკა 2:0**

**გოლები:** 1:0 აუმადა (52), 2:0 ვილდოსო (61-პენ).

**ლანუსი-ველესი 1:0**

**გოლი:** 1:0 სილვიო რომერო (36).

**ინდეპენდიენტე-რასინგი 2:0**

**გოლები:** 1:0 მირანდა (3), 2:0 ხ. სანტანა (90).

**გაძევება:** დ. ვილიარი (85. რასინგი).

**ატლ. რაფაელა-გოდოი კრუსი 1:2**

**გოლები:** 0:1 გრიმი (17), 0:2 ობოლო (21-პენ), 1:2 ვერა (90).

**ბელგრანო-კოლონი 2:1**

**გოლები:** 1:0 ს. პერეირა (40), 1:1 ჟიგლიოტი (57), 2:1 მ. საპატა (90).

**რივერი-ტიგრე 3:2**

**გოლები:** 0:1 დონატი (55), 1:1 ლუნა (86), 2:1 ლუნა (87), 3:1 იტურბე (90), 3:2 პერეს გარსია (90-პენ).

**გაძევება:** ბოტა (90. ტიგრე).

**სან მარტინი-ნიუელსი 1:1**

**გოლები:** 1:0 დ. გარსია (45), 1:1 ფ. მუნიოსი (47).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| 2. რივერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 9 |
| 3. გოდოი კრუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 4. კილმესი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 5. ინდეპენდიენტე | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 6. არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 7. ატლ. რაფაელა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| 8. ტიგრე | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| 9. ოლ ბოისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 10. ბელგრანო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11. ნიუელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 12. ბოკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13. სან მარტინი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 14. სან ლორენსო | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| 15. ველესი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 16. რასინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 17. ესტუდიანტესი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 18. უნიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 19. კოლონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-7 | 1 |
| 20. არ. ხუნიორსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - ო. აუმადა (ოლ ბოისი), ლუნა (რივერი), სილვიო რომერო (ლანუსი).

**სარელეგაციო ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 14. არ. ხუნიორსი | 98 | 122 | 1.245 |
| 15. ატლ. რაფაელა | 60 | 74 | 1.233 |
| 16. სან ლორენსო | 98 | 120 | 1.224 |
| 17. ინდეპენდიენტე | 98 | 113 | 1.153 |
| 18. კილმესი | 22 | 25 | 1.136 |
| 19. სან მარტინი | 60 | 68 | 1.133 |
| 20. უნიონი | 60 | 58 | 0.967 |

### საოცარი ბოლო წუთები

ტორნეო ფინალის მესამე ტურში საოცარი შეხვედრა გაიმართა „მონუმენტალზე“, სადაც „რივერ პლეიტს“ „ტიგრე“ ეწვია. სტუმრებს რამდენიმე დღეში კოპა ლიბერტადორესის მნიშვნელოვანი მატჩი ელით (სტუმრად „სპორტინგ კრისტალთან“), ამიტომ „ტიგრე“ მინდორზე შერეული შემადგენლობით გამოვიდა. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმის უგოლოდ დასრულების შემდეგ, მეორე ნახევარში დაწინაურება სწორედ **ნესტორ გოროსიტოს** გუნდმა მოახერხა - 55-ე წუთზე გოლი **ალეხანდრო დონატიმ** გაიტანა, რომლისთვისაც ეს ამ ჩემპიონატში უკვე მეორე გოლი იყო, არადა დონატი მცველია.

გაშვებული გოლის შემდეგ, უპირატესობა ნელ-ნელა „რივერის“ მხარეს გადავიდა, სტუმრები კი თანდათან საკუთარ საჯარიმოსთან გამოიკეტნენ, რის გამო დაისაჯნენ კიდევაც. ჯალათის როლი კი **კარლოს ლუნამ** შეასრულა, რომელიც „რივერ პლეიტში“ სწორედ „ტიგრედან“ გადმოვიდა და ამ გუნდის რიგებში, 2012 წლის კლაუსურას საუკეთესო ბომბარდირიც გახდა (12 გოლით). ლუნა მინდორზე **დავიდ ტრეზეგეს** ნაცვლად, 74-ე წუთზე გამოვიდა, მანამდე კი მოედანზე **ხუან მანუელ იტურბეც** გამოჩნდა, ვინც ასევე ძალიან ნიჭიერი **მანუელ ლანსინი** შეცვალა. თამაშის ბედიც ამ ორმა მოთამაშემ გადაწყვიტა. მატჩის ბოლო წუთებზე, პირთამდე სავსე „მონუმენტალი“ მცირე სასწაულის მოწმე გახდა - 86-ე და 87-ე წუთებზე, ლუნამ ყოფილი გუნდის კარში ორი გოლი გაიტანა და „ლოს მილიონარიოსი“ დააწინაურა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 31 წლის ფეხბურთელმა „ტიგრესთვის“ 2-წუთიანი მზის დაბნელება გამოიწვია (ლუნა ესპანურად მთვარეს ნიშნავს). რამდენიმე წუთში კი ანგარიში 3:1 გახდა - „რივერში“ სადებიუტო გოლი იტურბემ გაიტანა. ამის შემდეგ მოედნიდან **რუბენ ბოტა** გააძევეს, რომელიც მანამდე **კარლოს სანჩესმა** და **გაბრიელ მერკადომ** რამდენიმე ეპიზოდში „გალახეს“, მაგრამ არბიტრმა ამას ყურადღება არ მიაქცია, 23 წლის ფეხბურთელის მცირე უხეშობაზე კი ჯიბიდან უმალ წითელი ბარათი ამოიღო. 96-ე წუთზე გოლი ცვლილებაზე შემოსულმა კიდევ ერთმა ფეხბურთელმა გაიტანა - **მატიას პერეს გარსიამ** პენალტი გამოიყენა და შეხვედრაც აქვე დასრულდა. 3:2 და **რამონ დიასის** გუნდი ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია.

მეორე გუნდი, რომელსაც ჯერ ქულა არ დაუკარგავს „ლანუსი“ გახლავთ, ვინც ამ ტურში მეორე შემადგენლობით მოთამაშე „ველეს სარსფილდს“ მოუგო. **გილერმო ბაროს შელოტოს** გუნდმა არა მარტო სამივე მატჩი მოიგო, არამედ ჯერ გოლიც კი არ გაუშვია. ჩემპიონთან ერთადერთი გოლი **სილვიო რომერომ** გაიტანა. სხვათა შორის, 24 წლის ფორვარდმა თავის გამოჩენა სამივე ტურში თითოჯერ შეძლო.

ასევე სამივე შეხვედრაში გაიტანა **ოსკარ აუმადამ**. ვეტერანმა ამჯერად „ბოკა ხუნიორსის“ კარი დალაშქრა და საკუთარ გუნდს ტორნეო ფინალში პირველი გამარჯვება მოუტანა. „ბოკას“ რამდენიმე დღეში გუაიკილის „ბარსელონასთან“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვს, მაგრამ **კარლოს ბიანკიმ** მოედანზე მაინც ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა. რა შედეგი მოიტანა ამ ყველაფერმა, თავადაც ხედავთ. აღსანიშნავია, რომ პრიმერაში დაბრუნების შემდეგ, „ოლ ბოისმა“ სახელოვან მეტოქეს უკვე მესამედ უმასპინძლა და მესამედ მოუგო (3:1 - 2012 წელს და 2:0 - 2010 წელს.

### დერბი და აუტსაიდერები

წინა ტურის მიმოხილვაში მოგახსენეთ, რომ კოპა ლიბერტადორესის ხუთი მონაწილიდან ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიგო, ის კი არა, ამ ხუთმა გუნდმა ჯამში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა. მესამე ტურში სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა - ხუთეულის წევრებმა გოლებიც გაიტანეს და ერთი მატჩის მოგებაც შეძლეს. ეს „იღბლიანი“ სარანდის „არსენალი“ აღმოჩნდა, რომელმაც აშკარად ცუდ ფორმაში მყოფ „არხენტინოს ხუნიორსს“ მოუგო, ვინც ამ შეხვედრის შემდეგ მთავარი მწვრთნელი დაკარგა. „დეპორტივოს“ და „რეალ სოსიედადის“ ყოფილი ფეხბურთელი **გაბრიელ შურერი**, რომელიც **დიეგო მარადონას** ყოფილ გუნდს სათავეში 2012 წელს ჩაუდგა, თანამდებობიდან გადადგა.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო „ინდეპენდიენტემ“. **ამერიკო გალიეგოს** გუნდმა აველიანედურ დერბიში „რასინგს“ სძლია და ამ გამარჯვების წყალობით, დიდი ხნის შემდეგ პირველად, გასავარდნი ზონიდან ამოვიდა. პრიმერას ეგიდით 181-ე დერბი დაძაბული და სანახაობრივი გამოვიდა. საბოლოოდ, მასპინძლებმა 70-ე გამარჯვება მოიპოვეს და ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა განიმტკიცეს. „რასინგს“ 48 მოგება აქვს, 63 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა (ყველა ტურნირზე: 205 მატჩი. 84 მოიგო „ინდეპენდიენტემ“, 67 ფრედ დასრულდა, 64 შეხვედრაში კი „რასინგმა“ იმარჯვა). აღსანიშნავია, რომ „ინდეპენდიენტემ“ მოსისხლე მტერი შინ ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა, სულ კი საკუთარ მოედანზე უკვე 9 მატჩია, არ წაუგია. „აკადემიამ“ („რასინგის“ მეტსახელია) დერბიში სტუმრად ბოლოს 2004 წელს იმარჯვა (1:3), მას შემდეგ გამართულ 9 შეხვედრაში კი მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ (2008 წელს) და 8 წააგო.

ამ მომენტისთვის, პრიმერა დივიზიონს „კილმესი“, „სან მარტინი“ და „უნიონი“ ემშვიდობებიან. ამ სამეულიდან, დარჩენის ყველაზე კარგი შანსი „კილმესს“ აქვს, რომელიც კარგ ფორმაშიც არის, თანაც გადასარჩენად შედარებით ნაკლები ქულის მოგროვება დასჭირდება. უშანსოდ არც სან ხუანის „სან მარტინია“, რომელმაც ამ ტურში „ნიუელს ოლდ ბოისთან“ ქულები გაიყო. აი, რაც შეეხება „უნიონს“... სანტა ფეს წარმომადგენელი განწირულია. ამ ტურში აუტსაიდერმა კონკურენტ „კილმესთან“ წააგო, თანაც 0:3. „უნიონის“ მოუგებელი სერია უკვე 26 (!) მატჩია გრძელდება და დიდი შანსია, 27-მდეც გაიზარდოს, რადგან მომავალ ტურში გუნდი „ბომბონერას“ უნდა ეწვიოს...

● საფრანგეთი. ლიგა 1. სტატისტიკური შეჯამება.

# არმანის 400

**სილვენ არმანი საფრანგეთის ჩემპიონატის ლეგენდებს შეუერთდა, „სენტ ეტიენი“ კვლავ შესანიშნავ ფორმაშია, „ნიცას“ მცველ რენატო სიველის კი ისევ გააქვს...**




**მთავარი:**

**400** - შაბათს, „მარსელთან“ „კლასიკოში“ მოპოვებული გამარჯვება (2:0), **სილვენ არმანისთვის** ორმაგად მნიშვნელოვანი გამოდგა, რადგან ეს შეხვედრა 32 წლის მცველისთვის ლიგა 1-ში საიუბილეო, მე-400 იყო. მოქმედ ფეხბურთელებს შორის არმანი მესამე ადგილს იკავებს. მასზე მეტი მატჩი მხოლოდ **მიკელ ლანდროს** (575) და **ანტონი რევეიეს** (471) აქვთ ჩატარებული.

გარდა ამისა, ამ შეხვედრაში გოლის არგაშვების შემდეგ, პსჟ-ს უკვე 17 „მშრალი მატჩი“ დაუგროვდა. მეკარე **სალვატორე სირიგუმ** 6 რთული ბურთი მოიგერია და 24-ე შეხვედრაში მე-16 „მათაუტი“ შეასრულა.

**გუნდური მიღწევები:**

**26** - „რეიმსთან“ მოგებული მატჩის შემდეგ (2:0), „ნიცას“ ამ სეზონში საკუთარ მოედანზე 26 გატანილი გოლი დაუგროვდა და ამ მხრივ მეორე ადგილზე გადავიდა („ლიონს“ შინ 27 გოლი აქვს გატანილი). ამაზე უკეთესი შედეგი „ნიცას“ ბოლოს 2006/07 წლების სეზონში ჰქონდა, როდესაც გუნდმა 19 შეხვედრაში 27 ბურთი გაიტანა.

**7** - „ნანსისთან“ გამართული მატჩი (3:0), „სენტ ეტიენისთვის“ ზედიზედ მეშვიდე წაუგებელი შეხვედრა იყო (ხუთი მოგება). 2013 წელს „მწვანეებს“ საუკეთესო შედეგი აქვთ - 7 ტურში გუნდმა 17 ქულა დააგროვა.

**4** - „ბრესტმა“ ამ ტურში სტუმრად „ბორდოს“ მოუგო (2:0) და სტუმრად უკვე ოთხი მატჩია არ წაუგია (აქედან სამში იმარჯვა). გარდა ამისა, გუნდმა 5-მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა.

**ინდივიდუალური მიღწევები:**

**6** - **პიერ-ემერიკ ობამეიანმა** „ნანსისთან“ დუბლი შეასრულა და მას ბოლო ხუთ შეხვედრაში უკვე 6 გოლი დაუგროვდა. გაბონელმა ფორვარდმა გოლი ხუთივე მატჩში გაიტანა, რაც ამ სეზონის ყველაზე გრძელი სერიაა.

**400** - „ლორიანთან“ თამაში მე-400 იყო **ანტონი რევეიესთვის**, რომელშიც ის ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. მარჯვენა მცველის იუბილე წარმატებული გამოდგა და „ლიონმა“ ეს მატჩი 3:1 მოიგო.

**18** - „ნიცას“ არგენტინელმა მცველმა **რენატო სიველიმ** ლიგა 1-ში მე-18 გოლი გაიტანა. 29 წლის ფეხბურთელი ბომბარდირ მცველებს შორის მეორე ადგილზე გადავიდა. მას მხოლოდ **სებასტიან პუიგრენიე** უსწრებს, რომელსაც 19 გოლი აქვს გატანილი. სხვათა შორის, წელს ორივე მოთამაშის ანგარიშზე 4 გოლია.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXV ტურის შეჯამება

# ქამბექების ტური

## ჩემპიონთა ლიგის ბოლო საგზურისთვის გადამწყვეტი ბრძოლა იწყება



ასე იზეიმა „რეალ სოსიედადმა" ბასკური დერბის მოგება გასახდელში

**ამ ტურში 10-დან 5 შეხვედრაში გუნდმა, რომელმაც პირველი გოლი გაუშვა, როგორც მინიმუმ, არ წააგო (5-დან 4 შემთხვევაში მოიგო კიდევაც). ანუ ესპანეთში ეგრეთ წოდებული ქამბექების ტური იყო.**

**ლიდერთა სამეულში მდგომარეობა არ შეცვლილა, აი, მეოთხეადგილოსანი „მალაგა" შეაფერხეს - ჩემპიონთა ლიგის ბოლო საგზურისთვის გადამწყვეტი ბრძოლა იწყება...**

### მესი ვს რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „სევილიასთან" 2:1 მოგებულ მატჩში. მან 7-ჯერ დაარტყა კარისკენ, 2-ჯერ ზუსტად, გაიტანა 1 გოლი. მის წინააღმდეგ 4-ჯერ დაარღვიეს წესი.

**კრიშტიანო რონალდომ** 33 წუთი ითამაშა „დეპორტივოსთან" 2:1 მოგებულ მატჩში. მან 4-ჯერ დაარტყა კარისკენ და 1 საგოლე პასი გააკეთა. მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაარღვიეს თამაშის წესი.

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელს ძალიან მცირე დრო მიეცა თავის გამოსაჩენად, მან დიდებულად ითამაშა და გადამწყვეტი საგოლე პასიც გააკეთა. თავის მხრივ კარგად ითამაშა ლეო მესიმ, რომელმაც მეტოქის კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ამის მიუხედავად, რამდენიმე გამოცემამ ტურის სიმბოლურში რონალდო დაასახელა და მესი არა (მაგალითად, goal.com-მა). ჩვენს „ტურნირში" პორტუგალიელსაც და არგენტინელსაც ქულა მივანიჭეთ. 12:7 წინ ისევ მესია.

### იცით, თუ არა, რომ...

* **გონსალო იგუაინმა** ლა ლიგაში მე-100 გოლი გაიტანა.

* ლეო მესიმ თავისივე რეკორდული სერია კიდევ უფრო გაზარდა - ზედიზედ 15 ტურში გაიტანა.

* „რეალ სოსიედადმა" 2001 წლის მერე პირველად მოიგო ბასკური დერბი ბილბაოში.

### ტურის ფრაზები

**მარსელო ბიელსა:** *„ტრაბახი და იმის თქმა არ მინდა, რომ მაგარი ვარ, მაგრამ ასეთ რთულ სიტუაციაში ბევრჯერ ვყოფილვარ, თუმცა გამოსავალიც მომიძებნია. 30 წელიწადია, ამ საქმით ვარ დაკავებული. ისე კი გუნდის სუსტ შედეგებზე პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, მე ვარ"*, - „ბილბაოს" თავკაცი, რომელსაც სამსახურის დაკარგვა ემუქრება.

**მანოლო ხიმენესი:** *„ბოლო ტურებში მსაჯები ძალიან გვაზარალებენ"*, - „სარაგოსას" თავკაცი მსაჯებს შემოსწყრა.

**აიტორ კარანკა:** *„რაც შეეხება დი მარიას, ზუსტად არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ დი მარია კლასიკოს გამოტოვებს, ეს კი ნიშნავს, რომ თამაშს 11 კაცით დავამთავრებთ"*, - ჟოზე მოურინიოს თავკაცი არგენტინელ ფეხბურთელს შემოსწყრა.

**უნაი ემერი:** *„აქ მოსაგებად ჩამოვედით და მიზანთან ახლოს ვიყავით"*, - „სევილიას" მთავარი მწვრთნელი არ აჭარბებს.

### ტურის მსხვერპლ(ნ)ი

**აპონიო** (სარაგოსა)

**რიკარდო კოშტა** (ვალენსია)

*არაგონულ-ვალენსიური დაპირისპირება მეტად ტრავმიანი გამოდგა. აპონიოს გასვლის მერე, მასპინძლებმა ინიციატივაც დათმეს და კინაღამ მატჩიც.*

### ტურის საუკეთესო გოლი

**ხორდი ამატი** (რაიო ვალეკანო) „ვალიადოლიდის" კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**დავიდ ზურუტუზა** (რეალ სოსიედადი) საგოლე პასი **კარლოს ველას.**

### ტურის სტატისტიკა

*30 გოლი ტურში (3 მატჩში). 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 5 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 57 ყვითელი ბარათი, 4 წითელი დაარიგეს.*

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **ჟონასი** (ვალენსია), **ადრიან კოლუნგა** (ხეტაფე)

*ხორხე მოლინამ (ბეტისი) ვერ გაიტანა პენალტი „მალაგას" კარში.*

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **აიმერიკ ლაპორტე** (ბილბაო, 18 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: **57 629 - „კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **8 921 - „ტერესა რივერო"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **21 - ბეტისი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **11 - ბეტისი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **22 - ესპანიოლი**

ყველაზე მეტი კუთხური: **13 - მალიორკა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **5 - ბეტისი, ბილბაო**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **67% - ბარსელონა**

### მომდევნო ტური

1 მარტი: **ხეტაფე-სარაგოსა.**

2 მარტი: **რეალი-ბარსელონა, დეპორტივო-რაიო ვალეკანო, ოსასუნა-ბილბაო, ვალენსია-ლევანტე.**

3 მარტი: **გრანადა-მალიორკა, ესპანიოლი-ვალიადოლიდი, მალაგა-ატლეტიკო, რეალ სოსიედადი-ბეტისი.**

4 მარტი: **სევილია-სელტა.**

### ტურის გმირი

**მასუდ შოჯაეი (ოსასუნა)**



**არა მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრად „ლევანტეს" კარში გადამწყვეტ დროს გაიტანა. პამპლონის „ოსასუნას" 29 წლის ირანელი ლეგიონერი ძალიან მძიმე ტრავმის შემდეგ ცდილობს, სრულფასოვნად დაუბრუნდეს მაღალი დონის ფეხბურთს და ნელ-ნელა ეს მას გამოსდის. წინა სეზონი მან მთლიანად გამოტოვა.**

**ლეო მესი მე-19-დ არის ტურის სიმბოლურ ნაკრებში, ხოლო კრიშტიანო რონალდო - მე-11-დ მოხვდა რჩეულთა შორის. ოთხი კი დებიუტანტია, საოცარია, მაგრამ მათ შორის „ვალენსიას" ბრაზილიელი შემტევი ჟონასიცაა.**

### ბომბარდირები

38 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
24- კრიშტიანო რონალდო (რეალი)
21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### ასისტენტები

13 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

47 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
29 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### მე-12 ფეხბურთელი

**ხუან კარლოსი (ბეტისი)**

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




იტალია. სერია A. XXVI ტური



„ლაციომ" „პესკარას" უპრობლემოდ მოუგო

# ლაციო სამეულში დაბრუნდა

## მაცარი უკვე იუვეზე ფიქრობს

| | |
|---|---|
| **უდინეზე-ნაპოლი** | **0:0** |
| **ლაციო-პესკარა** | **2:0** |

**გოლები:** 1:0 რადუ (29), 2:0 ლულიჩი (35).

| | |
|---|---|
| **ბოლონია-ფიორენტინა** | **2:1** |

**გოლები:** 0:1 ლიაიჩი (27), 1:1 მოტა (58), 2:1 კრისტოდოლოპულოსი (84).

**ბოლონია (4-2-3-1):** კურჩი – მოტა (73. გარიჩი), ანტონსონი, კერუბინი, მორლეო – პერესი (48. ტაიდერი), კრხინი – კონე, დიამანტი, გაბიადინი (69. კრისტოდოლოპულოსი) – ჯილარდინო.

**ფიორენტინა (4-3-3):** ვივიანო – ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი, პასკუალი (89. ლარონდო) – მილიაჩო (86. ტონი), აკვილანი, ბორხა ვალერო, კუადრადო – იოვეტიჩი, ლიაიჩი (82. სისოკო).

**გაფრთხილება:** ანტონსონი, დიამანტი, გაბიადინი – აკვილანი, კუადრადო.

**კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 10-12(7-3); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 26 | 18 | 4 | 4 | 53-17 | 58 |
| 2. ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 46-21 | 52 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 5 | 7 | 36-28 | 47 |
| 4. მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 44-31 | 45 |
| 5. ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 40-33 | 44 |
| 6. ფიორენტინა | 26 | 12 | 6 | 8 | 46-32 | 42 |
| 7. კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34-31 | 42 |
| 8. რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 53-47 | 40 |
| 9. უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35-34 | 37 |
| 10. სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33-30 | 32 |
| 11. პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32-35 | 32 |
| 12. ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32-32 | 31 |
| 13. კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32-44 | 31 |
| 14. ბოლონია | 26 | 8 | 5 | 13 | 35-36 | 29 |
| 15. კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26-42 | 29 |
| 16. ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24-38 | 27 |
| 17. ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26-36 | 26 |
| 18. სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27-37 | 21 |
| 19. პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20-53 | 21 |
| 20. პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22-39 | 20 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 18 - კავანი (ნაპოლი); 16 – ელ შაარავი (მილანი); 14 - დი ნატალე (უდინეზე); 11 - ოსვალდო (რომა), ლამელა (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა), საუ (კალიარი); 10 - კლოზე (ლაციო), პაცინი (მილანი), ჯილარდინო (ბოლონია).

**მილანური გრანდების ფრით „ლაციომ" კარგად ისარგებლა, სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მცირე ვარდნის შემდეგ, რომაული გუნდი ისევ მესამეა და ისევ ჩემპიონთა ლიგის ზონაშია. „ნაპოლი" „უდინეზეს" ესტუმრა, ფრეს გამორჩა და ლიდერთან ჩამორჩენა კიდევ უფრო გაზარდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ვალტერ მაცარიმ შედეგი დამაკმაყოფილებლად შეაფასა...**

### პირველ ტაიმში მოთავებული საქმე

„ლაციომ" „პესკარას" პირველივე ტაიმში მიართვა ორი გოლი და საქმეც მოამთავრა. 29-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **კრისტიან რადუმ** უძლიერესად დაარტყა და ბურთი მაკარისაგან ახლო ცხრიანში ჩაჭედა... სულ რაღაც 5-6 წუთში, **სენად ლულიჩი** გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, უძლიერესად გაისროლა და ბურთი ხარიხის გავლით ბადეში აღმოჩნდა. ორბურთიანი უპირატესობის დამთმობი „ლაციო" არ იყო და არა იმდენად იმიტომ, რომ **ვლადიმირ პეტკოვიჩის** გუნდია უძლეველი, უბრალოდ „პესკარაა" აშკარად სუსტი. უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დელფინები" სერია A-სთვის მზად არ აღმოჩნდნენ და დიდი ალბათობით, დატოვებენ კიდეც ელიტარულ დივიზიონს. როგორც ჩანს, **ლორენცო ინსინიეს** და **მარკო ვერატის** წასვლამ საპორტო ქალაქის გუნდი ძალიან დაასუსტა.

„ლაციო" ისევ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით და ხუთი ნახევარმცველით უტევდა, თუმცა ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც შუახაზელები დაცვაზე მეტად შეტევით ფაზაში აქტიურობდნენ. რომაელებს მეორე ნახევარშიც შეეძლოთ გატანა, მაგრამ რიგ ეპიზოდებში გამოცდილი მეკარე **ივან პელიცოლი** იყო მოწოდების სიმაღლეზე, რომელიც **მატია პერინს** ცვლიდა. მოკლედ, „არწივებმა" დაჩაგრეს „დელფინები" და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერეს აქტივში.

**ვლადიმირ პეტკოვიჩი (ლაციოს მთავარი მწვრთნელი):** *„მიხარია, რომ ისევ მესამე ადგილზე ვართ, რადგან ამას ვიმსახურებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამ ფრონტზე წარმატებით ვასპარეზობთ, ეს კი ურთულესი საქმეა. მთელი თამაში ჩვენი უპირატესობით წარიმართა და სამ ქულასაც ვიმსახურებდით. მთავარი ბრძოლები წინაა და თუ სასურველი მიზნების მიღწევა გვსურს, კიდევ უნდა მოვუმატოთ".*

### წელოვანი ფრე ფრიულიზე

„სტადიო ფრიულიზე" დაფიქსირებული ფრით ორივე გუნდი კმაყოფილი დარჩა და ეს მიუხედავად იმისა, რომ „ნაპოლიმ" „იუვენტუსთან" ჩამორჩენა ექვს ქულამდე გაზარდა.

მატჩის პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მეორეში კი სტუმრებმა მოუმატეს და ისინი იყვნენ ახლოს ანგარიშის გახსნასთან. მოკლედ, მთლიანობაში თანაბარი თამაში იყო და შესაბამისად, შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა. მართალია, **ვალტერ მაცარის** მოგება უნდოდა და ეს მის მიერ განხორციელებულ ცვლილებებში გამოჩნდა, მაგრამ ნამატჩევს ნეაპოლელთა მწვრთნელი მაინც კმაყოფილი იყო...

**ვალტერ მაცარი (ნაპოლის მთავარი მწვრთნელი):** *„მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ და შეგვეძლო კიდეც სამი ქულის მოპოვება, მაგრამ ფორტუნამ ზურგი გვაქცია. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილების საბაბი არ მაქვს, რადგან შეგირდებმა ყველა ჩემი დავალება პირნათლად შეასრულეს. არც შედეგია კატასტროფული, რადგან „სტადიო ფრიულიზე" თამაში ყველას უჭირს. ამიტომ, მთლიანობაში კმაყოფილი ვარ და მომდევნო ტურის წინ, არც ოპტიმიზმის ნაკლებობას ვუჩივი".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

კოპა დელ რეი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი



# სამეფო კლუბი თასის ფინალშია

**ჟოზე მოურინიოს** „რეალმა" თასის პირველ მატჩში შინ 1:1 ძლივს გამოგლიჯა მეტოქეს, ამის შემდეგ „ბარსელონა" იყო დაპირისპირების ფავორიტი, მაგრამ „კამპ ნოუზე" კატალონიური კლუბის გულშემატკივრებს შოკი ელოდა - „რეალმა" 3:1 მოიგო და თასის ფინალში დამსახურებულად გავიდა. ის კი არა, კონტრშეტევებზე ოდნავ უკეთ რომ ემოქმედათ მადრიდელებს, ანგარიში გამანადგურებელიც შეიძლება ყოფილიყო.

ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა, როცა **კრიშტიანო რონალდომ** პენალტი გამოიყენა. მეორე ტაიმში მან **ანხელ დი მარიას** წამოწყებული დაასრულა გოლით და დუბლი მიითვალა. რონალდოს ანგარიშზე კლასიკოებში უკვე 12 გოლია. მალე თავურით **რაფაელ ვარანმა** გამოიჩინა თავი. თუმცა „ბარსამ" მაინც გაიტანა პრესტიჟის გოლი **ანდრეს ინიესტას** დიდებული პასით **ჟორდი ალბამ** იხეირა - 1:3.

„ცხელ გულზე" ანალიზის დრო არ არის, თუმცა ერთი რაც უკვე ცხადზე უცხადესია - „ბარსელონა" უმწვრთნელოდ თამაშობს!

**ბარსელონა-რეალი 1:3**

**პირველი მატჩი 1:1**

**გოლები:** 0:1 რონალდო (13-პენ), 0:2 რონალდო (57), 0:3 ვარანი (68), 1:3 ალბა (89)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი (72. ტ. ალკანტარა), ბუსკეტსი, ფაბრეგასი (58. ვილია) - პედრო (70. ტელიო), მესი, ინიესტა.

**რეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - არბელოა, ვარანი, ს. რამოსი, ფ. კოენტრაო - ხედირა, ჩაბი ალონსო (83. ესიენი) - დი მარია, იოზილი (78. პეპე), რონალდო - იგუაინი (70. კალეხონი).

**გაფრთხილება:** პიკე, პუიოლი - არბელოა

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10-10 (3-8); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 98 700

**27 თებერვალი**

| | |
|---|---|
| სევილია-ატლეტიკო | 01:00 (1:2) |

ლეო მესი & კრიშტიანო რონალდო

# რაც ახლა დაუჯერებელი ჩანს

## კრიშტიანო რონალდო ბარსელონას ფეხბურთელი შეიძლება ყოფილიყო, ლეო მესი კი - რეალის

ახლა დაუჯერებლად ჟღერს, თუმცა ესპანური პრესის მტკიცებით, თავისუფლად შეიძლებოდა **კრიშტიანო რონალდო** „ბარსელონას" ფეხბურთელი გამხდარიყო, ხოლო **ლიონელ მესი** - „რეალის".

პორტუგალიელი ფეხბურთელი ხშირად ამბობდა, რომ „რეალში" თამაში სურდა და 2009 წელს ოცნება რეალობად აქცია, მაგრამ 2010 წელს მან ძალიან უცნაური განცხადება გააკეთა - კრიშტიანოს ჰკითხეს, რას იტყოდა „ბარსელონაში" ტრანსფერზე. რონალდომ თქვა, რომ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, რადგან მომავალს ვერ იწინასწარმეტყველებ.

სხვათა შორის, როცა „სამეფო კლუბი" რონალდოს ყიდვას ცდილობდა, სერ **ალექს ფერგიუსონი** ძალიან გაღიზიანებული იყო. ერთხელ მან ესპანელებს „მაფიოზები" უწოდა და თქვა, რომ მადრიდელებს რონალდოს კი არა, ვირუსსაც არ მიჰყიდის.

ამასობაში რონალდოს თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა „ბარსელონა", 2007 წელს „ბარსას" მაშინდელი სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** ფეხბურთელის აგენტს შეხვდა. 2008 წელს „ბარსას" სოსიოსი **ჟოან ლაპორტას** აუჯანყდა, მაშინ რომ რიგგარეშე არჩევნები ჩატარებულიყო, ახლანდელი პრეზიდენტი **სანდრო როსელი** მოიგებდა, მისი მთავარი შეპირება კი... რონალდოს ყიდვა იყო.

ამასობაში „ბარსელონაში" მესის ვარსკვლავი ამოდიოდა. 2005 წლის მაისში მას კონტრაქტი გაუფორმეს. მესის ერთი წამიც არ უფიქრია, ისე დათანხმდა, მაგრამ კლუბი პირობების ნაწილს არ ასრულებდა. მაშინ მესი არ იყო სრულწლოვანი და მამის გარეშე კონტრაქტს ვერ გააფორმებდა. ლეოს მამა კი „ბარსას" მხრიდან პირობების შეუსრულებლობის გამო გაბრაზებული იყო და სხვადასხვა წინადადების განხილვაც დაიწყო. ფეხბურთელის ერთ-ერთმა აგენტმა „რეალის" ვარიანტი „დადო", მაგრამ **ფლორენტინო პერესმა** დიდხანს იფიქრა, მას კატალონიელებთან სერიოზული კონფლიქტი ხელს არ აძლევდა. კარგად ახსოვდა **ლუიშ ფიგოსთან** დაკავშირებული საკითხი. ამასობაში, „ბარსამ" ახალი, უკეთესი კონტრაქტი შესთავაზა მესის და ისტორიაც ამით დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**






ეროვნული ბიბლიოთეკა



უცხოური ფეხბურთი

● გერმანიის თასი. 1/4 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების წინ

# გერმანიის თასის ნაადრევი ფინალი

## წაუხდენს დორტმუნდი ბაიერნს ხასიათს?

დღეს გერმანიაში ისეთი თამაშია, ბოლო დროს სეზონის ყველაზე საინტერესო დაპირისპირებად რომ იქცა: გერმანიის თასის მეოთხედფინალში მიუნხენის „ბაიერნი" მოქმედ ჩემპიონსა და თასის მფლობელ დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობს.

| 27 თებერვალი | |
|---|---|
| შტუტგარტი-ბოხუმი | 22:00 |
| ბაიერნი-დორტმუნდი | 23:30 |

ბოლო სამ წელიწადში რეკორდმაისტერმა „დორტმუნდი" მხოლოდ ერთხელ დაამარცხა და ისიც სუპერთასზე, „ბორუსიამ" კი მიუნხენურ გრანდს ხუთი მატჩი მოუგო - აქედან, ოთხი ბუნდესლიგაში, ერთიც გერმანიის თასის ფინალში შარშან. ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის პირველ წრეში კი, მიუნხენში ჩატარებული მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ეს სტატისტიკა საკმარისი საბაბია იმისათვის, რომ „ბაიერნი" „დორტმუნდზე" „ალესილი" იყოს. ისე, ამ „ბაიერნს" კიდევ „ალესვა" უნდა?! ფაქტი ერთია: „ალიანს არენაზე" დღეს ძალიან საინტერესო ბრძოლას ვნახავთ.

### მიულერი: ეს სულ სხვა ბაიერნია!

ცხადია, რომ არც ერთი ტიტული არ გაიცემა მანამდე, სანამ გუნდი ტიტულს ოფიციალურად არ გაინაღდებს, მაგრამ „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონატში 23 ტურის შემდეგ „დორტმუნდს" 17 ქულით უსწრებს, რაც არნახული უპირატესობაა და იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში რეკორდმაისტერი „ვერცხლის სინს" დაიბრუნებს. დორტმუნდელებმაც იციან, რომ ზედიზედ ორი ჩემპიონობის შემდეგ ტიტული ჩამოერთმევათ და შესაბამისად, გერმანიის თასი ერთადერთი ეროვნული ტურნირია, სადაც „დორტმუნდს" ბავარიული გრანდის დაჯაბნა შეუძლია.

*„ჩვენ გვინდა, ყველას ვუჩვენოთ, თუ ვინ არის..."* - წინადადება არ დაასრულა გუშინ „ბაიერნის" შემტევმა **თომას მიულერმა** და იქვე დასძინა: *„არა, ალარაფერს ვიტყვი. არ მინდა, რომ მყვირალა სათაურების წყარო ვიყო!"* მიულერს ალბათ გაახსენდა, რომ სამი წელია, „დორტმუნდი" „ბაიერნს" უშუალო დუელებში ყველა ტურნირზე ჩაგრავს - თუ არ ჩავთვლით აშკარად არჩასათვლელ სუპერთასს, რომელიც „ბაიერნმა" „ბორუსიასთან" გასულ ზაფხულს 2:1 მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესლიგაში 17 ქულით უსწრებენ, „დორტმუნდთან" მატჩს ბავარიელები მაინც სიფრთხილით ეკიდებიან. ბუნდესლიგაში მიუნხენელებს დორტმუნდელებთან 2010 წლის შემდეგ 4 წაგება და 1 ფრე აქვთ და კარგად ახსოვთ გერმანიის თასის შარშანდელი ფინალიც, რომელიც **იურგენ კლოპის** გუნდმა ბერლინში 5:2 მოიგო.

თუმცა ამ სეზონში „ბაიერნი" სულ სხვა, გაცილებით ძლევამოსილი და თითქმის უნაკლო გუნდია. *„ახლა სხვა ვითარებაა. „ბაიერნი" ყველა ტიტულისთვის იბრძვის და ეს ჯანსაღი ამბიციაა. შესაბამისად, „დორტმუნდს" უნდა მოვუგოთ და თასის ნახევარფინალში გავიდეთ!"* - ამბობს მიულერი.

*„ბორუსიასთან" წინა დუელები აღარ მაინტერესებს. თანაც, ჩვენ უდიდესი პროგრესი განვიცადეთ. თუ შესაძლებლობების ას პროცენტს გამოვიყენებთ, „დორტმუნდი" წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევს. ზედიზედ ორ სეზონში უტიტულოდ დარჩენის შემდეგ ჩვენი მოტივაცია გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, დორტმუნდელთა დამსახურებაცაა,"* - ეს შესანიშნავ ფორმაში მყოფი **ტონი კროოსის** სიტყვებია.

*„გერმანიის თასს სრული სერიოზულობით ვეკიდებით, „ბორუსიასთან" მორიგი დუელი კი ჩვენთვის უდიდესი გამოწვევაა. რაკი საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ, აუცილებლად უნდა მოვიგოთ,"* - აცხადებს რეკორდმაისტერის თავკაცი იუპ ჰაინკესი.

### რობენი ითამაშებს, მარტინესი ჯანზეა

„დონ იუპს" დღეს წამყვანი ფეხბურთელებიდან მხოლოდ **ფრანკ რიბერი** დააკლდება - ფრანგი დისკვალიფიცირებულია. რიბერის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში **არიენ რობენი** ითამაშებს, რაც თავად ჰაინკესმა დაადასტურა. „ვერდერთან" მატჩის (6:1) შემდეგ მცირე ტრავმა აწუხებდა **ხავი მარტინესს**, მაგრამ „ბაიერნის" ექიმებმა ესპანელ საყრდენ ნახევარმცველს გუშინ მწვანე აუნთეს. **დანიელ ვან ბუიტენი** ამ უქმეებზე გაციებული იყო, რის გამოც „ვერდერთან" ძირითად შემადგენლობაში **ჟერომ ბოატენგმა** ითამაშა. ახლა კი ბელგიელიც გამოჯანმრთელდა და ლოგიკურად, სანამ დიდი ხნის ტრავმირებული **ჰოლგერ ბადშტუბერი** დაბრუნდება, ჰაინკესმა სასტარტოში კვლავ ვან ბუიტენი უნდა ათამაშოს.

### კლოპი: ეს მატჩი ჩვენთვის მნიშვნელობით ჩემპიონთა ლიგის არც ერთ თამაშს არ ჩამოუვარდება!

დორტმუნდელები მიუნხენში თავდაჯერებულები ჩადიან და საკადრო პრობლემებიც არ აწუხებთ. *„ამ პლანეტაზე ძალიან ცოტაა ისეთი გუნდი, რომელსაც „ბაიერნის" დამარცხება შეუძლია და „დორტმუნდი" ერთ-ერთი მათგანია,"* - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** და იქვე დასძინა, ამ მატჩს ჩემპიონთა ლიგის თამაშზე არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთო.

რეკორდმაისტერს სუპერთასამდე დორტმუნდი სამი წლის მანძილზე არ ჰყავდა დამარცხებული და კლოპმაც სწორედ ამაზე ისაუბრა: *„ამ სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა - დღეს მიუნხენელები სერიოზულად გვიფრთხიან."*

**მატს ჰუმელსს, იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** და **რობერტ ლევანდოვსკის** ტრავმები აწუხებდათ, მაგრამ გამოჯანმრთელდნენ და დღეს აუცილებლად ითამაშებენ.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ვან ბუიტენი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რობენი - მანჯუკიჩი.

**დორტმუნდი (4-3-2-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ბლაშჩიკოვსკი, ს. ბენდერი, გიუნდოგანი - გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** კნუტ კირხერი

**გოტფრიდ ლენცი**



„ბაიერნის" მწვრთნელი იუპ ჰაინკესი და მისი დორტმუნდელი კოლეგა იურგენ კლოპი: დღეს მათი დუელია

ქართული სპორტი

● გამოხმაურება



# ნუგზარ სხირელი: ფილას უსამართლობას ყოველთვის ვაპროტესტებდი

ჭიდაობის ცნობილი სპეციალისტი **ნუგზარ სხირელი** დიდი ხანია კარგადაა ჩახედული მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში მიმდინარე პროცესებში. ცოტა ხნის წინათ სოკ-ის მიერ გაცხადებულ ინიციატივა, რომლის მიხედვითაც შესაძლოა ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოიღონ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს ქვეყანაშიც. სოკ-მა საჭიდაო სამყარო ადრეც გააფრთხილა, რომ ფილაში მოუწესრიგებელი ვითარების გამო რადიკალურ გადაწყვეტილებებსაც არ მოერიდებოდა. ჰოდა, ამ ნაბიჯის საპასუხოდ საჭიდაო სამყარომ ფილას პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი** თანამდებობიდან გადააყენა. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამ სახეობაში მიმდინარე არაჯანსაღი პროცესების თავი და თავი სწორედ ის იყო. ნუგზარ სხირელს კი მასთან ბრძოლის დიდი „გამოცდილება" აქვს. ბოლოს მარტინეტის წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიებების საჭიროებაზე იგი ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ „ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუშიც საუბრობდა. ბატონ ნუგზართან ინტერვიუ სწორედ ამ თემით დავიწყეთ, შემდგომ კი, ცხადია, ვერც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მისი ჩამოცილების ფაქტს ავუარეთ გვერდი. აქვე შეგახსენებთ, რომ სხირელი ამ ასაკობრივ ნაკრებს 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და უამრავი წარმატება მოუტანა ქვეყანას.

- ბატონო ნუგზარ, ოლიმპიადის შემდეგ „ლელოსთან" ინტერვიუში ამბობდით: „იმის გამო, რომ ზღვარგადასულ არაობიექტურობაზე ყოველთვის ხმამაღლა ვრეაგირებ, ჩემს დანახვაზეც კი ლიზიანდებიან მარტინეტი და მისი დამქაშები. ლონდონშიც ტრანსლაციისასაც დაინახავდით, რომ ჩემს შეგირდებს სეკუნდანტის ადგილზე გამოკვეთილადაც არ ვუჯდებოდი, პერიოდებს შორის შესვენებისას კი არენაზე არ ავდიოდი და ქვემოდან ვაძლევდი მითითებებს, რათა ჩემი თუნდაც ასეთი აქტიურობით ფილას მაღალჩინოსნები არ გალიზიანებულიყვნენ და მერე ჩვენს ფალავნებს არ შეჰქმნოდათ პრობლემა. არადა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. მათთან ბრძოლაა საჭირო! უბრალოდ, თავის თავზე არც ერთი ქვეყნის ფედერაცია არ იღებს ამ უსამართლობის წინააღმდეგ შეტევას. ამ გზით მათი მოცილება თუ არა, შეჩერება მაინც მოხერხდება! რამდენჯერ უნდა დავიჩაგროთ?!"

- მე ვერასოდეს ვითმენდი ფილას უსამართლობას. სხვადასხვა ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებსაც ოფიციალური შეჯიბრებებისას ვთხოვდი მხარდაჭერას. პროტესტს ძირითადად ჩვენ და ირანელები გამოვთქვამდით. აპროტესტებდა თურქეთიც, მაგრამ ფილას ზემდგომ სტრუქტურებში ჰყავდათ ხალხი და იცოდნენ, ჩვენგან განსხვავებით მათ არავინ დასჯიდა.

>> მე-11 გვერდზე

● ტყვიის სროლა. ევროპის ჩემპიონატი




# კვარტეტი დანიაში

დანიურ ოდენსეში დღეს ტყვიის მსროლელები პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ევროპის პირველობაში ჩაებმებიან, რომელშიც საქართველოდან ოთხი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას: ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** ქალთა ტურნირში გამოვა, ვაჟებში **ლევან ქადაგიძე** ისვრის, ახალგაზრდა გოგოებში სხვებთან ერთად ძალებს **ლიზი კილაძე** მოსინჯავს, ახალგაზრდა ბიჭებში - **ვლადისლავ მაიოროვი**, რომელიც უცხოეთში ასპარეზობის მხრივ ამ კვარტეტში ყველაზე გამოუცდელია.

ჩვენებურთაგან ჩემპიონატში ყველაზე ადრე სწორედ მაიოროვი ჩაებმება - დღეს ისვრის. ხვალ კილაძე იასპარეზებს, სალუქვაძე 1 მარტს შეეცდება მედლის მოპოვებას, ქადაგიძე კი სტარტზე 2 მარტს, ტურნირის ბოლო დღეს დადგება.

**ირაკლი თავაძე**

● სამთო თხილამურობა

# მეორე ცდა მეცხრე ადგილით




გერმანულმა გოეტჩენმა ალემანთა ახალგაზრდულ პირველობას უმასპინძლა სუპერგიგანტში. მასპინძლებთან ერთად საასპარეზოდ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმაც მოიყარეს თავი. მათ შორის იყო ბაკურიანელი **ჯაბა გელაშვილი**. პირველი დაშვებისას მან 1.01,41-ით მე-8 ადგილი დაიკავა. პირველი-მესამე ადგილები გერმანელებს - კრისტოფერ ბრანდნერს (59,73) ფილიპ პორვოლსა (59,80) და კრისტიან ფერსტლს (59,94) ერგოთ. მეორე დაშვებისას ჩვენმა სპორტსმენმა შედეგი გააუმჯობესა (1.00,81), რამაც ცხრილში ცხრა საფეხურით წინ გადასწია, თან მესამე ადგილზე გასულ გერმანელს - ანტონ ტრემელს 0,74 წამით ჩამორჩა. პირველ-მეორე ადგილებზეც მასპინძლები - კრისტიან ფერსტლი (59,52) და გეორგე ჰეგელი (59,90) გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

« მე-10 გვერდიდან

მე მუდამ ხმამაღლა გამოვხატავდი სათქმელს და მართლაც არ ვეპიტნავებოდი მარტინეტს (მე მგონი, მას ქართველები არ მოსდის თვალში, რადგან თავის დროზე გურამ სალარაძეს შვიდ წამში ჰყავს დამარცხებული და ის სირცხვილი დღესაც ახსოვს). აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მისი წინამორბედი, მაკედონიელი მილან ერცეგანი ხელმძღვანელობდა ფილას (1971 - 2002 წწ), მარტინეტი უკვე საკვანძო თანამდებობაზე მუშაობდა და ფაქტობრივად თავად განაგებდა ორგანიზაციას. რომ

**როგორც ჩანს, დიდების ნაკრებში მწვრთნელების გათავისუფლებას მეც მიმაყოლეს. მაგრამ ამდენი ხნის წარმატებული მუშაობის მერე ერთი ნორმალური მადლობა მაინც არ მეკუთვნოდა?**

არა მისი გათავისუფლება პოსტიდან, მოარული ხმებით, უფრო დიდი პარადოქსი მომავალში გველოდა, რადგან საუბრობდნენ, რომ მარტინეტი თავისი შვილისთვის აპირებდა პრეზიდენტის სავარძლის დატოვებას! მისი მმართველობით ძალიან უკმაყოფილო იყვნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც. პირადი საუბრისას ფრანგმა მწვრთნელმა ისიც მითხრა, საფრანგეთში გამართულ შეჯიბრებებზე მარტინეტს ვერსად ნახავთ, რადგან ჩვენ ავუკრძალეთ საფრანგეთში ჩამოსვლაო. ასე იყო იტალიაშიც. და მართლაც თუ დააკვირდებოდით, აღმოსავლეთ ევროპაში გაცილებით ხშირად იმართებოდა მნიშვნელოვანი ტურნირები.

ახლაც გული მტკივა ოლიმპიადის ფინალში ლადო ხინჩეგაშვილის შეხვედრის გამო. კულუარული ინფორმაციით უკვე ვიცოდით, რომ მეტოქის ბანაკს მსაჯებთან ჰქონდათ „ნამუშევარი" და ლადოს უდიდესი წინააღმდეგობა შეხვდებოდა არბიტრებისგან. მას ფაქტობრივად რამდენიმე თავით უნდა ეჯობნა მეტოქისთვის, რაც ოლიმპიადის ფინალში გასულ ნებისმიერ სპორტსმენთან, მით უფრო ოთარსულთანოვთან უკიდურესად ძნელი იყო.

**- თუმცა ფილაში მხოლოდ მარტინეტი ხომ არ იყო.**

- რასაკვირველია მხოლოდ მარტინეტისთვის ყველაფერის გადაბრალება არ იქნება მართებული. მე არაერთხელ აღმინიშნავს ჩემი და ფილას დელეგატის იანჩო კოსტადინოვის კონფლიქტური ურთიერთობის შესახებ. ამ ადამიანის მიკერძოებულ და მაქინატორულ დამოკიდებულებას ვერასოდეს ვეგუებოდი. ხშირად შელაპარაკებაც მოგვსვლია. ერთხელ პირდაპირ ისიც კი მითხრა, - აბა როგორ გინდა, ბულგარელთან ქართველს მოვაგებინოო? (იგი ბულგარელია). წარმოგიდგენიათ ასეთი ადამიანის ობიექტურობა? ცხადია, ის მხოლოდ თანამემამულეთა სასარგებლოდ არ იბრძვის არაკანონიერი გზით.

**- ამ თვალსაზრისით თქვენ გაცილებით კეთილგანწყობილი იყავით ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ.**

- დიახ, ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელ ცენო ცენოვის შედარება კორუფციისა და კლანური მმართველობისადმი მიდრეკილებით ცნობილ მარტინეტისთან არ შეიძლება. სადავო სიტუაციაში ცენოვისგან მხარდაჭერაც არაერთხელ მიგრძნია, რაც მნიშვნელოვანი იყო. ცენოვს საკუთარი პოზიცია გააჩნია, რაც ჭიდაობის კომერციულად ბევრად მომგებიან სახეობად გარდაქმნას ისახავს მიზნად. ბუნებრივია, ეს კარგია, მაგრამ ვშიშობ, ამ მიმართულებით მკვეთრ ნაბიჯებს სხვა გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხები არ შეეწიროს.

**- თქვენი პრეტენზიები ძირითადად არაობიექტურ მსაჯობას უკავშირდებოდა?**

- საერთოდ, მსაჯების უმრავლესობა ისე „ჭრის და კერავს" შეხვედრებს, როგორც მოესურვება. წესები მათ მანიპულირების კარგ საშუალებას აძლევს. აქვე მინდა ვთქვა წესებში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქართველი მწვრთნელების სრულყოფილად ინფორმირების ხარვეზზედაც. სულ პრობლემა იყო შეცვლილი წესების ქართული თარგმანის ჩვენი მწვრთნელებისთვის მიწოდება, რის გამოც ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით.

**- ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ჭიდაობის ამოღების შესაძლებლობაზე რას იტყვით?**

- იმედი მაქვს, რომ არ მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას. წინააღმდეგი წავა ამერიკა, იაპონია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, თურქეთი, ირანი. ამ ქვეყნებში საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ჭიდაობაში. საშიშროებაზე ორი ოლიმპიადის წინაც იყო საუბარი. მაშინ ამერიკელებმა ატეხეს განგაში. მოგეხსენებათ, თავისუფალი ჭიდაობა ამერიკული სახეობაა და ისინი, პირველ ყოვლისა, პროგრამაში მის დატოვებას ლობირებდნენ. იმ პერიოდში ბერძნულ - რომაული ჭიდაობის პოზიციები უფრო სუსტი ჩანდა. მიმაჩნია, რომ ანტიკური ჭიდაობის გაწირვაც დაუშვებელია და საერთოდაც, ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელ ბერძნების აზრს ყოველთვის უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას.

**- ბატონო ნუგზარ, ახალგაზრდული ნაკრებიდან ჩამოცილების შემდეგ მხოლოდ გორის დარბაზში განაგრძობთ მუშაობას?**

- ჩემი გათავისუფლება ძალიან მოულოდნელი იყო. ვერ წარმომედგინა, რომ მწვრთნელს, რომელსაც თავისი პირადი შეგირდებით და ნაკრებში მუშაობით სისტემატიურად მოაქვს ქვეყნისთვის მედლები უმნიშვნელოვანესი ოფიციალური შეჯიბრებებიდან, მხოლოდ იმის გამო გაათავისუფლებდნენ, რომ ის დიდი ხანია მუშაობს. როგორც ჩანს, დიდების ნაკრებში მწვრთნელების გათავისუფლებას მეც მიმაყოლეს. მაგრამ ამდენი ხნის წარმატებული მუშაობის მერე ერთი ნორმალური მადლობა მაინც არ მეკუთვნოდა? გაიხსენეთ ბოლო ოლიმპიადის შედეგები, სადაც ჩემმა პირადმა მოსწავლეებმა ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საოლიმპიადე გუნდის ნახევარი სულაც ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი ხელმძღვანელობით ახლახან დაფრთიანებული მოჭიდავეებისაგან შედგებოდა. აღარაფერს ვამბობ, ადრინდელ წარმატებებზე უფროსებსა თუ ასაკობრივ ნაკრებებში. სხვათა შორის, ბევრს ისიც არ ეცოდინება, რომ 2006 წლამდე ნაკრების მწვრთნელს ხელფასიც არ მქონია. მიუხედავად ყველაფრისა, მე მინდა ყველას წარმატებები ვუსურვო. მართალია, ფედერაციის პრეზიდიუმს არ დაუმტკიცებია პრეზიდენტის გადაწყვეტილება ჩემს გათავისუფლებაზე, მაგრამ მე უკან მიბრუნებას არ ვაპირებ. ქართველ ფალავნებს მხოლოდ ახალ მიღწევებს ვუსურვებ და მადლობას ვუხდი ყველას, ვისთან ერთადაც აქამდე ჩვენი ქვეყნისთვის გამარჯვებებს ვიმკიდით! მე ჯერაც ვრჩები გორის დარბაზში, საიდანაც ჩემი შეგირდები ლადო ხინჩეგაშვილი, გენო პეტრიაშვილი და რამდენიმე სხვა კიდევ არაერთ გამარჯვებას მოუტანენ საქართველოს!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

---

მშვილდოსნობა




# ევროპულ მშვილდს ვაჟებიც მოზიდავენ

## ქალები ევროპის ზამთრის ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეეცდებიან

**დღეს პოლონურ პრზესცოვში მშვილდოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატი იწყება, რომელსაც დარბაზის პირველობასაც ეძახიან, ვინაიდან დახურულ არენაზე ტარდება 18-მეტრიან დისტანციაზე.**

ტურნირში საქართველო ქალთა გუნდითაც მიიღებს მონაწილეობას და ვაჟებითაც. ქალთა ნაკრებში **ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე** და **ლანა ვერულიძე** შედიან, ვაჟებში - **ლაშა ფხაკაძე, არჩილ ფარსენაძე** და **ლევან ჩიტიშვილი**. ქალთა შორის ამჯერად არ გამოდის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**, რომელსაც ხელი ოჯახურმა პრობლემამ - მშობლის ავადმყოფობამ შეუშალა. მის ნაცვლად გუნდში დიასამიძე ჩართეს, რომელიც საქართველოს ზამთრის პირველობაზე ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ვერულიძესთან დამარცხდა.

სიახლეა ვაჟთა გუნდის ამ დონის შეჯიბრებაზე გამოჩენაც და ამგვარად დაკომპლექტებაც - ფხაკაძემ შარშან საკმაო გამოცდილება კი მიილო, მაგრამ ფარსენაძე და ჩიტიშვილი დებიუტანტის რანგში იქნებიან. თუმცა მათ სავსებით დაიმსახურეს პოლონეთში გამოსვლა - ქალთა მსგავსად, ეს გუნდიც საქართველოს პირველობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა, იქ კი ფარსენაძე მეორეზე, ხოლო ჩიტიშვილი მესამეზე გავიდნენ. ესებუას წაუსვლელობის გამო ქალთა ნაკრებში მთლიანად აჭარის რეგიონის წარმომადგენლები შევიდნენ, ვაჟებში კი მხოლოდ ფარსენაძეა იქაური, ხოლო დანარჩენები თბილისელები არიან.

პრზესცოვში გუშინ ოფიციალური ვარჯიში გაიმართა, დღეს კი საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდება და გავიგებთ პლეი ოფში ჩვენებურთა მეტოქეების ვინაობას. პლეი ოფები უკვე ხვალიდან დაიწყება და გამოვლინდებიან მედლებისთვის მებრძოლი წყვილები. 1 მარტი მთლიანად გუნდურ ტურნირს დაეთმობა და იქაც მედლებისთვის მებრძოლნი გაირკვევიან. ფინალური ასპარეზობები გუნდურშიც და პირადშიც 2 მარტს ჩატარდება, რითაც პირველობაც დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქალები პოლონეთში ორი წლის წინათ ესპანურ კამბრილსში მოპოვებული ევროპის ზამთრის ჩემპიონის ტიტულის დაცვას შეეცდებიან.

**ირაკლი თავაძე**

---

ძიუდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭაბუკური გადაადგილებები

## ცირეკიძე ახალ აღმართს შეუყვა

გასულ უქმეებზე ძიუდოს აკადემიამ საქართველოს პირველობას უმასპინძლა ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. მოგეხსენებათ, ეს ისეთი ასაკია, რომელსაც თაობათა ცვლა ყველაზე მეტად ეტყობა ხოლმე და გამონაკლისი არც წლევანდელი შემადგენლობაა. მართალია, გუნდის ბირთვი ძირითადად შენარჩუნებულია, თუმცა შარშანდელის შემდეგ ნაკრების შიგნით მაინც გვარიანი საკადრო გადაადგილება მოხდა - ბევრმა დაასრულა ამ ასაკში გამოსვლა და ახალგაზრდებში გადავიდა, ბევრმა კი წონითი კატეგორია შეიცვალა. ზოგიერთმა მთელი ორი წონით ზევითაც კი აინაცვლა. ასეთმა რეფორმამ ზოგან კიდევ უფრო გაზარდა კონკურენცია, ზოგან - შეასუსტა. ძველმა ლიდერებმა რამდენიმეგან ახლაც გაიმარჯვეს, სხვებს კი გაუჭირდათ დამხვდურ ფავორიტებთან გამკლავება. მაგალითად, **გიორგი კაციაშვილი** შარშან 55-ში გახდა ქვეყნის ჩემპიონი (მერე ევროპაზე ბრინჯაოც მოიპოვა), წლეულს კი 60-ში გადაინაცვლა და იქაც გაიმარჯვა. ამავე ასაკში კონტინენტის კიდევ ერთი შარშანდელი ჩემპიონი **კობა მჭედლიშვილი** წლეულს ერთი წონით მაღლა - 66-ში მოგვევლინა, თუმცა ნახევარფინალში **ნიკა მამულაშვილთან** დამარცხდა და მესამეზე დარჩა. მჭედლიშვილს 66-ში ქვეყნის შარშანდელი პირველობის მესამე პრიზიორები - **ბექა უდესიანი, დიმიტრი ცაბაძე** და ვიცე-ჩემპიონი **ბექა სეხნიაშვილიც** გაჰყვნენ ანუ 60-ის მთელი კვარცხლბეკი იქ გადავიდა, თუმცა ხელი მოეცარათ. 66-ში ქვეყნის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ზაზა მეგრელიშვილი** (რომელსაც მერე ხელის ტრავმამ უცხოეთში ჭიდაობის საშუალება არ მისცა), ისევ აქაა, მაგრამ ამჯერად ადრევე დამარცხდა და უმედლოდ დარჩა, შარშანდელი ჩემპიონი **ზაზა ბოლქვაძე** კი, ვინც ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა, ამჯერად 73-ში გამოვიდა, მაგრამ კვარცხლბეკს ვერც მან უწია. **თამაზ კირაკოზაშვილი** ორი წლის წინ 60-ში გახდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მაგრამ მას შემდეგ 73-ში გადაინაცვლა, თუმცა თავიდან მწვრთნელები არ ურჩევდნენ ამას. ეტყობა, მან საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი აქ და კვირას დილომში ჩემპიონი გახდა. შარშანდელი ლიდერი შენარჩუნებულია ზედა ორ უმძიმეს წონაში - 90-ში ამჯერადაც ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **დავით რამაზაშვილმა** გაიმარჯვა, +90-ში - ისევ **გიორგი ძებისაშვილმა**. აქ მომხდარი ცვლილებებიდან ერთს გამოვარჩევთ - **მიხეილ ახალაურმა** 90-დან მძიმეში გადაინაცვლა და შარშანდელივით ახლაც ვერცხლი მოიპოვა.


ნიკოლოზ ჭიკაიძე

ცოტა განსხვავებულია **ერეკლე არხოზაშვილის** ამბავი. ის ქვეყნის პირველობაზე შარშანაც 55-ში გამოვიდა, თუმცა **ბექა ნათათრალაშვილთან** დამარცხდა და მესამეზე გავიდა. საევროპოდ მან მწვრთნელთა დაჟინებით 50-ში დაიკლო, რადგან იქ ხეირიანი კონკურენცია არ იყო, და ჭაბუკებში კონტინენტის ჩემპიონიც გახდა, ნათათრალაშვილი კი ევროპაზე მეორეზე გავიდა. ამჯერად არხოზაშვილმა ისევ 55-ში იასპარეზა და ფინალშიც გავიდა, თუმცა ისევ ნათათრალაშვილთან დამარცხდა!

მოგეხსენებათ, ამ ნაკრების მთავარ მწვრთნელად ცოტა ხნის წინ უტიტულოვანესი ქართველი ძიუდოისტი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** დაინიშნა, რომელიც პირველ ოფიციალურ ტურნირს ატარებდა ამ რანგში. მანამდე გუნდი ბაკურიანშიც ჰყავდა შეკრებაზე, როთაც ახალი სეზონისთვის მზადებაც დაიწყო. წინ კი მართლაც მნიშვნელოვანი სეზონია, რადგან წინ სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ელოდებათ - 21-23 ივნისს ტალინში ევროპის პირველობა იმართება, 13-20 ივლისს ჰოლანდიურ უტრეხტში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ტარდება, 8-11 აგვისტოს კი მაიამი მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. შედარებისთვის გეტყვით, რომ შარშან პირველხარისხოვანი შეჯიბრებებიდან შარშან მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი გაიმართა.

ცხადია, ამდენი ტურნირი ძიუდოისტებისთვისაც გაზრდილი შანსია. თან, ფესტივალის გარდა, იმ ორ ჩემპიონატში ორ-ორი მონაწილის გამოყვანა შეგვიძლია, თუმცა ასეთი შემჭიდროებული კალენდარი შანსს სხვებსაც აძლევს - სამ თვეში სამჯერ ასეთ დატვირთვას ერთეულები თუ გაუძლებენ. ამიტომ ცირეკიძეს ნამდვილად მოუწევს შემადგენლობის საფუძვლიანი როტაცია. ნაკრებში მოსახვედრად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია - ქვეყნის პირველობამ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა, დანარჩენი კი მედალოსანთა მონდომებასა და უახლოეს თვეებზეა დამოკიდებული. ცირეკიძე ქვეყნის პრიზიორებს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში კიდევ გამოცდის, სადაც შეგირდებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ თავიანთი სიძლიერე.

იმედია, ჩვენი ჭაბუკებისთვის წლევანდელი სეზონიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც შარშანდელი იყო - ევროპის პირველობაზე 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს.

### კვარცხლბეკი

**50 კგ.** 1. ნიკოლოზ ჭიკაიძე (კახეთი); 2. რობიზონ ბეგლარიშვილი (შიდა ქართლი); 3. დავით გეჯაძე (სამცხე-ჯავახეთი), ტატო ტატულაშვილი (აჭარა).

**55 კგ.** 1. ბექა ნათათრალაშვილი (თბილისი); 2. ერეკლე არხოზაშვილი (შიდა ქართლი); 3. ირაკლი ლიპარტელიანი (თბილისი), ლევან ჩხვიმიანი (ქვემო ქართლი).

**60 კგ.** 1. გიორგი კაციაშვილი; 2. ზვიად ხუბულური; 3. გიორგი მეტრეველი (სამივე - შიდა ქართლი), გიორგი ლიპარტელიანი (თბილისი).

**66 კგ.** 1. სიმონ მამარდაშვილი (კახეთი); 2. ნიკა მამულაშვილი (შიდა ქართლი); 3. კობა მჭედლიშვილი (კახეთი), ბექა ფალიანი (ქვემო ქართლი).

**73 კგ.** 1. თამაზ კირაკოზაშვილი; 2. გიორგი გულიაშვილი (ორივე - კახეთი); 3. ზურაბ ლომიძე, ჯაბა ლიპარტელიანი (ორივე - იმერეთი).

**81 კგ.** 1. გიორგი ქურდიანი (თბილისი); 2. იესო კვირიკაშვილი (შიდა ქართლი); 3. კახი ლიპარტელიანი (ქვემო ქართლი), ირაკლი გოგია (სამეგრელო - ზემო სვანეთი).

**90 კგ.** 1. დავით რამაზაშვილი; 2. ჯაბა მუმლაძე (კახეთი); 3. მიხეილ ჟორჟოლიანი (სამეგრელო - ზემო სვანეთი), გიორგი გველესიანი (თბილისი).

**+90 კგ.** 1. გიორგი ძებისაშვილი (თბილისი); 2. მიხეილ ახალაური; 3. დავით რაზმაძე (ორივე - კახეთი), ბაქარ კუხიანიძე (იმერეთი).

**ირაკლი თავაძე**



● შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან



მარცხნიდან: კირსან ილუმჟინოვი, ლევან ყიფიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და ბიძინა ივანიშვილი

# და ჭადრაკიც ითამაშეს

საქართველოში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ფიდეს პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი.** გუშინ ბიზნესცენტრში იგი საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ბიძინა ივანიშვილს** შეხვდა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** და მინისტრის პირველ მოადგილე - **ზურაბ აზმაიფარაშვილი** დაესწრნენ. მხარეებმა საქართველოში ჭადრაკის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს. შეხვედრის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტთან ჭადრაკი ითამაშა.

*„ჩვენი სურვილია, რომ თბილისმა ჭადრაკის დედაქალაქის ფუნქცია შეიძინოს. ქართულ ჭადრაკს ძალიან დიდი ტრადიცია აქვს და ეს ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს,“*-განაცხადა კირსან ილუმჟინოვმა.

ფოტო ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუკის“ ოფიციალური გვერდიდან.

# გურამიშვილის წინსვლა შეაჩერეს

ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ქართველი დიდოსტატის - **სოფიკო გურამიშვილის** წინსვლა გუშინ 41-ე სვლაზე ივან სიკოლოვმა (ჰოლანდია) შეაჩერა. ეს მოხდა რეიკიავიკში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა მე-9 ტურში. შედეგი მოულოდნელი არ ყოფილა - სოკოლოვი ხომ ჩვენებურს რეიტინგში 230 პუნქტით უსწრებს და, ისედაც, გურამიშვილზე ბევრად გამოცდილია.

ისლანდიურ ტურნირზე 9 ტურის შემდეგ 7.5-7.5 ქულით პაველ ელიანოვი (უკრაინა) და სოუ ვესლი (ფილიპინები) დაწინაურდნენ, რომლებმაც გუშინ დინ ლიჟენი (ჩინეთი) და მარჩინ ძიუბა (პოლონეთი) დაამარცხეს. 6 მოჭადრაკეს 7-7 ქულა აქვს. გურამიშვილს 6 ქულა დარჩა. გუშინდელ ტურში გამარჯვებების შემდეგ ჩვენებურს ქულებით გაუთანაბრდნენ ჩინელი ქალები - თან ჟონი, გუო ძი და ჰუან ძიანი, რომლებიც 2 მარტიდან ასტანაში ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ.

რეიკიავიკში მოჭადრაკეთა ტურნირი დღეს დამთავრდება.

● წყალბურთი




# ლიგამუსი ეგერს უმასპინძლებს

ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე წყალბურთელები დღეს ბოლო ტურის მატჩებს გამართავენ. უწინაც გვითქვამს და გავიმეორებთ, რომ **C ჯგუფში** ნოვი სადის "ვოივოდინას" და იტალიის "ბრეშას" შეხვედრის გარდა, დანარჩენ პაექრობებს მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვს (რადგან 15 მერვედფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია), მათ შორის - საქართველოს სამგზის ჩემპიონ "ლიგამუსი-თბილისისა" და უნგრეთის "ეგერის" პაექრობას, რომელიც დღეს საწყლოსნო კომპლექს "ოლიმპიკში" გაიმართება. ამ გუნდების პირველი წრის მატჩი მადიარების გამარჯვებით დამთავრდა - 27:5. უნგრელები თბილისშიც მოსაგებად ჩამოვიდნენ. წარმატების შემთხვევაში, შესაძლოა, ჯგუფში მეორე ადგილი შეინარჩუნონ და პლეი ოფში შედარებით სუსტ გუნდს დაუპირისპირდნენ. ქართველ წყალბურთელებს კი კარგა ხანია, ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გადაეწურათ.

მეტოქეები დღეს "ოლიმპიკში", სავარაუდოდ, ასეთი შემადგენლობებით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს: **"ლიგამუსი"** - ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, ლევან ჩიქვინიძე, ალექსანდრე რუსიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, ალექსანდრე ურუშაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ბექა ქავთარაძე, გიორგი ქართველიშვილი და ბექა კაპანაძე; **"ეგერი"** - ზოლტან სეჩი, ვილიამ გერიცე, ბენს ბატორი, კევინ გრაჰამი, ფერენც სალამონი, გაბორ კოვაჩი, ტამაშ მეჟეი, ზოლტ ვარგა, სემან ლუკაში, მიკლოშ გორ-ნაგი, პეტერ ბიროში, ერიკ ბუნდშუ, დავიდ ბისტრისანი. თუმცა, ცვლილებებიც არ არის გამორიცხული, მით უმეტეს - სტუმართა გუნდში.

დღესვე ვოლგოგრადში **A ჯგუფის** ცენტრალური მატჩია - "სპარტაკი" ერთპიროვნულ ლიდერს - საბერძნეთის "ვულიაგმენს" უმასპინძლებს. მათი პირველი შეხვედრა ათენში ელინელთა გამარჯვებით დასრულდა - 11:6. გერმანიაში "ვასპო-98" ჰოლანდიის "შუურმანს" დაუხვდება. ამ პაექრობის შედეგი გათამაშების ცხრილზე ზეგავლენას ვერ მოახდენს, რადგან ნიდერლანდელებმა მერვედფინალის საგზური უკვე გაინაღდეს.

**A ჯგუფში** ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: "ვულიაგმენი"-24 (121:46), "ეგერი"-21 (119:60), "სპარტაკი"-21 (99:58), "შუურმანი"-9 (58:105), "ვასპო-98"-4 (41:102), "ლიგამუსი"-1 (54:121).

**B ჯგუფში** ითამაშებენ: "დუბროვნიკი" (ხორვატია)-"ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი), "კრეუცლინგენი" (შვეიცარია)-"ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი).

**C ჯგუფი.** "სინთეზი" (ყაზანი)-"ბარსელონეტა" (ესპანეთი), "ვოივოდინა" (ნოვი სადი)-"ბრეშა" (იტალია).

**D ჯგუფი.** "შპანდაუ-04" (გერმანია)-"ბეტონი" (უნგრეთი), "გალათასარაი" (თურქეთი)-"პარტიზანი" (ბელგრადი).

● ჭადრაკი

# ჩვენ და მეტოქეები

## 2 მარტს ასტანაში მოჭადრაკე ქალთა მეოთხე გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება

მოჭადრაკე ქალთა გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატს 2007 წელს ჩაეყარა საფუძველი. იმ შეჯიბრებას ეკატერინბურგმა უმასპინძლა. 18 შესაძლებლიდან 17 ქულით პირველი ადგილი ჩინელებმა (მთლიანად გუნდის მონაგარი - 30,5 ქულა) მოიპოვეს. მეორე-მესამე ადგილებზე რუსები - 15 (24) და უკრაინელები - 13 (22,5) გავიდნენ. 11 ქულით (20) მე-4 ადგილი საქართველოს ნაკრებს (**მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, სოფიო ხუხაშვილი, სოფიო გვეტაძე**) ერგო. იმ ჩემპიონატზე მომავალმა ჩემპიონებმა ის ერთადერთი ქულა ქართველებთან დაკარგეს. დაფების მიხედვით ჩვენებურთაგან ერთადერთი ვერცხლის მედალი მე-2 დაფაზე ჯავახიშვილმა დაიმსახურა. იქ პირველი იყო ჩინელი ჰოუ იფანი, რომელიც მერე მსოფლიოს ჩემპონი გახდა. მესამე ადგილზე კი უკრაინელი ანა უშენინა გავიდა. ამ უკანასკნელმა შარშან დეკემბერში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი.

■ ■ ■

2009 წელს ჩინურ ნინგბოში მეორე ჩემპიონატი ჩატარდა. ამჯერად, აზიელებმა, იმის მიუხედავად, რომ შინ ასპარეზობდნენ, ვერ გაილაღეს: სამმა გუნდმა ჩინეთმა (21,5), რუსეთმა (21) და უკრაინამ (20,5) 12-12 ქულა მოაგროვეს და პირველი-მესამე ადგილები მოთამაშეთა საერთო მონაგარმა გაანაწილა. ჩვენმა გუნდმა 11 ქულით ამჯერადაც მე-4 ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა პირველი მედალი 2011 წელს თურქულ მარდინში დაიმსახურა: **ნანა ძაგნიძემ, ლელა ჯავახიშვილმა, ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ხურციძემ** და **სალომე მელიამ** 12 გუნდურ ქულას (საერთო მონაგარი - 21,5) მოუყარეს თავი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. რუსებმა (ნადეჟდა და ტატიანა კოსინცევები, ალექსანდრა კოსტენიუკი, ვალენტინა გუნინა, ნატალია გონინა) ჩვენებს ქულით გაუსწრეს და ისევ მეორე ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონობა 16 ქულით ზედიზედ მესამედ ჩინელებმა (ჰოუ იფანი, ცზიუ ვენძიუნი, ჟაო სიუ, თან ჟონი, ჟან სიაოვენი) დაისაკუთრეს.

■ ■ ■

ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა 2 მარტიდან ქალთა მეოთხე გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. საპრიზო ადგილებისთვის იქაც 10 გუნდი იასპარეზებს. სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებში მომხდარი ცვლილებები შედეგად ტურნირის რეიტინგფავორიტი (საშუალო რეიტინგი - 2488) საქართველოს ნაკრები გახდა. ჩვენი გუნდი, რომელიც ამჟამად დიდოსტატების - **ზურაბ სტურუას** და **ლაშა ჯანჯღავას** ხელმძღვანელობით ბაკურიანში გადის საწვრთნელ შეკრებას, დიდოსტატ **ნინო გურიელის** კაპიტნობით, ასტანაშიც იმავე შემადგენლობით ითამაშებს, როგორითაც 2011 წელს თურქულ მარდინში. საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ნანა ძაგნიძე** (რეიტინგი - 2555), **ბელა ხოტენაშვილი** (2499), **ლელა ჯავახიშვილი** (2461), **ნინო ხურციძე** (2437) და **სალომე მელია** (2403).

რეიტინგით მეორეა რუსეთის ნაკრები (2479,8). მის შემადგენლობაში გამოსვლაზე უარი თქვეს დებმა - ტატიანა და ნადეჟდა კოსინცევებმა, რომლებიც შარშანდელი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ გუნდის კაპიტან სერგეი რუბლოვსკის დაუპირისპირდნენ „ფსიქოლოგიურად შეუთავსებლობის“ გამო. რუსულ წყაროებზე დაყრდნობით უკვე გაუწყეთ, რომ ერთ-ერთი კოსინცევა ამჟამად ამერიკაში იმყოფება და იქაურ ჭადრაკის ფედერაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებს დების ამერიკაში შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებით. ასტანაში კი, სავარაუდოდ, მსოფლიოს და ევროპის



ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (2495), ევროპის ჩემპიონი ვალენტინა გუნინა (2490), ნატალია პოგონინა (2475), ალისა გალიამოვა (2459) და ოლგა გირია (2441) ითამაშებენ.

■ ■ ■

ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს უკრაინას (2475): მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი ანა უშენინა (2477), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (2547), მარია მუზიჩუკი (2471), ინა იანოვსკა (გაპონენკო), 2405) და ევროპის ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა (2471). კაპიტანია მიხაილ ბროდსკი.

ჩინეთის ნაკრები (2470) რეიტინგით მისთვის უჩვეულო მე-4 ადგილზეა. ამჯერად ჩემპიონატში თამაშზე უარი თქვეს ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ჰოუ იფანმა (2617) და ტოპათეულის წევრმა ჟაო სიუემ (2554). აზიელები ყაზახეთის დედაქალაქში ასეთი შემადგენლობით ჩავლენ: ცზიუ ვენძიუნი (2505), ჰუან ძიანი (2478), თან ჟონი (2466), გუო ძი (2431), შენ იანი (2451), კაპიტანი - იუ ჩაოტენი.

რეიტინგით მეხუთეა აშშ-ის ნაკრები (2391): ანა ზატონსკიხი (2491), ირინა კრუში (2460), თათევ აბრაჰამიანი (2300), საბინა ფოიშორი (2313), ვიქტორია ნი (2263).

მომდევნო ადგილზეა რუმინეთი (2359.5): ადელა ქრისტინა ფოიშორი (2389), ელენა ლუმინიცა კოსმა (2332), ირინა ბულმაგა (2355), ალინა ლამი (2362), კარმენ ვოიცუიაგოძინსკი (2281).

■ ■ ■

ამ ჩემპიონატზე პირველობის რეალური ფავორიტი უნდა ყოფილიყო ინდოეთის ნაკრები (2354.8), მაგრამ ეროვნულ გუნდში თამაშზე ერთბაშად სამმა უძლიერესმა დიდოსტატმა თქვა უარი: ჰამფი კონერუმ (2597), ჰარიკა დრონავალიმ (2514) და ტანია საჩდევმა (2397). უამათოდ კი ან მარი გომესს (2394), ეიშა კარვადეს (2391), ნიშა მოჰოტას (2327), რუთ რადმინის (2307) და სვამინათან სოუმიას (2291) საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდებათ.

საფრანგეთის ნაკრებში (2336,8) არ იქნებიან ევროპის ჩემპიონი ელმირა სკრიპჩენკო (2436) და მარი სებაგი (2530): სამაგიეროდ, სამფეროვანთა ქართველი რძალი ნინო მაისურაძე (2331) მეორე დაფაზე ითამაშებს. პირველი კი საფრანგეთის ჩემპიონი სოფი მილიე (2408) იქნება. მომდევნო დაფებზე ითამაშებენ: სილვია სოლასი (2286), ანდა შაფრანსკა (2322) და ნატაშა ბენმეშბახი (2266).

რეიტინგით მე-9 ადგილი მასპინძლებს (2297,8) უკავიათ: გულისკან ნახბაიევა (2353), დინარა სადუაკასოვა (2301), მადინა დავლეტბაიევა (2272), გულმირა დაულეტოვა (2265) და ჟანსაია აბდუმალიკი (2184).

ბოლო ადგილზეა თურქეთი (2175,5): ბეთულ ილდიზი (2368), კუბრა ოზთურქი (2281), კარდელენ კემხანი (2025), სელენ სოპი (2028) და ემელ კაია (1995).

ვფიქრობ, ამ შემადგენლობის გუნდებთან პაექრობაში საქართველოს ნაკრებს საპრიზო ადგილებზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა ეს მსოფლიოს ჩემპიონატია და ყველაფერია მოსალოდნელი. მით უმეტეს, რომ ჩინელები და რუსებიც მეორე შემადგენლობითაც არავის არაფერს დაუთმობენ, უკრაინელებზე ხომ ზემოთაც ვთქვით.

● საჭადრაკო ამოცანები

# პაატა ბურჭულაძეს ეძღვნება

საქართველო საჭადრაკო ტრადიციებით მდიდარი ქვეყანაა. ცხადია, სპორტული მიმართულება პრიორიტეტულია, რადგან საამაყო ჩემპიონები გვყავს, მაგრამ ამასთანავე საჭადრაკო კომპოზიციებიც დიდ ინტერესს იწვევს.

### დიდოსტატ დავით გურგენიძის რედაქციით





ცნობილია, რომ ჩვენთან ბრძენთა თამაშის მოყვარულები ამოცანებს მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ადგენდნენ. საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის, დიდოსტატ **დავით გურგენიძის** კოლექციაში დღეს 5 ათასზე მეტი ამოცანა და ეტიუდია. მათი უმრავლესობა გასული საუკუნის 60-80-იან წლებშია შექმნილი. ამ მიმართულებით ახლაც აქტიურად მუშაობენ საჭადრაკო კომპოზიტორები და საინტერესო ნაწარმოებებს ქმნიან. დღეს გვინდა თერჯოლელი **გია ჭუმბურიძის** ორი სამსვლიანი ამოცანა შემოგთავაზოთ, რომლებიც სასიქადულო ქართველ ხელოვანსა და ქველმოქმედ **პაატა ბურჭულაძეს** ეძღვნება.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **დანელიამ**

დარჩა 189 დღე

ევრობასკეტი. სლოვენია

● საქართველოს ნაკრების მეტოქე. სლოვენია

# სრული საბრძოლო აღჭურვილობით



იაკა ლაკოვიჩი ქართულ ბარიერთან

2011 წლის ევროპის ჩემპიონატამდე სამიოდე თვით ადრე **ვლადიმერ სტეფანიამ** მითხრა: სლოვენიელებს ძლიერი ლეგიონერები ჰყავთ, რომელთა უმეტესობა კარგ კლუბებში არიან მიმობნეული და თუ ოპტიმალური შემადგენლობა შეკრიბეს, ლიტვაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე მაღალი მიზნებისთვისაც იბრძოლებენო.

მაშინ ვოვამ ისიც თქვა, არა მგონია, **ბენო უდრიხი** ჩამოვიდესო. მართლაც, სლოვენიელებმა ბენოს გარეშე ითამაშეს, თუმცა მის გარდა არც ერთი ექსტრაკლასის კალათბურთელი არ დაჰკლებიათ და მეოთხედფინალშიც მოხვდნენ.

გავიდა ორი წელიწადი და სლოვენია ისევ საქართველოს ნაკრებთან ერთად მოხვდა ევრობასკეტის ჯგუფში. „მილუოკი ბაქსის" გამთამაშებელ უდრიხთან შესახვედრად მთავარი მწვრთნელი **ბოჟიდარ მალიკოვიჩი** ამერიკაში გაემგზავრა და თანხმობაც მიიღო. ოღონდ, უდრიხმა ერთი პირობა წამოაყენა, ნაკრებში შესაძლოა ცოტა დავაგვიანო, რადგან ამ ზაფხულს საკონტრაქტო საკითხები მაქვს მოსაგვარებელიო.

2011 წლის შემდეგ NBA-ში ერთიორად უკეთ ათამაშდა **გორან დრაგიჩი**, რომელიც საქართველოს ნაკრების თავკაც **იგორ კოკოშკოვთან** ერთად „ფინიქსში" მოღვაწეობს. მას დავუმატოთ **იაკა ლაკოვიჩი** (გავიხსენოთ მისი თამაში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ 2011 წელს) და გვექნება იმის თქმის უფლება, რომ სლოვენიელებს ევრობასკეტზე ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ეყოლებათ.

რაც შეეხება მეფარეებს, ერთი „ბარსელონაში" (**ერაზემ ლორბეკი**) ჰყავთ, ერთი „რეალში" (**მირზა ბეგიჩი**). მსუბუქი ფორვარდებიდან გამოსაყოფია NBA-მოვლილი **ბოსტიან ნახბარი**, რომელიც ახლა გერმანულ „ბამბერგში" ასპარეზობს და „გოლდენ სტეიტში" **ნიკა ცქიტიშვილის** თანაგუნდელი იყო.

სლოვენიელებმა მოსამზადებელი ციკლიც ნაადრევად დაგეგმეს. საკონტროლო მატჩებს პოლონეთით გახსნიან - 26 ივლისს დომჟალეში უმასპინძლებენ. ორი დღის შემდეგ მაკედონიას შეხვდებიან, ხოლო 2-4 აგვისტოს ევრობასკეტის მასპინძელ ქალაქ ცელიეში თურქეთს, ლატვიასა და სერბეთს მიიღებენ.

იმავე სერბეთთან, თურქეთთან და კიდევ უკრაინასთან სლოვენიის ნაკრები 10-11 აგვისტოს ბელგრადის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, 16 აგვისტოდან კი სლოვენიის ქალაქებს მოივლის და ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 16-ში ბოსნიასთან, 18-ში რუსეთთან, 23-ში ჩერნოგორიასთან, 24-ში იტალიასთან, 31-ში საფრანგეთთან.

## სლოვენიის ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა

**გამთამაშებლები:** ბენო უდრიხი (მილუოკი, NBA), ზორან დრაგიჩი (ფინიქსი, NBA), იაკა ლაკოვიჩი (აველინო, იტალია), ლუკა რუპნიკი (ოლიმპია, სლოვენია), მეტიუ როიჩი (კრკა, სლოვენია), ალექსანდრ ჩაპინი (ლაბორერი, სერბეთი).

**მსროლელები:** ზორან დრაგიჩი (უნიკახა, ესპანეთი), კლემენტ ქუაილი (ოლიმპია, სლოვენია), იაკე კლობუჩარი (კრკა, სლოვენია), სანი ბეჩიროვიჩი (პეტროჩიმი, ირანი), სანდი ჩებულარი (ჰუესკა, ესპანეთი), მიჰა ლაპორნიკი (ზლატოროგი, სლოვენია), ერიონ კესტრატი (კრკა, სლოვენია).

**მსუბუქი ფორვარდები:** ბოსტიან ნახბარი (ბამბერგი, გერმანია), ედო მურიჩი (კრკა, სლოვენია), მარკო პაიჩი (კრკა, სლოვენია), დინო მურიჩი (ოლიმპია, სლოვენია), ლუკა ლაპორნიკი (ზლატოროგი, სლოვენია).

**მძიმე ფორვარდები:** ერაზემ ლორბეკი (ბარსელონა, ესპანეთი), უროშ სლოკარი (გრან კანარია, ესპანეთი), იურე ბალაჟიჩი (ერდემირი, თურქეთი), მიჰა ზუპანი (ტურკ ტელეკომი, თურქეთი), მატიაშ სმოდიში (კრკა, სლოვენია), დრაჟენ ბუბნიჩი (ოლიმპია, სლოვენია), გეზიმ მორინა (ჰელიოსი, სლოვენია), ტომას ბოლჩინა (კრკა, სლოვენია).

**ცენტრები:** მირზა ბეგიჩი (რეალი, ესპანეთი), გასპერ ვიდმარი (ბეშიქთაში, თურქეთი), მეტიუ კრუშიჩი (ჰუესკა (ესპანეთი), პრიმოჟ ბრეჟეცი (ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი), ჰასან რივზიჩი (ენისეი, რუსეთი), ალენ ომიჩი (ოლიმპია, სლოვენია).

**მწვრთნელი:** ბოჟიდარ მალიკოვიჩი.



ზაზა ფაჩულია და ბენო უდრიხი NBA-ში

● ბილეთები





# 15-დან 35 ევრომდე

ევრობასკეტი-2013-ის მატჩების ბილეთების გაყიდვა თებერვლის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. ახლახან კი სლოვენიელებმა საინტერესო ცხრილი შემოგვთავაზეს, რომელზეც გასაგებადაა გადმოცემული ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის თითოეული ეტაპის ბილეთების ფასები. ჯგუფში საქართველოს ნაკრების მატჩების ბილეთები 15, 25 და 35 ევრო ეღირება (ტრიბუნის კატეგორიის მიხედვით).

შეჯიბრების ორგანიზატორებმა ასევე დაადგინეს ფასდაკლებებისთვის თარიღები. მაგალითად ფედერაციებსა და სპონსორებზე „სეილი" 14-დან 28 თებერვლამდე გასტანს, მეორე ეტაპის მატჩების ბილეთებზე 1-ლი აპრილიდან და ა.შ. საინტერესოა, რომ პირველი ეტაპის შეხვედრებზე ფასდაკლებების გამოცხადების თარილი უცნობია.

● ევრობასკეტი 2013

# სასლოვენიო დეტალები

გუშინ, პირველ გვერდზე შემოგთავაზეთ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ხუთივე მატჩის დაწყების ზუსტი დრო. დღეს C ჯგუფის სრულ განრიგს ჩამოგიწერთ.

| C ჯგუფი | |
|---|---|
| **4 სექტემბერი** | |
| 16:30 | საქართველო-პოლონეთი |
| 19:45 | ესპანეთი-ხორვატია |
| 23:00 | სლოვენია-ჩეხეთი |
| **5 სექტემბერი** | |
| 16:30 | საქართველო-ხორვატია |
| 19:45 | პოლონეთი-ჩეხეთი |
| 23:00 | სლოვენია-ესპანეთი |
| **7 სექტემბერი** | |
| 16:30 | ესპანეთი-ჩეხეთი |
| 19:45 | ხორვატია-პოლონეთი |
| 23:00 | სლოვენია-საქართველო |
| **8 სექტემბერი** | |
| 16:30 | პოლონეთი-ესპანეთი |
| 19:45 | საქართველო-ჩეხეთი |
| 23:00 | სლოვენია-ხორვატია |
| **9 სექტემბერი** | |
| 16:30 | საქართველო-ესპანეთი |
| 19:45 | ხორვატია-ჩეხეთი |
| 23:00 | სლოვენია-პოლონეთი |

ისიც გეცოდინებათ, რომ მომდევნო ეტაპზე ექვსიდან სამი ნაკრები გავა. შესაბამისად, **იგორ კოკოშკოვის** კრებულს საპასუხისმგებლო მატჩები ელის, ერთმა შეცდომამ, ან ერთმა საჯარიმომ შესაძლოა ჯგუფიდან გამსვლელის ბედი გადაწყვიტოს. ითქვა ისიც, რომ ქართველებმა შესაძლოა, ფავორიტებთან, სლოვენიასა და ესპანეთთან, ძალები გამოიზოგონ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ ეტაპზე მოგროვილი ქულები გუნდებს მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გადაჰყვებათ, ერთ მატჩშიც არ შეიძლება დასვენებაზე ფიქრი.

თავად განსაჯეთ: 2011 წელს ჯგუფში სლოვენიასა და რუსეთთან ბოლო წუთებზე დავმარცხდით. მათ საქართველოსთან მოგებები მეორე ეტაპზეც გადაჰყვათ, რამაც მეოთხედფინალის საგზურის მოპოვება გაუადვილათ. 2013 წლის ევრობასკეტზეც იგივე სისტემაა: C ჯგუფის სამ საუკეთესოს D ჯგუფის (რუსეთი, იტალია, შვედეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ფინეთი) ტრიო შეუერთდება და შედგება 6-გუნდიანი ჯგუფი, საიდანაც მეოთხედფინალში ოთხი მოხვდება.

მოკლედ, სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ყველა დეტალი ცნობილია. საკითხავია, სად, როდის და როგორ მოემზადება ჩვენი ეროვნული გუნდი ევრობასკეტისთვის. როგორც კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, **ბესიკ ლიპარტელიანმა** გვითხრა, მიმდინარეობს მუშაობა როგორც საკონტროლო მატჩებთან, ასევე ლეგიონერთან დაკავშირებით და ახლო მომავალში მოსამზადებელი ეტაპის სრული გეგმა გამოქვეყნდება. წინა წლებთან შედარებით საევრობასკეტო შემადგენლობაც ადრე გამოცხადდება.

დღეს მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ ჩვენი ნაკრები საფრანგეთის ქალაქ ანტიბში 16 აგვისტოს სერბეთს დაუპირისპირდება, ხოლო 17-ში - საფრანგეთს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



გიორგი ცინცაძე და მანუჩარ მარკოიშვილი

● თემიდა

# ევროპა და ქართველი მსაჯები

გუშინ ფიბა-ევროპის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნდა არბიტრების ვრცელი სია, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიებადაა დაყოფილი.

ერთი ნაწილი საფრანგეთში გასამართ ქალთა ევრობასკეტს მოემსახურება, მეორე - სლოვენიაში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატს (ვაჟთა შორის). ქალთა შეჯიბრება 15-30 ივლისს ჩატარდება, ხოლო ვაჟთა ევრობასკეტი - 4-22 სექტემბერს.

ისევე როგორც ორი წლის წინათ, საქართველო ორივე ტურნირზე მიავლენს არბიტრს. ქალთა ევროპის ჩემპიონატზე **მაკა კუპატაძე** იმსაჯებს, ხოლო ვაჟებში **დავით ბერეკაშვილი**. დათო არბიტრთა იმ კატეგორიაში მოხვდა, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ნაკრებს უწევენ აკომპანირებას. საქმე ისაა, რომ ევრობასკეტის მონაწილე ყოველ ქვეყანას ამ კატეგორიით თითო მსაჯი ახლავს.





შეგახსენებთ, რომ დავით ბერეკაშვილი ლიტვაში გამართულ ევრო-2011-ზეც მსაჯობდა. იგი B ჯგუფის შეხვედრებს ემსახურებოდა, სადაც გერმანია, საფრანგეთი, სერბეთი, იტალია, ლატვია და ისრაელი გამოდიოდნენ. თავის მხრივ, მაკა კუპატაძე ერთ-ერთ ყველაზე დაფასებულ არბიტრად ითვლება და ფიბა-ევროპის ხელმძღვანელები მნიშვნელოვან თამაშებს ანდობენ. არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მას ნახევარფინალში, ან ფინალში ვიხილავთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



კვირის მოთამაშეები

# კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ჯეიმსი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა. ლებრონი საშუალოდ მატჩში 23.5 ქულას (მეორე ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში), 7.8 მოხსნას, 9.3 შედეგიან პასსა და 2.25 ჩაჭრას აგროვებდა. გასულ კვირას, ჯეიმსმა ორი ორმაგი და ერთი სამმაგი დუბლი შეასრულა.

ბრაიანტის კარგი თამაშის წყალობით, "ლეიკერსმა" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო. კობი მეორე იყო კონფერენციაში ქულების საშუალო რაოდენობით (31.3), რასაც 7.7 მოხსნა და 6.0 შედეგიანი პასი დაუმატა.

**ჯეიმსის კვირა**

**21 თებერვალი. ჩიკაგო-მაიამი 67:86.** 26 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი.

**23 თებერვალი. ფილადელფია-მაიამი 90:114.** 16 ქულა, 10 მოხსნა, 11 პასი.

**24 თებერვალი. მაიამი-კლივლენდი 109:105.** 28 ქულა, 8 პასი.

**ბრაიანტის კვირა**

**20 თებერვალი. ლეიკერსი-ბოსტონი 113:99.** 16 ქულა, 7 პასი, 4 მოხსნა.

**22 თებერვალი. ლეიკერსი-პორტლენდი 111:107.** 40 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი.

**24 იანვარი. დალასი-ლეიკერსი 99:103.** 38 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ელ ჰორფორდი** („ატლანტა"), **ჯეფ გრინი** („ბოსტონი"), **კემბა უოკერი** ("შარლოტი"), **ჯარეტ ჯეკი** („გოლდენ სტეიტი"), **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი"), **პოლ ჯორჯი** („ინდიანა"), **ზაკ რენდოლფი** („მემფისი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **გორან დრაგიჩი** („ფინიქსი") და **რუდი გეი** („ტორონტო").

**ტორონტო-ვაშინგტონი 84:90**

**16:17, 16:23, 22:23, 30:27**

ტ: დეროზანი (25), ლოური (18+5 მოხსნა), ჯონსონი (6+13 მოხსნა).

ვ: ბილი (20+6 მოხსნა), უებსტერი (12), პრაისი (12), ნენე (11+9 მოხსნა), უოლი (10+5 მოხსნა+7 პასი), ოკაფორი (8+13 მოხსნა).

**დეტროიტი-ატლანტა 103:114**

**24:27, 27:34, 19:27, 33:26**

დ: სტაკი (22+5 მოხსნა), ქერებკო (21+6 მოხსნა), მონრო (15+8 მოხსნა+5 პასი), სინგლერი (13), ინგლიში (10).

ა: ჰორფორდი (23+22 მოხსნა), სმიტი (23+7 მოხსნა), ტიგი (20+12 პასი), კორვერი (15), ჰარისი (11).

**დენვერი-ლეიკერსი 119:108**

**35:29, 32:25, 28:29, 24:25**

დ: ჩენდლერი (23), ლოუსონი (22+8 პასი), ბრიუერი (16), იგუოდალა (14+12 პასი), ფარიდი (12+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ლ: ბრაიანტი (29+6 მოხსნა+9 პასი), ნეში (16+5 პასი), ჰოვარდი (15+14 მოხსნა), უორლდ პისი (15+3 ჩაჭრა), ჯეიმისონი (14).

**იუტა-ბოსტონი 107:110 (ო)**

**26:28, 27:20, 19:32, 25:17, 10:13**

ი: ჰეივორდი (26), მილსეპი (16+6 მოხსნა+5 პასი), ჯეფერსონი (15+11 მოხსნა), მარვ. უილიამსი (15).

ბ: პირსი (26+7 მოხსნა+8 პასი), ბრედლი (18+5 მოხსნა), ბასი (15), ლი (14+5 მოხსნა), ტერი (14), გარნეტი (13+10 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 54 | 40 | 14 | 74.1 |
| 2. ინდიანა* | 56 | 35 | 21 | 62.5 |
| 3. ნიუ იორკი* | 53 | 33 | 20 | 62.3 |
| 4. ატლანტა | 55 | 32 | 23 | 58.2 |
| 5. ბრუკლინი | 57 | 33 | 24 | 57.9 |
| 6. ჩიკაგო | 56 | 32 | 24 | 57.1 |
| 7. ბოსტონი | 57 | 30 | 27 | 52.6 |
| 8. მილუოკი | 54 | 26 | 28 | 48.1 |
| 9. ფილადელფია | 54 | 22 | 32 | 40.7 |
| 10. ტორონტო | 57 | 23 | 34 | 40.4 |
| 11. დეტროიტი | 59 | 22 | 37 | 37.3 |
| 12. ვაშინგტონი | 55 | 18 | 37 | 32.7 |
| 13. კლივლენდი | 56 | 18 | 38 | 32.1 |
| 14. ორლანდო | 56 | 15 | 41 | 26.8 |
| 15. შარლოტი | 56 | 13 | 43 | 23.2 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 58 | 45 | 13 | 77.6 |
| 2. ოკლაჰომა* | 56 | 41 | 15 | 73.2 |
| 3. კლიპერსი* | 58 | 40 | 18 | 69.0 |
| 4. მემფისი | 55 | 37 | 18 | 67.3 |
| 5. დენვერი | 58 | 36 | 22 | 62.1 |
| 6. გ. სტეიტი | 56 | 33 | 23 | 58.9 |
| 7. იუტა | 57 | 31 | 26 | 54.4 |
| 8. ჰიუსტონი | 58 | 31 | 27 | 53.4 |
| 9. ლეიკერსი | 58 | 28 | 30 | 48.3 |
| 10. პორტლენდი | 56 | 26 | 30 | 46.4 |
| 11. დალასი | 55 | 25 | 30 | 45.5 |
| 12. მინესოტა | 53 | 20 | 33 | 37.7 |
| 13. ნიუ ორლეანი | 57 | 20 | 37 | 35.1 |
| 14. საკრამენტო | 57 | 19 | 38 | 33.3 |
| 15. ფინიქსი | 57 | 18 | 39 | 31.6 |

*- დივიზიონის ლიდერი

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 28.8 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 28.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 27.0 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.4 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 23.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 22.9 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 21.2 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 21.1 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 21.0 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 11.9 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.7 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.5 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.4 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 11.3 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 11.1 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 11.0 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.4 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.0 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 10.0 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.5 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.4 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 8.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.0 |
| დერონ უილიამსი (ბრუკ) | 7.6 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.6 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.4 |
| ხოსე კალდერონი (დეტ) | 7.2 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 7.2 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.5 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| მონტა ელისი (მილ) | 1.9 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 1.9 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.9 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 1.9 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.8 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.2 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.3 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.1 |
| ჯავალ მაკგი (დენ) | 2.0 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.0 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.0 |

# ლეიკერსმა დაცვა უნდა ისწავლოს

"ლეიკერსმა" ბოლო ორ დღეში გამართულ მეორე მატჩში თავისი მთავარი პრობლემის შესახებ შეგვახსენა – დაცვითი მოქმედება სწრაფი გარღვევების წინააღმდეგ (ბოლო ადგილი ლიგაში ამ მაჩვენებლით) და საკუთარი სამწამიანი ზონის დაცვა (27-ე ადგილი იმის მიუხედავად, რომ ამ გუნდში **დუაიტ ჰოვარდი** თამაშობს). "ნაგეტსმა", რომელიც ამ კომპონენტებში ქულების დაგროვების მთავარი სპეციალისტია (პირველი ადგილი ორივე კომპონენტში), კარგად გამოიყენა კალიფორნიელთა ეს ორი ნაკლი. ამიტომაც, **კობისა** და კომპანიას ვერ დაეხმარა თამაშიდან სროლების ბრწყინვალე რეალიზაცია (55 პროცენტი) და სამქულიანების გამოყენების 42 პროცენტი.

"ნაგეტსმა" სწრაფი გარღვევებით 33 ქულა დააგროვა ("ლეიკერსს" სამი ქულა ჰქონდა), მეტოქის სამწამიანიდან კი კალიფორნიელებს 78 ქულა ჩაუგდო. ბრაიანტის მორიგი გმირობა მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ თავისი გუნდის ჩამორჩენა შვიდ ქულამდე შეემცირებინა (სათამაშო რჩებოდა ხუთი წუთი). მაგრამ, ამას კოლორადოელების მხრიდან **მილერმა** და **იგუოდალამ** უპასუხეს, **ჩენდლერმა** კი სირენამდე 2.25 წუთით ადრე ზუსტი სამქულიანით სხვაობა 14 ქულამდე აიყვანა. ამით მან კიდევ ერთი ნაბიჯით დააშორა "ლეიკერსი" პლეი ოფის ზონას.

■ ■ ■

თუმცა გუშინ წააგო პლეი ოფის მერვე საგზურისთვის ბრძოლაში "ლეიკერსის" ერთ-ერთმა მთავარმა კონკურენტმა, თანაც, თავის მოედანზე, რაც "იუტას" იშვიათად ემართება ხოლმე. თუმცა აქ უნდა აღვნიშნოთ მთლიანად "ბოსტონის" ბრწყინვალე თამაში. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** გუშინდელ გამარჯვებას ამ სეზონში საუკეთესო უწოდა. თუმცა "კელტებმა" სერიოზულად გარისკეს, როცა ბოლო მეოთხედში მოდუნდნენ და "ჯაზმენებს" თანაფარდობის აღდგენის საშუალება მისცეს. რაღაც მომენტში, "სელტიქსის" რეალიზაცია ბოლო მეოთხედში 11-დან ორი ზუსტი სროლა იყო, **პირსი** კი ვერაფრით ახვედრებდა კალათში ბურთს. "სელტიქსი" ფონს გადიოდა საჯარიმოების სიზუსტით და დაცვაში კარგი თამაშით. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პირსს ისევ ეპოვა თამაში და "ბოსტონის" შეჩერება შეუძლებელი გახდა. თავიდან პოლმა სირენამდე 36 წამით ადრე საშუალო სროლა გამოიყენა და თავის გუნდს უპირატესობა მოუპოვა, შემდეგ კი ოვერტაიმში პირადად მოაწყო 7:0 გაქცევა, რითაც "მწვანეებს" გამარჯვება მოუტანა.



დოკ რივერსი

## კევინ ლავი: დაბრუნება მარტში

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ერთ-ერთი ლიდერი **კევინ ლავი** აგრძელებს ხელის ტრავმის შემდეგ აღდგენით კურსს. ფორვარდმა დაზიანება იანვრის დასაწყისში მიიღო. ლავი იმედოვნებს, რომ შეძლებს მიმდინარე სეზონში დაბრუნებას და რეგულარულის ბოლო 15-20 მატჩის ჩატარებას.

*"პროგრესი სახეზეა, - ამბობს ლავი. – მალე დავიწყებ მუშაობას სროლაზე. იმედია, რომ მარტში დავბრუნდები მოედანზე. დასვენებამ კი მხოლოდ სარგებლობა მომიტანა".*

მიმდინარე სეზონში "მგლების" ფორვარდმა 18 მატჩი ჩაატარა. საშუალოდ ის 18.3 ქულითა და 14.0 მოხსნით ეხმარებოდა თავის გუნდს.

## როდმანი ჩრდილო კორეაში მიდის

NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი, სკანდალურად ცნობილი **დენის როდმანი** კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას ეწვევა და იქ მონაწილეობას მიიღებს ტელეშოუს ჩანერაში, რომელიც HBO-ის ეთერში აპრილში გავა.

51 წლის ყოფილი კალათბურთელი დღეს ჩაფრინდება ფხენიანში. როდმანთან ერთად იქნება გუნდ "ჰარლემ გლობტროტერსის" სამი მოთამაშე, აგრეთვე გადამღები ჯგუფი. ტელევიზიის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ "საკალათბურთო დიპლომატია" გაამართლებს ჩრდილოკორეელებთან ურთიერთობაში.

## პოლი გაურკვევლობაშია

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ლიდერმა **კრის პოლმა** ჯერ საბოლოოდ ვერ გადაწყვიტა, გააფორმებს თუ არა ახალ კონტრაქტს თავის ამჟამინდელ კლუბთან. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა, რომლის მიმდინარე კონტრაქტს ამ სეზონის შემდეგ ეწურება ვადა, ხაზი გაუსვა იმას, რომ არც ერთ გუნდს არ დაჰპირებია ახალ კონტრაქტს და ჯერ არ ფიქრობს მომავალ კარიერაში, რადგან მიმდინარე სეზონზეა კონცენტრირებული.

## ოკლაჰომამ ფიშერი გაიფორმა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი მცველი **დერეკ ფიშერი** ისევ "ოკლაჰომას" რიგებში ჩაირიცხა. ყოფილმა ლეიკერსელმა დასავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი.

38 წლის კალათბურთელმა მიმდინარე სეზონში რვა შეხვედრა ჩაატარა "დალასის" შემადგენლობაში, მაგრამ შემდეგ კონტრაქტის ანულირება მოითხოვა.

ფიშერი გასულ სეზონში სწორედ "ოკლაჰომას" რიგებში გამოდიოდა და გუნდთან ერთად ფინალამდე მიაღწია, სადაც "მაიამისთან" წააგო. დერეკი NBA-ის ხუთგზის ჩემპიონია "ლეიკერსის" შემადგენლობაში.

## ბაინუმს ამ სეზონში ვერ ვნახავთ?

"ფილადელფიას" ცენტრმა **ენდრიუ ბაინუმმა**, შესაძლოა, მთლიანად გამოტოვოს NBA-ის წლევანდელი სეზონი.

გუნდის მთავარ მწვრთნელს **დაგ კოლინზს** ეჭვი ეპარება იმაში, რომ „ლეიკერსის" ყოფილი კალათბურთელი ამ რეგულარულისთვის მოასწრებს ოპტიმალური კონდიციების აღდგენას. და ეს იმის მიუხედავად, რომ ბაინუმმა უკვე დაიწყო ვარჯიში.

*„ვარჯიშებზე ის ძალიან ჰგავდა იმ მოთამაშეს, რომელსაც 9 თვეა კალათბურთი არ უთამაშია, - ამბობს კოლინზი. - ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია მის დაბრუნებაზე ლაპარაკი. ენდრიუს დაგეგმილი აქვს ამ სეზონში თამაში, მაგრამ ჩემი აზრით, ამის შანსი თანდათან მცირდება".*

სნუკერი

# რონი მსოფლიოზე იქნება



რონი ო'სალივანი

ბრიტანული პრესა ირწმუნება, რომ 37 წლის **რონი ო'სალივანმა** სნუკერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის სურვილი გამოთქვა და ამ დღეებში ტურნირზე რეგისტრაციისთვის შესაბამის დოკუმენტებს წარადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ ო'სალივანი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, ის განთესვის პირველ ნომერს მიიღებს და არ დასჭირდება კვალიფიკაციის გავლა იმის მიუხედავად, რომ შარშანდელი პირველობის შემდეგ, მხოლოდ ერთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და ისიც წააგო.

*„ცოტათი მომბეზრდა სნუკერი და სასიამოვნო იყო ერთი წელი თამაშის მიღმა გატარება. ამ დროის განმავლობაში ბევრი დადებითი ემოცია მივიღე და კარგად დავისვენე. მაგრამ, ახლა იმ აზრამდე მივედი, რომ დროა დავუბრუნდე საქმეს, რომელსაც ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი მივუძღვენი. დღეიდან სულ სხვა პერსპექტივები მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ჩემი კარიერა ახალი გზით განვითარდება",* - ამბობს ო'სალივანი.

აღვნიშნავთ, რომ რონიმ ჯერ არ იცის, რამდენი ხანი გაგრძელდება მისი კარიერის მორიგი ეტაპი ერთწლიანი შესვენების შემდეგ. ჩემპიონის თქმით, ყველაფერი მის მდგომარეობასა და სურვილზე იქნება დამოკიდებული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



იაკუბ ვორაჩეკი

# კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველ ვარსკვლავად დაასახელეს "ფილადელფია ფლაიერზის" ჩეხი ფორვარდი **იაკუბ ვორაჩეკი**, რომელიც წინა შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მან თავის გუნდს ოთხიდან სამ მატჩში მოაგებინა და 11 ქულა (4+7) დააგროვა. უნდა გამოვარჩიოთ ორი მატჩი მისი მონაწილეობით - "აილენდერსთან" 7:0 მოგებულ შეხვედრაში ჩეხის ანგარიშზე იყო ოთხი შედეგიანი პასი, "პიტსბურგის" წინააღმდეგ (6:5) კი კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა. ამ მომენტისთვის, ვორაჩეკი ზედიზედ მეექვსე შეხვედრაა, მინიმუმ ერთ ქულას აგროვებს და ეს სერია მოიცავს 14 ქულას (5+9). გარდა ამისა, 23 წლის ჩეხი ფორვარდი "ფილადელფიას" ლიდერია გოლების (8), პასებისა (16) და ქულების (24) რაოდენობით.

გასულ კვირას ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში თითო გოლი გაჰქონდა "ტამპა ბეის" ფორვარდ **სტივენ სტემკოსს** და ის მეორე ვარსკვლავი გახდა. საერთო ჯამში, ამ ოთხ შეხვედრაში სტემკოსის მონაგარი იყო 8 ქულა (4+4). "ტამპას" ერთ-ერთი ლიდერი ზედიზედ მეხუთე მატჩია, უგოლოდ არ ტოვებს მოედანს და ზედიზედ ექვსი მატჩია, მინიმუმ ქულას იღებს. 23 წლის სტემკოსი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი (29) და საუკეთესო გოლეადორია (13).

კვირის მესამე ვარსკვლავი მეკარეა - "ოტავა სენატორზის" კარის დარაჯი **ბენ ბიშოპი**. ის გასულ კვირას "ოტავას" ძირითად მეკარეს, ტრავმირებულ **კრეიგ ანდერსონს** ცვლიდა და სამიდან სამი მატჩი მოიგო, საშუალოდ 2.03 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 93.1 პროცენტი მოიგერია. სამიდან ორ მატჩში ბიშოპმა ბულიტების სერიაში მიიღო მონაწილეობა და ჯამში 9 პენალტი მოიგერია. გუშინ, "მონრეალის" წინააღმდეგ მატჩში, ბიშოპის ანგარიშზე 44 სეივი იყო. ეს სტატისტიკა არ შევიდა გასული კვირის სტატისტიკაში.

**ფილადელფია-ტორონტო 2:4**

0:1, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 კესელი-4 (ბოჟაკი-7, გუნარსონი-3), 0:2 კულემინი-2 (კადრი-11, გუნარსონი-4), 1:2 ჰარტნელი-1 (ვორაჩეკი-16, ჟირუ-13), 1:3 გრაბოვსკი-6 (მაკარტური-4, კადრი-12), 2:3 ვორაჩეკი-8 (ტიმონენი-11, ჟირუ-14), 2:4 მაკლემანი-2 (კულემინი-10).

**ოტავა-მონრეალი 2:1 (ბ)**

0:0, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ძიურზინსკი-2 (კ. ნილი-2, ფილიპსი-1), 1:1 მარკოვი-5 (დიასი-12, პასიორეტი-10).

**ბულიტები გაიტანეს:** სილვერბერგი (ოტავა), დეშარნე (მონრეალი), რეგინი (ოტავა).

**ჩიკაგო-ედმონტონი 3:2 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 პეტრი-1 (პეტრელი-1), 1:1 პ. კეინი-10 (კრუგერი-4, ლედი-5), 1:2 იაკუპოვი-6 (სემ განიე-13, შულცი-6), 2:2 სტალბერგი-5 (როჟსივალი-6), 3:2 მარიან ჰოსა-9 (შარპი-11).

**ნეშვილი-დალასი 5:4 (ო)**

1:0, 2:4, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კ. სმიტი-2 (კლუნი-1, ს. კოსტიცინი-6), 1:1 ფრეზერი-1 (ლ. ერიქსონი-7, ჯორდი ბენი-2), 1:2 რ. სმიტი-3 (რაიდერი-6, იკინი-8), 2:2 იოსი-2 (ლეგუანდი-4, ჰორნკვისტი-5), 2:3 ფიდლერი-1 (ჯეიმი ბენი-8, რაიდერი-7), 2:4 ლ. ერიქსონი-5 (რაიდერი-8, რობიდასი-7), 3:4 ჰორნკვისტი-2 (ერატი-8, იოსი-3), 4:4 ფიშერი-4 (კ. უილსონი-10, იოსი-4), 5:4 იოსი-3 (ს. კოსტიცინი-7, შ. უებერი-5).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 5:2**

0:0, 2:2, 3:0

**გოლები:** 0:1 კოლიანო-5 (გეტცლაფი-12, პერი-9), 1:1 პენერი-1 (სტოლი-2, დ. კინგი-3), 1:2 ს. კოივუ-5 (ბოშემენი-10, ლჰვეჯო-4), 2:2 დ. ბრაუნი-6 (კოპიტარი-8, ჯასტინ უილიამსი-7), 3:2 ვოინოვი-3 (კოპიტარი-9, დ. ბრაუნი-4), 4:2 მუზინი-2 (კოპიტარი-10, ვოინოვი-6), 5:2 ჯ. კარტერი-10 (მ. რიჩარდსი-8, დაუტი-8).

## ამბები

**ოლიმპიზმი**

### შვეიცარიის ერთობლივი განაცხადი

შვეიცარიის ზამთრის კურორტები - სანკტ მორიტცი და დავოსი განიხილავენ 2022 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთობლივად ჩატარების პერსპექტივას და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შესაბამისი განაცხადების შეტანას აპირებენ.

შვეიცარიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **იორგ შილდი** აღნიშნავს, რომ ასეთი განაცხადის მთავარი უპირატესობაა ბუნებრივი თოვლი და ზამთრის ნამდვილი პირობები. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სანკტ მორიტცსა და დავოსში შესაძლებელი იქნება კომპაქტური სტრუქტურის შექმნა და ოლიმპიადის სტუმრები ნებისმიერ ოლიმპიურ ობიექტთან ფეხით მისვლას შეძლებენ.

შეგახსენებთ, რომ სანკტ-მორიტცი უკვე მასპინძლობდა ზამთრის ოლიმპიადას 1928 და 1948 წლებში.

**ფორმულა 1**

### ახალი ტექნიკური ბოსი მაკლარენში

„მაკლარენმა" გამოაცხადა, რომ ბრიტანული საჯინიბოს ახალი ტექნიკური დირექტორი გახდება **ტიმ ჰოსი**, რომელიც ამ პოსტზე **პედი ლოუს** შეცვლის. ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი" ავრცელებს.

ლოუ, რომელიც ჭორების მიხედვით, 2013 წლის სეზონის დასრულების შემდეგ „მერსედესში" გადავა სამუშაოდ, ჯერჯერობით გააგრძელებს „მაკლარენში" მუშაობას, ოღონდ სხვა თანამდებობაზე. ჰოსი „მაკლარენის" გუნდში 1990 წლიდან ირიცხება და დღემდე საინჟინრო ქვეგანყოფილების დირექტორი იყო.

ფორმულა 1-ში ახალი სეზონი 17 მარტს, ავსტრალიის გრანპრით გაიხსნება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ვოლერენგა | 0:4 |
| ბრაგე-იურგორდენი | 1:1 |
| ბრონშოი-ლუნგბიუ | 1:1 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 2:1 |

**ინგლისის თასი. 1/8 ფინალი. გადათამაშება**

| | |
|---|---|
| ევერტონი-ოლდჰემი | 3:1 |

| ჩემპიონშიპი | |
|---|---|
| ბარნსლი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| ლესტერი-ბლექბერნი | 3:0 |
| ბოლტონი-პიტერბრო | 1:0 |

| I ლიგა | |
|---|---|
| ბორნმუთი-ქოვენთრი | 0:2 |
| კარლაილი-უოლსოლი | 0:3 |
| კოლჩესტერი-იეოვილი | 2:0 |
| ქროული-ბრენტფორდი | 1:2 |
| ჰარტლპული-ქრიუ | 3:0 |
| პორტსმუთი-მილტონი | 1:1 |
| სკანთორპი-სტივენიჯი | 1:0 |
| შეფილდი-ლეიტონი | 0:0 |
| შრიუსბერი-დონკასტერი | 1:2 |
| სუინდონი-ბერი | 0:1 |
| ტრანმერი-ნოტსი | 1:1 |

| II ლიგა | |
|---|---|
| უიმბლდონი-პლიმუტი | 1:1 |
| ბარტონი-მორეკამბი | 3:2 |
| ჩესტერფილდი-ალდერშოტი | 0:0 |
| ფლიტვუდი-ჩელტენემი | 1:1 |
| ჯილინგემი-ოქსფორდი | 0:1 |
| ნორთჰემპტონი-როვერსი | 1:0 |
| პორტ ვეილი-ექსეტერი | 0:2 |
| როჩდეილი-აკრინგტონი | 0:3 |
| როტერჰემი-იორკი | 1:1 |
| ტორკი-უიკომბი | 1:2 |
| ბარნეტი-საუთენდი | 2:0 |

| კონფერენსი | |
|---|---|
| ალფრეტონი-ჰაიდი | 5:1 |
| ბაროუ-რექსჰემი | 0:1 |
| ბრენტრი-ლუტონი | 2:0 |
| გრიმსბი-ებსფლიტი | 3:1 |
| ლინკოლნი-მენსფილდი | 0:1 |
| ნანიტონი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| სტოკპორტი-ჰერეფორდი | 2:3 |
| ტამუორტი-კემბრიჯი | 1:2 |
| უოკინგი-ფორესტ გრინი | 2:0 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბოლონია-ფიორენტინა | 2:1 |

| სერია B | |
|---|---|
| ასკოლი-სასუოლო | 2:4 |
| ბრეშა-ემპოლი | 0:3 |
| გროსეტო-ვიჩენცა | 1:2 |
| ლივორნო-კროტონე | 1:2 |
| მოდენა-ლანჩანო | 2:2 |
| პადოვა-იუვე სტაბია | 1:0 |
| პრო ვერჩელი-ჩიტადელა | 0:0 |
| რეჯინა-სპეცია | 1:1 |
| ტერნანა-ნოვარა | 1:1 |

**ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-რეალი | 1:3 |

**გერმანიის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| მაინცი-ფრაიბურგი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| ოფენბახი-ვოლფსბურგი | 1:2 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სედანი-ოსერი | 1:0 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| კარკეფუ-კოლმარი | 3:2 |

**საფრანგეთის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| სოშო-ტრუა | 1:2 |
| ევიანი-ჰავრი | 3:1 |
| სტ. ეტიენი-ლილი | 3:2 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| აბერდინი-როსი | 0:1 |

| I დივიზიონი | |
|---|---|
| კოუდენბითი-პარტიკი | 2:1 *შეწყდა* |
| დამბარტონი-რეითი | *გადაიდო* |

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ფორფარი-ალბიონი | 4:2 |
| ეირი-სტენჰაუზმური | 1:2 |
| ბრეჩინი-ქუინი | *გადაიდო* |

| III დივიზიონი | |
|---|---|
| ბირუიკი-ელჯინი | 2:1 |
| კლაიდი-ქუინზ პარკი | 0:3 |
| სტირლინგი-რეინჯერსი | 1:1 |

**ფინეთი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| როვანიემი-კუოპიო | 1:0 |

**ავსტრია. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუსტენაუ-სტ. პოლტენი | 3:1 |

**ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| კორკი-კრუზეიდერსი | 1:0 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| გლენტორანი-გლენავონი | 2:1 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აეპ-აპოლონი | 0:1 |
| ალკი-ომონია | 2:4 |

**პოლონეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ლეგია-ოლიმპია | 4:1 |

**ესტონეთი. სუპერთასი**

| | |
|---|---|
| ნომე კალიუ-ლევადია | 0:3 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-სელიკი | 1:1 |
| იედინსტვო-მოგრენი | 1:2 |
| მორნარი-მლადოსტი | 0:0 |
| რუდარი-პეტროვაცი | 0:2 |
| სუტიესკა-გრბალი | 1:0 |
| ზეტა-ლოვჩენი | 2:0 |

**აზია. ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ტერაქტორი-ალ ჯაზირა | 3:1 |
| ალ შაბაბი-ალ ჯაიში | 2:0 |
| ფახთაქორი-ალ ეტიფაქი | 1:0 |
| ლეხვია-ალ შაბაბი | 2:1 |
| ვეგალტა-ბურირამი | 1:1 |
| სეული-ჟიანსუ | 5:1 |
| გუანგჯოუ-ურავა | 3:0 |
| მუანი-ჟეონბუკი | 2:2 |

**კალათბურთი. ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| გაზ მეთანი-ვენტსპილსი | 67:58 |
| კრ. კრილია-თოფასი | 86:65 |
| ხიმიკი-ნორჩეპინგი | 81:51 |
| კატაია-პინარი | 87:79 |
| ჰაპოელი (ჰ)-გრაველენი | 79:85 |
| შოლნოკი-პარიზი | 74:80 |
| ტელეკომი-მინსკი | 86:72 |
| ოლდენბურგი-აალსტი | 82:74 |

**ჰოკეი. კჰლ**

| | |
|---|---|
| სიბირი-ავანგარდი | 2:5 |
| ბარისი-ტრაქტორი | 2:3 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 2:3 (ო) |

| ავსტრია | |
|---|---|
| ვილახი-ლინცი | 2:3 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 5:1 |
| ზალცბურგი-ზაგრები | 4:3 (ო) |
| ზნოიმო-ვენა | 1:3 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 2:4 |

| ფინეთი | |
|---|---|
| კერპეტი-ჰიფკ | 1:2 (ბ) |
| საიპა-ტპს | 4:3 (ბ) |
| ჰპკ-იუვიასკიულა | 1:2 (ბ) |
| ესეტი-კალპა | 1:0 (ო) |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ჟლინი-პარდუბიცე | 4:3 (ო) |
| კლადნო-კარლოვი ვარი | 1:3 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 2:4 |
| სპარტა-ბრნო | 6:0 |
| ტრშინეცი-პლზენი | 4:0 |
| ხომუტოვი-ლიტვინოვი | 5:2 |
| ბუდეიოვიცე-სლავია | 0:1 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბერნი-ციურიხი | 2:7 |
| ბილი-ცუგი | 3:0 |
| დავოსი-ამბრი | 7:3 |
| ლანგნაუ-სერვეტი | 1:3 |
| ლუგანო-კლოტენი | 2:1 (ბ) |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 3:4 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-ვექსიო | 4:1 |
| ლინჩოპინგი-ლულეო | 2:6 |
| მოდო-როგლე | 1:0 (ო) |
| ტიმრა-ფრიოლუნდა | 0:1 |
| ჰვ71-ბრიუნესი | 4:3 (ო) |
| შელეფტეო-ფერიესტადი | 3:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. დელრეი ბიჩი | |
|---|---|
| როჟე ვასელენი-ჩიპოლა | 6:1, 6:4 |
| ჰარისონი-მუნიოსი | 2:6, 6:1, 3:6 |
| სოკი-ებდენი | 6:3, 6:3 |
| ისტომინი-ბეკერი | 6:7, 6:4, 7:5 |
| გულბისი-ბლეიკი | 6:1, 6:4 |
| ლუ-რეინოლდსი | 6:3, 7:5 |
| ჰაასი-სისლინგი | 5:7, 6:4, 6:0 |

| ATP. დუბაი | |
|---|---|
| კამკე-კუკუშკინი | 4:6, 6:4, 6:1 |
| ტიპსარევიჩი-დავიდენკო | 0:6, 5:7 |
| ჰანესკუ-ტომიჩი | 3:2 უარი |
| გრანოლერსი-მონტანიესი | 6:3, 6:1 |
| დელ პოტრო-ბაღდატისი | 4:6, 6:3, 7:6 |
| ტურსუნოვი-ჰაიეკი | 4:6, 6:1, 6:2 |
| რამი-ბერდიხი | 1:6, 3:6 |
| ჯოკოვიჩი-ტროიცკი | 6:1, 6:4 |
| ცონგა-ლოდრა | 6:7, 2:6 |

| WTA. ფლორიანაპოლისი | |
|---|---|
| სავინიხი-ბაბოში | 6:7, 7:6, 2:6 |
| ვ. უილიამსი-ლუჩიჩი | 6:3, 6:3 |
| მუგურუსა ბლანკო-ბაროისი | 6:2, 6:2 |
| ჰსუ-ჰადადი | 1:6, 2:6 |
| ფლიპკენსი-პუჩკოვა | 6:2, 4:6, 4:6 |

| WTA. კუალა ლუმპური | |
|---|---|
| დელაკუა-პლიშკოვა | 3:6, 2:6 |
| მეირი-ფოირშტეინი | 6:3, 6:4 |
| ბრიანტი-დოი | 2:6, 3:6 |
| ვეკიჩი-მატეკი | 3:6, 6:4, 2:6 |

## TV პროგრამა

**27 თებერვალი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. შალკე-ფორტუნა.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჰერენვეენი-ტვენტე.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ფრაიბურგი-აინტრახტი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. III ტური. რივერ პლეიტი-ტიგრე.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. ტურის მიმოხილვა.
21:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVII ტური. ფულემი-სტოკი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIII ტური. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ბრუკლინი.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ზენიტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ოსპრეი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ფიურტი-ლევერკუზენი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ჩიკაგო ბულზი. 1992-93 წლები. I ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ბრუკლინი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
18:00 სპორტ-NEWS.
18:30 ჩოგბურთი. მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 13 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 12 | 20 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 9 | 19 | (მზე) |
| ზუგდიდი | 9 | 20 | (მზე) |
| გორი | 3 | 15 | (მზე) |
| თელავი | 3 | 12 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 2 | 11 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -9 | 3 | (მზე) |
| ბაკურიანი | -6 | 4 | (მზე) |
| ბორჯომი | 2 | 12 | (მზე) |
| მესტია | -6 | 9 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1638 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6533 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5110 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4049 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# მილანი ჩემთან ერთად ყოველთვის მოგებულია

**გუშინ, მსოფლიოს კლასიფიკაციის პირველი ნომერი, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი დუბაის ტურნირში ჩაება და პირველ წრეში უპრობლემოდ მოუგო თანამემამულე ვიქტორ ტროიცკის - 6:1, 6:4. ნოვაკმა ოთხჯერ აილო მეტოქის მოწოდება და თავად მხოლოდ ერთი ბრეიკის საშუალება მისცა მეტოქეს.**
**ამ მატჩამდე ერთი დღით ადრე, ჯოკოვიჩმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც ბევრ საინტერესო საკითხზე ილაპარაკა...**

**- შეგიძლიათ შეადაროთ თქვენი შარშანდელი და ამჟამინდელი მდგომარეობა?**

- ახლა თავს გაცილებით დამაჯერებლად ვგრძნობ, ვიდრე გასული წლის დასაწყისში. ძალიან რთული იყო 2011 წელს მიღწეული წარმატების შემდეგ კორტზე გასვლა. ეს ჩემთვის გარკვეული გამოცდა იყო. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ძველებურად კარგად ვთამაშობდი, მაგრამ გონებაში მიტრიალებდა აზრი იმის შესახებ, რომ „დიდი სლემის" ტურნირებზე ტიტულების დაცვა მიწევდა. ფსიქოლოგიურად ეს ძალიან რთული აღმოჩნდა. ამიტომაც დიდ მიღწევად მიმაჩნია თუნდაც ის, რომ 2012 წელი პირველი ნომრის სტატუსით დავასრულე. ამ წარმატებას უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე 2011 წელს მოგებულ ტიტულებს.

**- წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვება დაგეხმარებათ მომდევნო ტურნირების მოგებაში?**

- როცა სეზონში „დიდი სლემის" პირველ ტურნირს იგებ, ეს ნიშნავს, რომ კარგ ფორმაში იმყოფები. გასაგებია, რომ სეზონი ძალიან გრძელი და რთულია, ამიტომაც, ჯერ ადრეა როლან გაროსსა თუ უიმბლდონზე ფიქრი. იქამდე ჯერ დიდი დროა. ვფიქრობ, არ ვიფიქრო ამაზე და კონცენტრაცია უახლოეს ტურნირებზე მოვახდინო. ასეთმა მეთოდმა მომიტანა წარმატებები და რა საჭიროა მისი შეცვლა?!

**- შარშანდელი შემაჯამებელი ტურნირიდან მოყოლებული, ზედიზედ 13 მოგება დაგიგროვდათ. ახალ წაუგებელ რეკორდზე ხომ არ ფიქრობთ?**

- ამაზე ფიქრით გონებას არ ვიღლი. არ ვგეგმავ 2011 წლის სერიის გამეორებას ან გაუმჯობესებას, რომელიც ზედიზედ 43 მოგებას მოიცავდა. ასეთი რალაცების გამეორება ძალიან რთულია. მაგრამ იმის გაფიქრება, რომ ასეთი სერიის ავტორი მე ვიყავი, დამატებით დამაჯერებლობას მმატებს.

**- ბოლო დროს ბევრი ამჩნევს სათამაშო სტილის შეცვლას ჩოგბურთში. თქვენ რა აზრის ხართ?**

- დიახ, კორტებიც და ბურთებიც უფრო ნელი გახდა, ამიტომაც თითქმის აღარ დარჩნენ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც მოწოდებისთანავე გარბიან ბადესთან. მეორე მხრივ, გამარჯვების მოსაპოვებლად კორტზე მაქსიმალურად მრავალმხრივი უნდა იყო, ასი პროცენტით მოემზადო ფიზიკურად და შეძლო ყველა საფარზე თამაში. ჩოგბურთის დონე ძალიან მაღალია და ის ყოველ წელს მატულობს.

**- ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ დღეისთვის თქვენი მთავარი კონკურენტი ბრიტანელი ენდი მარეია, რომელსაც შარშან, ბევრი ტურნირის ფინალში შეხვდით?**

- მხოლოდ ენდის ვერ გამოვყოფდი. მიმაჩნია, რომ დღეს ჩემი სამი მთავარი ოპონენტია - მარეი, როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი. როჯერი და რაფა დიდი ხნის განმავლობაში დომინირებდნენ ჩოგბურთში და ერთმანეთში ბევრი დაუვიწყარი მატჩიც ჩაატარეს. ბოლო დროს, მე და ენდიც საკმარისად ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და იმედია, გავაგრძელებთ პუბლიკისთვის სიამოვნების მინიჭებას თამაშის მაღალი დონისა და დაძაბულობის წყალობით.

**- ნახეთ ნადალი დაბრუნების შემდეგ?**

- დიახ, ვუყურე მის ერთ მატჩს ბრაზილიის ტურნირზე. რა შემიძლია ვთქვა? რაფა კვლავაც კარგად თამაშობს გრუნტზე (იცინის). საერთო ჯამში, რაიმე განსაკუთრებული ცვლილება ვერ შევამჩნიე. არ ვიცი, როგორ გრძნობს რაფა თავს ფიზიკურად, მაგრამ მან უკვე ორი ტურნირის ფინალში ითამაშა და ერთ-ერთში გაიმარჯვა. ეს ბევრს ნიშნავს. მართალია, ის ტურნირები, რომელშიც ნადალი მონაწილეობდა, დაბალი კატეგორიისა იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ჩოგბურთელს ნებისმიერი გამარჯვება მატებს დამაჯერებლობას. ნადალს უნდოდა, რაც შეიძლება მეტი მატჩი ჩაეტარებინა და მან ეს გააკეთა. ხოლო ასეთ დროს ტურნირის დონე მეორე პლანზე გადადის. ასე რომ, რაფა დაბრუნდა და ეს თემა დაიხურა.

**- სანამ ნადალს ბოლომდე არ მიუღწევია საუკეთესო კონდიციებისთვის, იქნებ ისარგებლოთ შემთხვევით და იფიქროთ როლან გაროსის მოგებაზე?**

- უკვე დიდი ხანია არ ვმალავ, რომ ჩემი პრიორიტეტი - საფრანგეთის ღია პირველობაა. „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი, ჯერ მოგებული არ მაქვს, მაგრამ ახლა მხოლოდ უახლოეს ტურნირებზე ვფიქრობ. თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, შარშან ან ორი სეზონის წინ, როცა რაფა ბრწყინვალე ფორმაში იყო, ვგრძნობდი, რომ ჩვენს მატჩებში გამარჯვებულსა და წაგებულს შორის სხვაობა ორი-სამი ქულა იყო. ვფიქრობ, გრუნტზე თამაშს მოვუმატე, თუმცა ეს არ არის ჩემი წარმატებული საფარი. ნებისმიერ შემთხვევაში, ჯერ არ ვიცით რა მოხდება როლან გაროსზე. იქამდე ჯერ გრძელი გზაა გასავლელი.

**- რა უნდა გააკეთოთ პარიზში გასამარჯვებლად?**

- ასი პროცენტით უნდა ვიყო მზად ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად. ნუ გადავიწყდებათ, რომ როლან გაროსის წინ იმართება ძალიან რთული „მასტერსები" მადრიდსა და რომში. მათ დიდი ძალა და ენერგია მიაქვთ.

**- ბელგიასთან დევისის თასის მატჩების შემდეგ, არც ერთი ოფიციალური შეხვედრა არ ჩაგიტარებიათ. რით იყო ეს გამოწვეული?**

- პაუზის აღება გადავწყვიტე - დასვენებისთვისა და ძალების აღდგენისთვის. სერბეთში ვიყავი, დიდი დრო გავატარე ოჯახთან ერთად. დღეისთვის, ჩემს ქვეყანაში მუდმივად არ ვცხოვრობ, ამიტომაც, ნებისმიერ შესაძლებლობას ვიყენებ იქ დასაბრუნებლად. გარდა ამისა, იტალიაში გავემგზავრე ჩემპიონთა ლიგის მატჩზე დასასწრებად და „მილანისთვის" მხარდასაჭერად. ვფიქრობ, 2:0 „ბარსელონასთან" უდიდესი წარმატებაა. სხვათა შორის, ზუსტად ერთი წლის წინ, ასევე ჩავედი მილანში „არსენალთან" მატჩის სანახავად და მაშინაც ჩემმა კლუბმა მოიგო. ასე რომ, ვეცდები ხშირად დავესწრო ჩემპიონთა ლიგის მატჩებს, რადგან „მილანი" ჩემთან ერთად ყოველთვის მოგებული რჩება (იცინის). რაც შეეხება ჩოგბურთს, დუბაიში ჩამოსვლამდე ორი კვირის განმავლობაში ვვარჯიშობდი. ახლა სავსებით მომზადებულად ვგრძნობ თავს სეზონის ახალი ნაწილისთვის, რომელიც მოიცავს ჰარდზე რამდენიმე დიდ ტურნირს.

**- ბოლოსკენ, საუბრის თემა შევცვალოთ: როგორ ვითარდება სერბეთში თქვენი რესტორნების ბიზნესი?**

- ყველაფერი შესანიშნავადაა. ამ საკითხს მამაჩემი დიდ ყურადღებას უთმობს. შეიძლება ითქვას, ეს ჩემი პირმშოა. ასე რომ, გვეწვიეთ!

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ჯოკოვიჩი თავისი საყვარელი კლუბის ფორმაში



რაფაელ ნადალი

# ინდიან უელსი და მაიამი ნადალის გარეშე

## ესპანელი ჩოგბურთელი ჰარდის საფარს უფრთხის

მსოფლიოს მეხუთე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** გადაწყვიტა უარი თქვას ახალი სეზონის პირველ ორ მასტერსში გამოსვლაზე. ეს ტურნირები მარტში ინდიან უელსსა და მაიამიში ჩაივლის.

როგორც ესპანური გამოცემა „მარკა" წერს, რაფაელი აპირებს მთელი ყურადღება გრუნტის ევროპულ ტურნირებზე გადაიტანოს.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის ნადალი მექსიკის ქალაქ აკაპულკოში იმყოფება, სადაც ამ კვირას მიმდინარე ტურნირში ჩაებმება. პირველ რაუნდში ესპანელი არგენტინელ **დიეგო შვარცმანს** შეხვდება.

სხვათა შორის, აკაპულკოში პრესკონფერენციაზე ესპანელმა განაცხადა, რომ ისევ გრძნობს ტკივილს მუხლებში.

*„მუხლები ისევ მტკივა. ხანდახან ძალიან, ხანდახან კი ტკივილს საერთოდ ვერ ვგრძნობ. გასაგებია, რომ ახლა საუკეთესო ფორმაში არ ვარ, მაგრამ ვაგრძელებ გრუნტის ტურნირებზე გამოსვლას ოპტიმალური კონდიციების მისაღწევად"*, - ამბობს ნადალი.




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
9 772233 382000

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608